სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

გიორგი ჯვარიძე

მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანაბრობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და მისი შემცირების გზები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი,

ეკონომიკის დოქტორი,

პროფესორი როინ თათეშვილი

ახალციხე

2022

შინაარსი

შესავალი ---------- 4

თავი I. მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

I.1. შემოსავლები, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი ძირითადი მაჩვენებელი ---------- 12

I.2. შემოსავლების უთანასწორო განაწილების მიზეზები ---------- 16

I.3. მეცნიერული კვლევები მოსახლეობაში შემოსვლის უთანასწორო განაწილებაზე -- ---------- 20

I.4. უთანასწორობა შემოსავლებში, როგორც ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობის საფუძველი ---------- 33

I.5. შემოსავლების უთანასწორო განაწილების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სიღარიბესთან ---------- 37

თავი II. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანასწორობა საქართველოს და მსოფლიო ვითარების ფონზე

II.1. ეკონომიკური უთანასწორობა მსოფლიოში ---------- 43

II.2. ეკონომიკური უთანასწორობა და მოსახლეობის სიღარიბე საქართველოში ----- 66

II.3. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის ანალიზი ---------- 82

II.4. ეკონომიკური უთანასწორობის გამოკვლევა სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში ---------- 95

თავი III. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების გზები

III.1. ღარიბების ჩართვა ბიზნესში, ანუ ინკლუზიური ბიზნესის განვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ---------- 107

III.2. დაბეგვრის პროპორციული რეჟიმიდან პროგრესულ რეჟიმზე გადასვლა ----- 125

დასკვნა ---------- 133
გამოყენებული ლიტერატურა ----------138
დანართი 1. რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები (%%-ში).....145
დანართი 2. მოსახლეობის მიგრაციული განწყობის კითხვა-პასუხები (%%-ში).....148

შესავალი

თემის აქტუალობა. მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობა მსოფლიო პრობლემაა. ეს პრობლემა დგას განვითარებულ ქვეყნებშიც და განვითა-რებად ქვეყნებშიც. განსაკუთრებით მწვავედ დგას იგი განვითარებად ქვეყნებში.

მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობის მაღალი დონის არსებობა იწვევს სოციალურ დაძაბულობას საზოგადოებაში და ხელს უშლის მას მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის შემოსავლების ფორმირების, განაწილებისა და რეგულირების პროცესები აქტიურად განიხილება ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში, ამ სფეროში კვლევის საკმაოდ ბევრი პრობლემაა. ასეთი კვლევების საჭიროება განპირობებულია მოსახლეობის შემოსავლის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ობიექტური მიზეზების შესწავლით.

სახელმწიფოს ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების ძირითადი უფლებების დაცვა, რისთვისაც მისი თითოეული ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს ადმიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის აღმოფხვრისა და შემოსავლებში უთანასწორობის შემცირებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია შესაბამისი მოვლენების შესწავლა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვარა და არსებული მდგომარეობის რეალური სურათის ასახვა, რაც განაპირობებს მოცემული თემის მნიშვნელობასა და აქტუალობას.

მსოფლიოში არ არსებობს შემოსავლებით სრულიად თანასწორი საზოგადოება. ამის უზრუნველყოფა არც სასურველია და არც მიღწევადი. მთავარი ის არის, რომ შემოსავლების განაწილებაში არ არსებობდეს კატასტროფული დისპროპორცია, რომ არ არსებობდეს უკიდურესად ღარიბები და უკიდურესად მდიდრები.

დღეს, უმრავლეს ქვეყნებში სწორედ ასეთი მდგომარეობაა. მსოფლიო სიმდიდრის ნახევარს, ანუ 110 ტრილიონ დოლარს მოსახლეობის მხოლოდ 1% ფლობს [Fuetes Nieva R. and Calasco N. 2014.], ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ის შემოსავალი კი 10-ჯერ მაღალია, ვიდრე ღარიბი მოსახლეობის შემოსავალი [Era Dabla Norris, Kalpana Yochhar, 2015].

სავალუტო ფონდმა დაადგინა, რომ გლობალური უთანასწორობა რიგ ქვეყნებში 0,55-0,70-მდეა [Era Dabla Norris, Kalpana Kochhar, 2015]. მართალია საქართველოში იგი ამ დონის არ არის, მაგრამ ახლოსაა უთანასწორობის კრიტიკულ ზღვართან, რომელიც 0,41-0,46-ს შეადგენს. 2019 წელს ეკონომიკურმა უთანასწორობამ საქართველოში მთლიანი შემოსავლების მიხედვით 0,39, მთლიანი ხარჯების მიხედვით 0,43, ხოლო მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით 0,37 შეადგინა [„საქსტატის“ წელიწდეული, 2019: 59]. წინა წლებთან შედარებით ერთიც შემცირებულია, მეორეც, და მესამეც, მაგრამ ისინი მაინც ევროპის წამყვანი ქვეყნების დონეზე (0,31) მაღალია.

2017 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა შეისწავლა ევროპისა და ცენტრალური აზრიის ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობა და დაასკვნა, რომ ამ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო ქვეყანა იყო. მაშინ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა მთლიანი შემოსავლების მიხედვით 0,41-ს, ხოლო მთლიანი ხარჯების მიხედვით 0,45-ს შეადგენდა [„საქსტატის“ წელიწდეული, 2019:59]. მას შემდეგ გავიდა სამი წელი და უთანასწორობის შემცირება მოხდა, მაგრამ, იგი მაინც არასაკმარისია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო-2020“-ში შემოსავლებში უთანასწორობის სამიზნე მაჩვენებლად 0,35 არის დაფიქსირებული. ამის მიღწევას საქართველოს მთავრობა ძირითადად მიზნობრივი სოციალური დახმარების მექანიზმის ამოქმედებით და საპენსიო დახმარების ზრდით აპირებს.

ამ მაჩვენებლზე გასასვლელად ქვეყანამ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე უნდა იფიქროს. ინკლუზიური ზრდა ეს არის ეკონომიკის ისეთი ზრდა, რომელშიც მოსახლეობის ყველა ფენა, მ.შ. ღარიბები, მიგრანტები, შრომისუნარშეზღუდულები და სხვები - არიან ჩართული. ასეთი ჩართულობით, მათი შემოსავლები იზრდება და შედეგად ეკონომიკური უთანასწორობაც მცირდება.

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში სწორედ ამ ტიპის ღონისძიებების გატარების საჭიროება არის დასაბუთებული. ეს ღონისძიებები ჩათვლილია საქართველოში, კერძოდ, კი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების ძირითად საშუალებებად.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა, მათი სოციალური მდგომარეობა არსებული უთანასწორობისა და აქტიური შიდა მიგრაციის გათვალისწინებით. საგანი კი - მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის და ცხოვრების დონის რაოდენობრივი (ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სტატისტიკური მონაცემები) მხარის შესწავლა მის თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში, მათი განვითარების კანონზომიერებანი დროსა და სივრცის მიხედვით.

კვლევის მიზნები. კვლევის მიზანია ზოგადად საქართველოს მოსახლეობაში, კერძოდ კი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობაში შემოსავლების უთანსწორო განაწილების სიმწვავის წარმოჩენა-შესწავლა, გამომწვევი მიზეზების და ფაქტორების გაანალიზება.

გამოვლენილ პრობლემათა დაძლევის მიზნით დავისახეთ და გადავჭერით შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. თეორიულ ჭრილში განვიხილეთ მოსახლეობის შემოსავლები, მისი წყაროები და ზოგადად ცხოვრების დონე.
2. ჩამოვაყალიბეთ ეკონომიკური უთანასწორობის მიზეზები.
3. განვიხილეთ უთანასწორობის პრობლემაზე ჩატარებული კვლევები (კორადო ჯინის, კუზნეცის, ლორენცის, ტოდაროს და სხვების).
4. ვაჩვენეთ უთანასწორობის მდგომარეობა მსოფლიოში და მისი დინამიკა.
5. ვაჩვენეთ და გავაანალიზეთ საქართველოს და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე და ეკონომიკური უთანასწორობა 2010-2019 წლებში.
6. ჩავატარეთ ინდივიდუალური კვლევა ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორ-ჯომის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში და ვიანგარიშეთ უთანასწორობის კოეფიციენტები (ჯინის კოეფიციენტი).
7. შევიმუშავეთ და დავასაბუთეთ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ეკონომი-კური უთანასწორობის შემცირების პირობები, კერძოდ ინკლუზიური ბიზნესის განვითარების კუთხით ღონისძიებების შემუშავება.

თემის შესწავლის მდგომარეობა. უთანასწორობის პრობლემატიკაზე მრავალი მეცნიერი მუშაობს საქართველოშიც და საზღვარგარეთაც (რუტმანი, სტიგლიცი, ერა დაბლა ნორისი, მილანოვიჩი, კორაკი, აბესაძე, კახნიაშვილი, მაკალათია, მოლაშხია,

პაპავა, ასათიანი და სხვები), მაგრამ, მსგავსი კვლევა არ შეხებია სამცხე-ჯავახეთის რეგონს და ამ რეგიონში ეკონომკურ უთანასწორობას.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ზოგადად ეკონომიური კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორია. საზოგადოების განვითარების კანონები განსაზღვრავენ მოვლენებისა და პროცესების არსს, მის რაოდენობრიობასა და თვისობრიობას. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია შესაწავლ მოვლენებსა და პროცესებს მისცეს სწორი ციფრობრივი დახასიათება. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი მატერიალისტური დიალექტიკაა. იგი მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში, ასევე სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში.

ნაშრომში გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდები. კვლევაში ვიყენებთ ისეთ სტატისტიკურ მეთოდებს, როგორიცაა: დაკვირვების, დაჯგუფების, სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული გამოსახვის, საშუალო სიდიდეების და სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდებს. ასევე გამოყენებულია შედარებისა და სისტემური ანალიზის მეთოდები ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრისა და სწორი დასკვნენბის გასაკეთებლად.

დაკვირვების მეთოდი ძირითადად ნაშრომის პირველ თავში გვაქვს გამოყენე-ბული, როდესაც უთანასწორობის პრობლემაზე განვიხილეთ სხვადასხვა მეცნიერთა კონცეფციები, დავაკვირდით მათ შეხედულებებს და დავწერეთ ჩვენი კომენტარები.

შედარების და ეკონომიკური ანალიზის მეთოდები გამოვიყენეთ ნაშრომის მეორე თავში, როდესაც ეკონომიკური უთანასწორობის სამცხე-ჯავახეთის და მისი მუნიციპალიტეტების მაჩვენებლები შევადარეთ მთლიანად საქართველოს და სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს და შევაფასეთ ისინი.

ანკეტირების მეთოდი გამოყენებული გვაქვს ნაშრომის მეორე თავში (II.4), როდესაც საკვლევ პრობლემაზე ინდივიდუალური გამოკითხვა ჩავატარეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობაში.

გამომდინარე აქედან ჩვენს შემთხვევაში ნაშრომის კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის გამოკვლევები, ნაშრომები,

სტატიები, სხვადასხვა სახის სამეცნიერო პუბლიკაციები, საკონფერენციო მასალები და სხვა. ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ანალიტიკური და სტატისტიკური ტიპის მასალები, გამოქვეყნებული მსოფლიო ბანკის World Bank, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის OECD და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის UN მიერ. ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევის მეცნიერული სიახლეები შემდეგია:

- საკუთარი კვლევის საფუძველზე შესწავლილია და შეფასებულია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანაბრობა როგორც მუნიციპალიტეტების მიხედვით, ისე მთლიანად რეგიონის მიხედვით. გამოანგარიშებულია მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის (ჯინის) კოეფიციენტები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები;
- დასაბუთებულია სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში ბიზნეს-ინკუბა-ტორების გახსნის აუცილებლობა, გაკეთებულია შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა როგორც პროფესიული გადამზადების კუთხით ისე ბიზნეს-ინკუბატორების გახსნის კუთხით, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება მოსახლეობის ღარიბი ფენის შრომისუნარიანი ფენის ბიზნესში ჩართვას და ამ გზით მათი შემოსავლების გაზრდას;
- დასაბუთებულია პროპორციული დაბეგვრიდან პროგრესულ დაბეგვრაზე გა-დასვლის აუცილებლობა და შემოთავაზებულია რეგიონისთვის (და მთლიანად საქართველოსთვის) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების რეკომენდე-ბული შკალა;
- საკუთრივ სამცხე-ჯავახეთისთვის, რომელშიც ეკონომიკურ უთანასწორობა ძალიან მაღალია (0,49) საჭიროდ ჩათვლილია მოსახლეობის დაყოფა 5 სტატუსად (მარტოხელა, დაქორწინებული წყვილი და ა. შ.) და მათთვის საშე-მოსავლო გადასახადზე საგადასახადო კოეფიციენტების დადგენა. ნაშრომში შემოთავაზებულია ეს სტატუსებიც და რეკომენდებული კოეფიციენტებიც.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თეორიული მნიშვნელობა: იგი გამოადგებათ აგრეთვე შემოსავლების განაწილების უთანასწორობის

პრობლემატიკაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მომუშავე სპეციალისტებს, სტუდენტებს, დოქტორანტებს.

პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოცემული რეკომენდაციები გამოადგება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ხელისუფლებას მოსახ-ლეობაში არსებული ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. კვლევის სამეცნიერო-ინფორმაციული წყაროა სტატისტიკური მონაცემები, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევები, ნორმატიული დოკუმენტები, მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები, დისერტაციის თემის გარშემო არსებული მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები და თვით დისერტანტის კვლევის შედეგები. ნაშრომზე მუშაობისას ვეყრდნობოდით იმ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც არსებობს სადისერტაციო თემის ირგვლივ საქართველოში და ძირითადად საზღვარგარეთ.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა შედგა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სხდომაზე (ოქმი 27, 04 ოქტომბერი 2021 წელი), სადაც იგი მოწონებული და რეკომენდირებული იქნა დაცვისთვის.

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში საგამოცდო კომისიაზე დაცული იქნა ორი **სემინარი:**

1. სოციალური მეწარმეობა, როგორც სოციალურად ორიენტირებული ბიზნესის მიმართულება;
2. მცირე ბიზნესი, პრობლემები, გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.

კვლევის შედეგები, რომლებიც სიახლეს წარმოადგენენ, დაბეჭდილია სტატიებში:

1. *გ. ჯვარიძე* უთანაბრობა შემოსავლებში როგორც ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობის საფუძველი. ჟურნალი „ეკონომიკა“6-9 2020, გვ. 34-42. https://economics.bpengi.com/home/2020/06-09

2. *გ. ჯვარიძე* სამეწარმეო განათლების ამაღლება მოსახლეობაში ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების ერთ - ერთი გზაა. ჟურნალი „ეკონომიკა“6-9 2020, გვ. 34-42.
https://economics.bpengi.com/home/2020/06-09

3. *რ. თათეშვილი, გ. ჯვარიძე* მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის და მიგრაციული განწყობის გამოკვლევა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში. ჟურნალი "ეკონომიკა – XXI საუკუნე" 2019 (ნოემბერი-დეკემბერი), გვ. 249-258.
http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2019%20-%20Internet%20Conference.pdf

4. **Jvaridze, G**., (2020). The Reason for Low Access of High-Quality Education and Medical Services. Globalization and Business, 2020, 10. 295-297.
https://doi.org/10.35945/gb.2020.10.040

5. **G. JVARIDZE, 2THE ROOT CAUSES OF ECONOMIC INEQUALITY OF SAMTSKHE-JAVAKHETI REGION AND THE REDUCTION WAYS. AN INTERNATIONAL QUARTERLY JOURNAL OF SOCIAL SCIENCE.** Konur Sokak 66/7 Bakanlıklar- ANKARA **Karadeniz Uluslararası Bilimsel Dergi Volume:** 51**,** Autumn-2021**,** p. (178-188) **ISSN:** 1308-6200 **DOI Number:** https://doi.org/10.17498/kdeniz.995184 **Research Article Received:** Aug 14, 2021 **| Accepted:** Sep 17, 2021.

გაკეთებულია მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე.

1. „მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის და მიგრაციული განწყობის გამოკვლევა სამცხე ჯავახეთის მოსახლეობაში“, თსუ, ჟურ. „ეკონომიკა-XXI საუკუნე, 1 ნოემბერი-28 დეკემბერი 2019 წელი;
2. „მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის ტენდენცია მსოფლიოში“, ჟურ. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“,სტუ, 05.2020, გვ.74

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისგან.

ნაშრომის **პირველ** თავში კვლევა დავიწყეთ მოსახლეობის შემოსავლების და ცხოვრების დონის არსის, შემოსავლების უთანასწორო განაწილების მიზეზების, მათზე ჩატარებული კვლევების განხილვით და დავამთავრეთ შემოსავლებში უთანასწორობასა და სიღარიბეს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე მსჯელობით.

მეორე თავში მიმოვიხილეთ მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული ფუნდამენტური კვლევები, რომლებიც ეხება როგორც მოსახლეობის შემოსავლების, ისე სიმდიდრის უთანაბრო განაწილებას მსოფლიოში.

გავაანალიზეთ ერთ სულ მცხოვრებზე მთლიანი შიდა პროდუქტი, საშუალო სულადობრივი შემოსავალი, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, საარსებო მინიმუმი, აბსოლუტური და შეფარდებითი სიღარიბე, ჯინის კოეფიციენტი, ხარისხიან განათლებაზე და ხარისხიან ჯანდაცვაზე საქართველოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობა.

ჩავატარეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის ანალიზი. დავეყრდენით რა რეგიონის მოსახლეობის შემოსავლების სტატიკურ აღრიცხვის მონაცემებს, 2018 წლისთვის ვიანგარიშეთ ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით.

მესამე თავში დავასაბუთეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ღარიბი და უღარიბესი ფენის ჩართვის შესაძლებლობები ინკლუზიურ ბიზნესში და, მისი მეშვეობით გამოვიყვანოთ ისინი სიღარიბიდან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ რეგიონის ღარიბი და უღარიბესი ფენა არ ფლობს ცოდნას ბიზნესში. ბიზნესში მათ ჩასართავად, საჭიროა ისინი მოვამზადოთ მათთვის სპეციალურად გახსნილ ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორებში.

ნაშრომის მოცულობა არის 151 გვერდი. მასში ჩართულია 39 ცხრილი, 24 ნახაზი. ნაშრომს თან ერთვის 104 დასახელების ლიტერატურის სია.

თავი I. მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

I.1. შემოსავლები, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი ძირითადი მაჩვენებელი

მოსახლეობის ცხოვრების დონე შეიძლება დახასიათდეს მრავალი რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლით - სულადობრივი შემოსავალი, ფასების დონე საქონელზე, მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მოხმარება, განათლების დონე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა, მაგრამ აქედან მთავარი მაინც შემოსავალია, რადგან ყველა დანარჩენს, გარდა სამუშაო დღის ხანგრძლივობისა, სწორედ შემოსავალი განაპირობებს. ოჯახი და ოჯახის წევრები შემოსავლით ყიდულობენ საჭირო საქონელს, და იძენენ განათლებას, იღებენ სამედიცინო მომსახურებას, ისვენებენ კურორტებზე და ა. შ.

შემოსავლების სხვადასხვა განმარტება არსებობს:

- **გ. ადეიშვილი, რ. ასათიანი**: „ფულის (საქონლის, მომსახურების) რაოდენობას, რომელსაც დროის გარკვეულ პერიოდში პიროვნება, ოჯახი, კოლექტივი თუ სახელმწიფო ღებულობს, ეწოდება შემოსავალი“ [ადეიშვილი, ასათიანი, 1998: 256].
- **პ. ლემონჯავა, ა. აბრალავა**: „ქვეყანაში მოსახლეობის შემოსავალი არის მათ მიერ შესრულებული ყველა სამუშაოდან მიღებული ფულისა და ფულით გამოხატული ნატურალურ-ნივთობრივი შემოსავლის ერთობლიობა“ [ლემონჯავა, აბრალავა, 2009: 319].
- **ზ. გვიშიანი**: „შემოსავლის დონე არის ხალხის კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, რადგან იგი განსაზღვრავს მათ მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობებს“ [გვიშიანი, 2011: 174].
- **ჯ. ხიკსი**: „მოსახლეობის შემოსავალი არის ის მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე გარკვეული დროის განმავლობაში და

ამასთანავე, პერიოდის ბოლოს არ შემცირდეს პერიოდის დასაწყისში არსებული კაპიტალი“ [ვანიშვილი, ჭიკაძე, ვანიშვილი, 2015: 266].

არსებობს შემოსავლის სხვა ქართველი (მ. ვანიშვილი, რ. ოთინაშვილი და სხვები) და არაქართველი (რ. კემპბელი, პ. ჰაინე და სხვები) მეცნიერების განმარტებებიც. მათ შეხედულებებში მცირეოდენი განსხვავებების მიუხედავად, ისინი ერთნი არიან იმაში, რომ „შემოსავლით იკმაყოფილებს ადამიანი თავის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს“. ამიტომ, ეს მეცნიერებიც, და, მათთან ერთად ჩვენც, შემოსავალს, ცხოვრების დონის განმსაზღვრელ ძირითად მაჩვენებლად მივიჩნევთ.

შემოსავლებს სხვადასხვა ნიშნით აჯგუფებენ: ყველაზე მეტად გავრცელებულია შემოსავლების დაყოფა: **საერთო შემოსავლებად** და **განკარგვით შემოსავლებად**. საერთო შემოსავლები ბრუტო შემოსავლებია. იქიდან ჯერ გადასახადები არ არის გადახდილი. განკარგვითი შემოსავლები კი ნეტო, ანუ გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლებია. განკარგვითი შემოსავლები წარმოადგენს იმ ფულადი სახსრების მაქსიმალურ სიდიდეს, რომელიც ოჯახს ან ინდივიდს შეუძლია დახარჯოს პროდუქციის შესაძენად და მომსახურების მისაღებად.

გავრცელებულია აგრეთვე შემოსავლების დაყოფა **პირველად შემოსავლებად, ხელთ არსებულ პირად შემოსავლებად** და **კორექტირებულ შემოსავლებად**.

პირველად შემოსავლებს მოსახლეობა ღებულობს დამატებული ღირებულების საწყისი განაწილების შედეგად. მისი სახეებია: ხელფასი, დივიდენდი და სხვა.

ხელთ არსებული პირადი შემოსავალი არის პირველადი შემოსავალი, ტრანსფერების, მაგალითად, პრემიის დამატებით, და, ხარჯების გამოკლებით.

კორექტირებული შემოსავლები არის ხელთ არსებული პირადი შემოსავლის და სოციალური ტრანსფერის, მაგალითად, საყოველთაო სახელმწიფო უფასო სამედიცინო მომსახურების ერთიანობა.

ქართველი მეცნიერი მ. ვანიშვილი შემოსავლებს ყოფს [ვანიშვილი, ჭიკაძე, ვანიშვილი, 2015: 266]: **ნომინალურ** და **რეალურ შემოსავლებად**.

ნომინალური შემოსავლები წარმოადგენს ფაქტიურად დარიცხულ შემოსავალს. **რეალური შემოსავალი** კი ის შემოსავალია, რომლითაც ხდება საქონლის და მომსახურების შეძენა.

ეკონომისტები განასხვავებენ **შრომით** და **არაშრომით შემოსავლებსაც**. შრომით შემოსავლებს ისინი აკუთვნებენ სამეწარმეო საქმიანობიდან, საკუთრებიდან, ფულადი სახსრების ინვესტირებიდან, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს. პროფესორი რ. ოთინაშვილი მათ ლეგალურ შემოსავლებს უწოდებს [ოთინაშვილი, 2005: 23].

არაშრომითი შემოსავლები, რომლებსაც პროფესორი რ. ოთინაშვილი „არალეგალურ შემოსავლებს“ უწოდებს, სამართლებრივი ნორმებიდან გადახვევით მიღებული შემოსავალია. ეს არის: აღებული ქრთამი, გამოძალული ფული, ნაქურდალი და სხვა. სამწუხარო ფაქტია, რომ მეტ-ნაკლებად, ეს ყველა ქვეყანაში არსებობს. მართალია, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლებში ხშირად ჟღერდება ფრაზა, რომ „საქართველოში კორუფცია აღმოიფხვრა“, მაგრამ როგორ აღმოიფხვრა, როცა 2018 წელს საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის 22524 ფაქტი დაფიქსირდა, რაც 81%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.01.2019: 2].

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით პროფესორ რ. ოთინაშვილს, რომელიც წერს, რომ „ქვეყანაში ლეგალურ და არალეგალურ (ანუ შრომით და არაშრომით - გ. ჯ.) შემოსავალს შორის თანაშეფარდება თვით ამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებით რეგლამენტირებაზე არის დამოკიდებული“ [ოთინაშვილი, 2005: 22]. თუმცა, რეგლამენტირება რას უშველის, თუ საქართველოში მისი აღსრულების მკაცრი კონტროლი არ დაწესდა და თუ არ მოისპო „Bonitas in sous, justitia in omnes“, ანუ ქართულად - „მეგობრებს - წყალობა, დანარჩენებს - კანონი“. ამის გარდა, ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილია ო. ბისმარკის გამონათქვამი - „ცუდი კანონებით და კარგი ჩინოვნიკებით სრულიად შესაძლებელია ქვეყნის მართვა, მაგრამ ცუდი ჩინოვნიკების შემთხვევაში, საუკეთესო კანონებიც ვერ გვიშველის“ [ბალარჯიშვილი, 2017: 69]. რადგან საქართველოში ელიტარული კორუფცია მეფობს, ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს - ქვეყანას ცუდი ჩინოვნიკები ჰყავს [Меквабишвили, 2017]. ისინი ცდილობენ ცალკეულ ელიტების კერძო დოვლათი გაზარდონ მთელი საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. ეს უარყოფითად აისახა კიდეც საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხზე. ანალიტიკური კვლევითი კომპანიის „The Economist Inteligence Unit“-ის 2018 წლის დემოკ-

რატიის ინდექსის კვლევა ცხადყოფს, რომ მსოფლიოს 165 ქვეყანას შორის საქართველომ ამ მაჩვენებლით 89-ე ადგილი დაიკავა, ეს მაშინ, როცა 2017 წელს ეკავა 79-ე ადგილი [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.01.2019: 2]. ასეთი შემთხვევები სხვა ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ როგორც მეცნიერი ი. ბალარჯიშვილი წერს, „იქაური განვითარებული საზოგადოებები ამგვარი „მანკის“ საწინააღმდეგო იმუნიტეტს ფლობენ. საქართველოს ეს უცილობლად გაუჭირდება და ეტყობა კიდევაც, რომ უჭირს, რადგან იგი ნულიდან იწყებს ქვეყნის მშენებლობას. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით იმ კრიტიკულ ნიშნულზე ვართ, როდესაც ელიტარული ანუ მდიდართა 10%-ის შემოსავალი 17-ჯერ აღემატება ღარიბი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლებს [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.01.2019: 2].

შემოსავლები იყოფა **ფულად** და **ნატურალურ** შემოსავლებად. ფულად შემოსავლების ძირითადი წყარო არის შრომის ანაზღაურება ანუ ხელფასი, პენსია, პრემია, სტიპენდია, სოციალური დახმარება, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები, მაგალითად, აქციებზე - დივიდენდები, ბანკში განთავსებულ დეპოზიტზე -სადეპოზიტო პროცენტი, იჯარით გაცემულ მიწიდან - რენტა და სხვადასხვა ტრანსფერები (მაგალითად, უცხოეთიდან მიღებული გზავნილი). არსებობს არარეგულარული ფულადი შემოსავალიც. ასეთია: ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, მემკვიდრეობით და ჩუქებით მიღებული და სხვა. ნატურალურ შემოსავალს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები იღებენ. ძირითადად ეს არის საკვები პროდუქტები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასაქმებული მოსახლეობის შემოსავლებში მთავარი ადგილი უკავია ძირითად ხელფასს და დამატებით ხელფასს. ამ უკანასკნელში შედის პრემია, ბონუსი, დანამატი. დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ოდენობა ისაზღვრება დამსაქმებელთან დადებული ხელშეკრულებით. არის ქვეყნები, სადაც დადგენილია ხელფასის მინიმალური განაკვეთი.

საქართველოში დღემდე არ არსებობს ხელფასის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი და მისი განმსაზღვრელი საკანონმდებლო ბაზა. ცხადია, არ არის დადგენილი მინიმალური ხელფასის სიდიდეც. ასეთ დროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო 131-ე კონვენცია „მინიმალური ხელფასის დადგენის შესახებ განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მონაწილეობით“, რომელიც ძალაში შევიდა 1972 წლის 29 აპრილიდან [ცარციძე, 2012: 273].

რა არის მინიმალური ხელფასი? ეს არის დასაქმებულთა, ანუ სამუშაო ძალის შრომის ანაზღაურების ქვედა ზღვარი. მინიმალური ხელფასის სიდიდე უნდა იყოს საკმარისი ერთი მომუშავის მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. მისი ეკონომიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ხელფასის მეშვეობით დასაქმებულმა უნდა შეინარჩუნოს შრომის უნარი და მოახდინოს თავისი სამუშაო ძალის კვლავწარმოება.

იმის მიუხედავად, რომ მინიმალური ხელფასის განაკვეთის დადგენას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც (აბბოტი, დევისი, ტუპუ, მარიანი, ტობინი, სამუელსონი და სხვები), ის მაინც არსებობს მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში (საფრანგეთი, აშშ, გერმანია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვები) და განვითარებად ქვეყნებში (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ესტონეთი, რუსეთი, რუმინეთი და სხვები). მინიმალური საათობრივი ხელფასი საფრანგეთში არის - 8,03 ევრო, დიდ ბრიტანეთში - 7,36 ევრო, აშშ-ში - 6,85 ევრო, უნგრეთში - 1,32 ევრო, ლატვიაში - 1,60 ევრო და ა. შ. [ცარციძე, 2012: 273]. ამ საკითხის გადაწყვეტა საქართველოსთვის, მეცნიერთა მხრიდან სერიოზულ განხილვას საჭიროებს.

ძირითადი ხელფასის სიდიდე კავშირშია დასაქმებულის კვალიფიკაციასთან და წელთა დამსახურებასთან (მუშაობის სტაჟთან და საქმიანობის სახესთან - მძიმე სამუშაო, მსუბუქი სამუშაო). ხელფასის სიდიდე ისეთი უნდა იყოს, რომ მან ორგანიზაციაში მოიზიდოს საჭირო კვალიფიკაციის ადამიანები.

I.2. შემოსავლების უთანასწორო განაწილების მიზეზები

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის საერთოდ უცხოა შემოსავლების თანაბარი განაწილება. ამას მეცნიერები სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან და თავიანთი პიროვნული შეხედულებები აქვთ მათზე.

ქართველი მეცნიერი რ. აბესაძე, რომელსაც მეტად მრავალი ნაშრომები აქვს მოსახლეობის სიღარიბესა და ცხოვრების დონეზე, და, სიღრმისეულ კვლევებს ახორციელებს ამ მიმართულებით, მოსახლეობის სიღარიბის და აქედან გამომდინარე, შემოსავლების არათანაბარი განაწილების მიზეზად უიმედობას ასახელებს. იგი წერს,

რომ „რწმენის დაკარგვა იწვევს უმოქმედობას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სიღარიბეს“ [აბესაძე, 2013: 208-209].

ამერიკელი მეცნიერები **კემპელ რ. მაკონელი** და **სტენლი ბრიუ** უთანასწორობის მიზეზად თვლიან [Кемпел Р. Макконели, Стенли Брю, 1992: 280-281]:

„1. **ადამიანთა განსხვავებებს უნარებში, კერძოდ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში.** მხოლოდ ინტელექტუალური უნარების მქონე ადამიანებს შეუძლიათ დაეუფლონ მაღალანაზღაურებად პროფესიებს.

2. **სწავლის და განათლების დონე.** ადამიანთა ნაწილი განათლებით და პროფესიონალიზმით მეორე ნაწილზე მაღლა დგას. ამის შედეგათ მათი შემოსავალი მეტიც არის.

3. **პროფესიული გემოვნება და რისკი.** ნაკლებად პრესტიჟულ სამუშაოებზე (მაგალითად, ნაგვის მოგროვება), ანაზღაურება მაღალია, მაგრამ ყველა არ დათანხმდება მათ შესრულებას. იგივე ითქმის რისკიან სამუშაოებზეც.

4. **ქონების ფლობა.** ქონება ადამიანებს დიდ შემოსავალს აძლევს, განსაკუთრებით ფინანსური აქტივები (აქციები, ობლიგაციები და სხვა). ოჯახებს, რომელთაც ასეთი ქონება გააჩნიათ, სიმდიდრე და შემოსავლებიც (დივიდენდები, პროცენტები, ვალუტის კურსთა შორის სხვაობით მოგება და ა. შ.) მეტი აქვთ.

5. **ბაზარზე ბატონობა.**

6. **„საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა”**, ან პირიქით - მძიმე ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, მარჩენალის სიკვდილი და ა. შ.“

ქართველი მეცნიერები პ. ლემონჯავა და ა. აბრალავა შემოსავლების არათანაბარი განაწილების შემდეგ კონკრეტულ ფაქტორებს ასახელებენ [ლემონჯავა, აბრალავა, 2009: 319-320]:

„1. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფიზიკური და გონებრივი უნარით. ვისაც მეტი ფიზიკური და ინტელექტუალური უნარი აქვს, მას შეუძლია შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელსაც სჭირდება მაღალი კვალიფიკაცია, ნიჭიერება, და, შედეგად, ის ანაზღაურებასაც მეტს მიიღებს. მაგრამ თუ ადამიანებს აღნიშნული თვისებები ნაკლებად ახასიათებთ, ისინი იძულებული არიან იმუშაონ დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე და, შესაბამისად, დაბალ ანაზღაურებასაც იღებენ. ეს განაპირობებს

აღნიშნული ორი კატეგორიის ადამიანებს შორის შემოსავლების რაოდენობრივ უთანაბრობას.

2. უთანასწორობის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ადამიანების განათლებისა და ცოდნის დონე. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან განათლების, და, პროფესიული ოსტატობის დონით. აქედან გამომდინარე, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შემოსავლების განაწილების თვალსაზრისითაც, რაც შემოსავლების არათანაბარი განაწილების რაოდენობრივ მაჩვენებელში აისახება.

3. შემოსავლების უთანასწორო განაწილებაში რაოდენობრივი განსხვავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შესასრულებელი სამუშაოს სიმძიმეს. მაგალითად, მაღაროელი მეტ შემოსავალს ღებულობს, ვიდრე გამყიდველი. რადგან მისი სამუშაო უფრო მძიმეა. ადამიანთა შემოსავლებში განსხვავებას განაპირობებს, აგრეთვე, ორ ადგილზე მუშაობა და სხვა.

4. ადამიანებს შორის შემოსავლების უთანასწორობის მნიშვნელოვანი ფაქტორია მემკვიდრეობით მიღებული ქონება. ადამიანებს, რომელთაც მემკვიდრეობით ერგოთ მოწყობილობა და დანადგარი, შემოსავალიც მეტი აქვთ. ეს აძლიერებს უთანასწორობას.

5. შემოსავლების განაწილების უთანასწორობას აგრეთვე განაპირობებს ბაზარზე საქონლის ფასების ხელოვნურად გაზრდა. მაგალითად, ლიცენზიების, ანდა ავტომობილის მართვის მოწმობის გაცემისათვის ფასების ამაღლება და სხვა.

6. შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის მიზეზი შეიძლება იყოს ასევე საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფნა. თუ ადამიანი სათანადო დროს აღმოჩნდა იქ, სადაც ის საჭიროა, მაშინ მან შეიძლება მეტი გასამრჯელო მიიღოს და გამდიდრდეს კიდეც.

7. შემოსავლების უთანასწორობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ხელფასებს შორის სხვაობა“.

მეცნიერი **ამართეა სენი** უთანასწორობის მიზეზად გლობალიზაციას ასახელებს [Amartea sen, 2001]. იგივე აზრის არიან **ჯ. სპერო** და **ლორა თაისონი**, რომლებიც წერენ: „გლობალიზაციის ზრდის კვალობაზე ღარიბი ქვეყნების საშუალო სულადობრივი შემოსავლის ჩამორჩენა შედარებით გადიდდა“ [Joan Spero and Laure D’Andrea Tayson, 2000: 80-98].

ქართველ მეცნიერ **ჯ. კახნიაშვილს** მიაჩნია, რომ უთანასწორობის „მიზეზი მხოლოდ ადამიანთა განსხვავებულ უნარში არ უნდა ვეძებოთ. მთავარია მათი არაერთგვაროვანი პროფესიული მომზადება... შემოსავლის სიდიდეზე მოქმედი სხვა ფაქტორებიდან აღსანიშნავია ზეგანაკვეთური მუშაობა, აგრეთვე კომპენსაციები. შემოსავლის უთანასწორობაში საგრძნობ როლს ასრულებს საკუთრება და სიმდიდრე, რომლის ძირითადი ნაწილი მემკვიდრეობით გადაიცემა...“ [კახნიაშვილი, 1996: 456-458]

მეცნიერები **ა. სილაგაძე, ე. მექვაბიშვილი** და **ჯ. კახნიაშვილი** თვლიან, რომ შემოსავლებში უთანასწორობის მიზეზებია [სილაგაძე, მექვაბიშვილი, კახნიაშვილი, 2006: 340-347]:

- უთანასწორობა ნიჭიერებაში;
- უთანასწორობა განათლებაში;
- საკუთრების ფლობა;
- პროფესიული გემოვნება;
- ბაზარზე ბატონობა;
- იღბალი, კავშირები, წარმატება-წარუმატებლობა.

შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე სხვადასხვა ნაშრომებში თავისი კომპეტენტური აზრები აქვთ გამოთქმული პროფესორებს რ. ასათიანს, ვლ. პაპავას, რ. ოთინაშვილს, ნ. კახნიაშვილს და სხვებს. ისინი ძირითადად ეთანხმებიან სხვა მეცნიერებს, იმის დამატებით, რომ ისინი ხაზს უსვამენ უთანასწორობის გაღრმავებას და მის სოციალურად საშიშ ტენდენციას. ამ დასკვნას ისინი აკეთებენ, როგორც მთელი მსოფლიოს, ისე საქართველოს მაგალითზე, რომელიც მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბრო განაწილების კოეფიციენტით, ე. წ. ჯინის კოეფიციენტით კრიტიკულ ზღვარზე დგას (ჯინის კოეფიციენტის კრიტიკული ზღვარი 0,41-0,46 ფარგლებშია, საქართველოში კი 2018 წლის სტატისტიკური ინფორმაციით, მთლიანი ხარჯების მიხედვით, იგი შეადგენდა 0,42-ს) [„საქსტატის“ წელიწდეული, 2019: 59].

I.3. მეცნიერული კვლევები მოსახლეობაში შემოსვლის უთანასწორო განაწილებაზე

როგორც აღვნიშნეთ, შემოსავლების უთანასწორო განაწილების დონე იზომება ჯინის კოეფიციენტით. იგი იტალიელი მეცნიერი კორადო ჯინის სახელს ატარებს. იგი იყო პირველი, ვინც დაიწყო ამ პრობლემის მეცნიერული კვლევა. თუ ჯინის კოეფიციენტი 0-ის ტოლია, მაშინ შემოსავლები მოსახლეობაში აბსოლუტურად თანაბარია, თუ პირიქით 1-ია, მაშინ აბსოლუტურად უთანაბროა. აქედან გამომდინარე, როცა ფაქტიური ჯინის კოეფიციენტი 1-ის მიმართულებით იზრდება, ეს ნიშნავს შემოსავლების უთანაბროდ განაწილების დონის ზრდას და, პირიქით. დღეს საქართველოში სწორედ მისი შემცირების მდგომარეობაა, ანუ ჯინის კოეფიციენტის ტრენდი დაღმავალი ტენდენციისა.

ჯინის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით [Иванова, 1999: 437]:

$$k = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i$$

ფორმულაში მოცემული პირობითი აღნიშვნები შემდეგი შინაარსისაა:

k - არის ჯინის კოეფიციენტი.

p_i - არის იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი (ნაზრდი ჯამით), რომლებსაც გააჩნიათ მოცემული i-ური ჯგუფის არაუმეტეს მაქსიმალური მნიშვნელობის ტოლი შემოსავალი.

q_i - არის i-ური ჯგუფის შემოსავლების ხვედრითი წილი მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში (ნაზარდი კოეფიციენტის სახით).

მსგავსი ფორმულა, რომლითაც ასევე გამოითვლება მოსახლეობაში შემოსავლების უთანასწორობის დონე შემუშავებული აქვს ქართველ მეცნიერს, პროფესორ ბ. გაბიძაშვილს [გაბიძაშვილი, 2007: 498-499]. იგი მას კონცენტრაციის ინდექსს უწოდებს:

$$k_{\text{konc.}} = 1 - \sum_{i=1}^{n} (x_{i-1} + x_i) f_i$$

ფორმულაში:

$k_{\text{konc.}}$ - არის გარკვეული ფენების ხელში შემოსავლების თავმოყრის (კონცენტრაციის) კოეფიციენტი.

x_i - არის შემოსავლების ან დანახარჯების i-ური ვარიანტი, რომელიც გამოსახულია ხვედრითი წილით ათწილადებში ნაზარდი ჯამის მიხედვით.

f_i - არის i-ური ვარიანტის წონა, სიხშირე, რომელიც გამოსახულია ხშირადობით ათწილადებში.

$X_{i-1} = X_0$ და მიჩნეულია 0-ად.

შემოსავლების უთანასწორო განაწილების პრობლემა ყველა საუკუნეში იდგა, დღესაც დგას დ მომავალშიც იქნება. ცხადია, მისი მეცნიერული შესწავლა არ დაიწყებოდა მისი წარმოშობისთანავე. ეს მოგვიანებით მოხდა. ამ საკითხზე მომუშავე თითოეული მეცნიერი თავის შეხედულებას სამართლიანობის არგუმენტით ასაბუთებს. უცხოელი მეცნიერებიდან ამ სფეროში ყველაზე სიღრმისეული კვლევები აქვთ ჩატარებული სვიმონ კუზნეცს და ლორენცოს.

მეცნიერმა ლორენცომ ააგო მრუდი (ე. წ. „ლორენცოს მრუდი“) (იხ. ნახაზი 1), სადაც, „N ღერძი გვიჩვენებს მოსახლეობის რიცხოვნების ხვედრითი წონის განაწილებას უღარიბესი ფენიდან უმდიდრესამდე, ხოლო Y ღერძი - მოსახლეობის მიერ მიღებულ შემოსავლების ხვედრით წონას მთლიან შემოსავლებში, A წერტილი გამოხატავს შემოსავლების 100%-ის განაწილებას მოსახლეობის 100%-ზე, ხოლო E წერტილი მიუთითებს, რომ მოსახლეობის 50%-ს ეკუთვნის მთლიანი შემოსავლის 50%, რაც ნიშნავს შემოსავლების აბსოლუტურად თანაბარ გადანაწილებას მოსახლეობაზე“ [მაკალათია, 2014: 30]. რადგან საბაზრო ეკონომიკაში სრული თანასწორობა ვერ იქნება, შემოსავლების ფაქტიური განაწილება აისახება არა წრფეზე, არამედ, OFA მრუდით (ეს არის „ლორენცოს მრუდი“). „თუ OA დიაგონალსა და OFA წრფეს შორის არსებულ ფართობს გავყობთ OAB სამკუთხედის ფართობზე, მივიღებთ შემოსავლების უთანაბრობის კოეფიციენტს. ნახაზზე OA დიაგონალი გამოხატავს აბსოლუტურ თანაბარზომიერებას, ხოლო OFA მრუდი აბსოლუტურ არათანაბარზომიერებას. რაც უფრო უთანაბროა შემოსავლების განაწილება, მით უფრო მრუდი ჩაზნექილია B წერტილისკენ, ხოლო თუ განაწილებაში უთანაბრობა მცირდება, მაშინ ლორენცოს მრუდი უახლოვდება OA ბისექტრისას“ [ხარაიშვილი, გაგნიძე, ჩავლეიშვილი, 2007: 465].



ნახაზი 1. ლორენცოს მრუდი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოსავლების უთანასწორო განაწილების საკითხში ფუნდამენტური კვლევები აქვს სვიმონ კუზნეცსაც, რომელიც შემდეგ მეცნიერმა პ. ტოდარომ მწვავედ გააკრიტიკა. კუზნეცმა, ისე როგორც ლორენცომ, ააგო მრუდი (ნახაზი 2) და ამ მრუდზე თვალსაჩინოდ გვიჩვენა, რომ თავდაპირველად მართლაც არსებობს შემოსავლების არათანაბარი განაწილება. მაგრამ, სწორედ ამ პირობებში, როცა შემოსავლების უდიდესი ნაწილი ბიზნესმენებისკენ გადანაწილდება, ისინი ამ შემოსავალს ბიზნესში აბანდებენ, რითაც ეკონომიკა იზრდება. კუზნეცის მოსაზრებით ეს იწვევს ფართომასშტაბიან დასაქმებას და, ცხადია, შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის თანდათან შემცირებას.



ნახაზი 2. კუზნეცის მრუდი

„მეცნიერთა დიდი ნაწილი, - წერს პროფესორი რ. აბესაძე, თვლის, რომ ეს დებულება არასწორია, იგი ემსახურება მათ ინტერესებს, რომლებიც სარგებლობენ განა-

წილების უსამართლობით“ [აბესაძე, 2013: 210]. მართლაც, მეცნიერმა პ. ტოდარომ მკაცრად გააკრიტიკა ს. კუზნეცის მოსაზრება, შემდეგი არგუმენტებით [Тодаро, 1997: 152]:

- „მდიდარი მოსახლეობა არ ისწრაფვის წარმოებაში ინვესტირებისკენ. მათ უჯობთ უძრავი ქონების შეძენა. ასეთ შემთხვევაში როგორ გაიზრდება სამუშაო ადგილები?
- მცირე შემოსავლების დროს ძალზე დაბალია სამუშაო ძალის ჯანმრთელობის მდგომარეობაც და განათლებაც. ასეთ პირობებში, როგორ ეკონომიკურ ზრდასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მათ არავინ დაასაქმებს;
- სტაბილურ ქვეყანაში სავსებით შესაძლებელია შემოსავლების სტაბილური განაწილებაც და ეკონომიკური ზრდაც და ა. შ.“

შემოსავლების უთანაბრო განაწილების საკითხზე არსებული მეცნიერთა ასეთი პოლემიკები გვაფიქრებინებს, რომ ეს საკითხი საბოლოოდ შესწავლილი არ არის. თეორიული ლიტერატურის ანალიზით ირკვევა, რომ მთელ მსოფლიოში შემოსავ-ლების განაწილებაში ორი მეცნიერული კონცეფცია დომინირებს [პაპაშვილი, 2018: 59]:

1. შემოსავლების თანაბარი განაწილების კონცეფცია.
2. შემოსავლების არათანაბარი განაწილების კონცეფცია.

ერთსაც თავისი მიმდევრები ჰყავს და მეორესაც. ორივე მიდგომა სამართლია-ნობის პრინციპის დაცვის ეგიდით ასაბუთებს თავის შეხედულებებს.

მეცნიერები ე. ხარაიშვილი, ი. გაგნიძე და სხვები, ნაშრომში „მიკროეკონომიკა“ შემოსავლის განაწილებაზე არსებულ მეცნიერთა შეხედულებებს სამართლიანობის კუთხით 4 ჯგუფად აჯგუფებენ [ხარაიშვილი, გაგნიძე, ჩავლეიშვილი, 2007: 465]:

„**პირველი ჯგუფი**: საზოგადოების ყველა წევრი თანაბარი რაოდენობით იღებს შემოსავალს.

მეორე ჯგუფი: ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანები მინიმა-ლური სარგებლით არიან უზრუნველყოფილნი.

მესამე ჯგუფი: საზოგადოების ყველა წევრის შემოსავალი მაქსიმალურია.

მეოთხე ჯგუფი: ბაზარი აჯილდოვებს და მეტ შემოსავალს აძლევს იმას, ვინც ნიჭიერი და ინიციატივიანია“.

პირველი ჯგუფის შეხედულებებს ეგალიტარული ეწოდება, მეორეს - როულ-ზიანური, მესამეს - უტილიტარული, მეოთხეს - ბაზარზე ორიენტირებული.

თუ ამ ჯგუფებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მეოთხე ჯგუფში შემავალი მეცნიერები შემოსავლის არათანაბარ განაწილებას უჭერენ მხარს, დანარჩენ სამ ჯგუფში შემავალი მეცნიერები კი - თანაბარ განაწილებას.

უთანასწორობის მომხრეები (ე. ლაზეარი და ს. როზენი), ასაბუთებენ, რომ „მისი გარკვეული დონე არ არის პრობლემა, რადგან ის არის მოტივაცია ადამიანებისთვის, რომ საქმიანობაში საუკეთესო შედეგს მიაღწიონ, შეეჯიბრონ ერთმანეთს, დაზოგონ დრო და ინვესტიცია ჩადონ უკეთესი ცხოვრების მისაღწევად... უთანასწორობამ შეიძ-ლება პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან იგი წარმო-შობს მოტივაციას ინოვაციებისა და მეწარმეობისთვის“ [Lazear, Rosen, 1981: 841-864]. ამის დაშვებას და ამის შენარჩუნებას განსაკუთრებით მოითხოვს განვითარებადი ქვეყნებისთვის მეცნიერი რ. ბარო, იმ მოტივით, რომ „ეს ვითარება წაახალისებს ინდივიდების რაღაცა გარკვეულ რაოდენობას დააგროვონ კაპიტალი ბიზნესის დასაწყებად და მიიღონ კარგი განათლება“ [Barro, 2000: 5-32].

ამის საპირისპიროა შემოსავლების თანასწორი განაწილების მომხრეების აზრი. მაგალითად, ჯ. სტიგლიცის აზრით, „უთანასწორობა არ ქმნის სწორ მოტივაციას. ასეთმა მოქალაქეებმა შეიძლება დაკარგონ მომავლის რწმენა და თავისი ძალისხმევა მიმართონ პროტექციის უზრუნველსაყოფად“ [Stiglitz, 2012].

ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორის - რ. უილკინსონის გამოკვლევით, დასტურდება, რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოქალაქეთა ცხოვრების საერთო დონესა და ქვეყანაში შემოსავლების დიფერენციაციას შორის. უილკინსონის მთავარი დასკვნა ისაა, რომ ცალკეულ მოქალაქეთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ის, თუ როგორ ხდება შემოსავლების განაწილება სხვადასხვა ეკონო-მიკურ დონეზე [თოდუა, 2016: 470].

შემოსავლების უთანაბრო განაწილების უარყოფითი შედეგები წარმოადგინეს არა მხოლოდ ცალკეულმა მეცნიერებმა, არამედ, ავტორიტეტულმა კვლევითმა ცენტ-რებმაც. მაგალითად, სავალუტო ფონდის კვლევებმა აჩვენა, რომ შემოსავლების უთანა-სწორობა ნეგატიურად აისახება ეკონომიკის ზრდაზე და ქვეყნის სტაბილურობაზე [Ostry, Verg, 2014]. ის ფაქტი, რომ შვედეთში უზრუნველყოფილია შემოსავლების

სამართლიანი განაწილება და ცხოვრების მაღალი დონე, მიუთითებს იმაზე რ. უილკინსონი თავის დასკვნებში მართალია. შვედეთს კეთილდღეობის ქვეყანას უწოდებენ. მეტად საყურადღებოა პროფესორ გ. მალაშხიას არაორდინალური გამოკვლევა - „სიმდიდრის სიკეთის პოტენციალი და სამომავლო კეთილდღეობა“, რომელშიც მან სიმდიდრის პოტენციალი გამოიკვლია და მისი დაკარგვის ერთ-ერთ დიდ მიზეზად დოვლათის უსამართლო განაწილება, ზედმეტი უთანაბრობა, ცალკეულ ინდივიდთა და მათი ჯგუფების ხელში მისი დიდი ნაწილის თავმოყრა დაასახელა [მალაშხია, 2012: 76]. „ამის გამო, - წერს გ. მალაშხია, - საზოგადოების ერთ ნაწილში გროვდება დოვლათის სიჭარბე (ზედმეტობა), რაც არ არის მოხმარებული, საღი აზრით გამოყენებული და არ ტრანსფორმირდება სოციალურ სიკეთეში. შექმნილი პროდუქტი გადაიქცევა ზედმეტად, როცა ის არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ და არც მოიხმარება გონივრული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ან კიდევ სრულიად გაქვავებულია, გამოუყენებელია. ისტორიულად ეს ყოველთვის იყო უსამართლო განაწილების შედეგი და რჩება ასეთად. ეს არის ისტორიის უდიდესი მანკიერება, რაც დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების დაბალ დონესთან, სიხარბესთან, ზომიერების დაკარგვასთან...“ [მალაშხია, 2012: 77].

პროფესორ გ. მალაშხიას ამ მიგნების რეალური მაგალითები საქართველოშიც მრავლადაა და სხვაგანაც. საქართველოს სამთავრობო ელიტის მილიონერებს უამრავი უძრავი ქონება აქვთ შეძენილი, რომელიც უქმადაა და არავითარ სიკეთეს არ იძლევა. განსაკუთრებით ეს ეხება ათასობით ჰექტარ მიწებს, რომლებიც წლიდან-წლამდე დაუმუშავებელი აქვთ. ასეთ დროს საქართველოს მოსახლეობის 40-50% შიმშილობს.

მანვე დაადგინა, რომ შემოსავლების უთანაბრობა ამცირებს ინვესტიციებს, ხელს უწყობს კრიზისებს, დისბალანს და იწვევს კონფლიქტებს. თითოეულ მათგანს სავალუტო ფონდის წარმომადგენლები შემდეგნაირად ასაბუთებენ:

- **„ფინანსური კრიზისები**. სულ უფრო მეტი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ მდიდარების მზარდი ზეგავლენა და ღარიბი და საშუალო კლასების შემოსავლების შემცირება კრიზისების მიზეზი ხდება, რაც ახლო თუ შორეულ პერსპექტივაში პირდაპირ ზიანს მიაყენებს ეკონომიკურ ზრდას. კერძოდ, სსფ-ს კვლევებმა აჩვენა, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მაღალი დონის უთანასწორობა განვითარებულ ქვეყნებში დაკავშირებულია გლობალურ ფინანსურ კრიზისთან, რადგან ის

ხელს უწყობს ზეგავლენების ზრდას, კრედიტების ვადის გახანგრძლივებას, იპოთეკური სესხების დაზღვევის პირობების შემსუბუქებას, საშუალებას აძლევს ლობისტებს, რომ მთელი ძალით იბრძოლონ ფინანსური დერეგულაციისთვის“ [Roine, Waldenstrom, 2009: 974-988].

➢ **„გლობალური დისბალანსი**. მდიდართა კლასის მაღალი შემოსავლები ფინანსურ ლიბერალიზაციასთან ერთად, რაც თავის თავად შესაძლოა, საპასუხო პოლიტიკა იყოს შემოსავლების მზარდ უთანასწორობაზე, დაკავშირებულია არსებითად უფრო დიდ საგარეო დეფიციტთან. ასეთი დიდი გლობალური დისბალანსი შესაძლოა, პრობლემად იქცეს მაკროეკონომიკური და/ან ფინანსური სტაბილურობისთვის და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდისთვისაც“ [Bernanke, 2011].

➢ „**კონფლიქტები**. უკიდურესმა უთანასწორობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის ნდობას, სოციალურ სამართლიანობას და გამოიწვიოს კონფლიქტები, რაც შეამცირებს ინვესტიციებს. კონფლიქტები განსაკუთრებით ბევრია რესურსების მენეჯმენტში, სადაც შემოსავლების უთანაასწორობა კონფლიქტების მოგვარებას ართულებს. საზოგადოდ, უთანაასწორობა გავლენას ახდენს კონფლიქტის ეკონომიკაზე, რადგან მას შეუძლია გააძლიეროს გარკვეული ჯგუფების უკმაყოფილება ან შეამციროს ძალადობრივი კონფლიქტის ინიცირების ან მასში ჩართვის ღირებულება“ [Lichbach, 1989: 431-470].

სავალუტო ფონდის გამოკვლევით ასევე დადგინდა, რომ „გარდა იმისა, რომ უთანასწორობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ფაქტორებზე, მან შეიძლება შედეგად მოიტანოს არასწორი საჯარო პოლიტიკა. კერძოდ, ეკონომიკური ლიბერალიზაციის მიმართ უარყოფითი რეაქცია, ზეწოლა გლობალიზაციისა და ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების წინააღმდეგ. ამავე დროს, მდიდართა ელიტის კიდევ უფრო გაზრდილმა ძალაუფლებამ შეიძლება შედეგად მოიტანოს ისეთი საზოგადოებრივი ფასეულობების შეზღუდვა, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და დიდი სარგებლობა მოაქვს ღარიბთა კლასისთვის“ [Putman, 2000].

იგივე დასკვნა გამოიტანა მსოფლიო ბანკის კვლევებმა. მისი დასკვნა ასეთია: „თუ მდიდართა კლასის შემოსავლების წილი 1%-ით იზრდება, მაშინ მომდევნო 5 წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებელი ფაქტიურად 0,08%-ით კლებულობს, ხოლო თუ ღარიბთა 20%-ის შემოსავლების წილი

ასევე იზრდება, მაშინ 0,38%-ით უფრო მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი იქმნება“ [Sott Database, 2012].

სადისერტაციო თემაზე მუშაობისას ჩვენ გავეცანით აგრეთვე შედარებით ახალ კვლევებს, რომლებიც შემოსავლების უთანაბრო განაწილების სხვადასხვა ასპექტებს ეხებოდა. მათი ნაწილი უცხოური კვლევებია, ნაწილი ქართული. ქვემოთ წარმოვადგენთ მათ მიმოხილვას და გავაკეთებთ დასკვნებს. მაგალითად:

- **Era Dabia-Norris, Kalpana Kochhar, Nujin Suphaphiphat, Frantisek Ricka, Evridik: Tsounta, Causes and Consequences of Income Inequality: A Global Perspective, International. Monetory Fund, June, 2015.** მოცემული ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოს მოსახლეობაში შემოსავლების განაწილებაში გლობალურ უთანასწორობას. პერიოდულად ამ პრობლემას იკვლევდა მსოფლიო ბანკი, გაერო, სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემა არის მეტად მნიშვნელოვანი.

დასახლებული კვლევა სავალუტო ფონდის მიერ არის შესრულებული 2015 წელს. ამ კვლევაში განხილულ პრობლემაზე სხვადასხვა მეცნიერთა (ჯ. სტიგლიცი, ს. როსენი, ე. ლაცეარი, ა. ატკინსონი, ტ. პიკეტი, ა. კასტელო-კლიმენტი, ტ. ჰუნგერ-ფორდი და სხვები) პოზიციების გადმოცემით და მათი ურთიერთშედარებით გაკეთებულია სამი მნიშვნელოვანი დასკვნა: პირველი, რომ შემოსავლებში გლობალურ უთანასწორობას ხელი შეუწყო თანამედროვე ეპოქაში მომხმდარმა რევოლუციურმა, ნახტომისებურმა პროგრესმა, რომელმაც თავის მხრივ, გამოიწვია სხვადასხვა განათლების მქონე პირთა ხელფასებს შორის დიდი სხვაობა. მეორე - ქვეყნების მთავრობების მიერ მოსახლეობის ღარიბ და საშუალო კლასებზე მიმართული პოლიტიკა შეამცირებს მათ შემოსავლებში უთანასწორობას. მესამე - უთანასწორობა ვერ გადაწყდება ერთნაირი მიდგომით, რადგან, ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა გააჩნია.

სავალუტო ფონდის ამ გამოკვლევაში ერთმანეთს არის შედარებული მეცნიერ ე. ლაცეარის და მეცნიერ ჯ. სტიგლიცის შეხედულებები შემოსავლებში უთანასწორობაზე. ლაცეარის აზრით, უთანასწორობა წარმოშობს მოტივაციას, და, რადგან, ეს ასეა, მან შეიძლება დადებითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამ შეხედულებას აბათილებს ჯ. სტიგლიცი, რომელსაც მიაჩნია, რომ უთანასწორობა არ ქმნის სწორ მოტივაციას.

შემოსავლების უთანასწორობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ნაშრომში ასე არის დახასიათებული: თუ იზრდება მდიდარი კლასის შემოსავალი 1%-ით, ეს იწვევს შემდეგ წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 0,08%-ით შემცირებას, ხოლო თუ 1%-ით იზრდება ღარიბი კლასის შემოსავალი, მაშინ, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 0,38%-ით მეტად იზრდება.

სავალუტო ფონდის ამ კვლევაში ნაჩვენებია, რომ დღეს, მსოფლიო მოსახლეობის ზედა 1%-ის (მდიდრების) შემოსავალი არის მთლიანი შემოსავლის 10%. ისინი ფლობენ მსოფლიო სიმდიდრიდან 110 ტრილიონ დოლარს (ანუ ნახევარს), რაც 65-ჯერ აღემატება მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის ნახევრის ქონებას.

მოცემულ კვლევაში გაანალიზებულია აგრეთვე უთანაბრობა განათლებასა და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობაში. დადგენილია, რომ 20-22 წლის მანძილზე (1992-2012 წ.წ.) განვითარებულ ქვეყნებში იგი თითქმის უცვლელი დარჩა. იქ წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე თითქმის ერთნაირია, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად და ახალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებზე.

სავალუტო ფონდის დასახელებულ კვლევით ჩვენ დავინახეთ, რომ ეს პრობ-ლემა უდგას მთელ მსოფლიოს და არა მხოლოდ საქართველოს და ის ღონისძიებები, რაც განვითარებულმა ქვეყნებმა გაატარეს უთანასწორობის შესარბილებლად უნდა გამოვიყენოთ ჩვენც.

➢ **Jonathan Fisher and Timothy Smeding, Income inequality, State of the Union, The Stanford Center on Poverty and Inequality, Report, 2016.** დასახელებული კვლევა ეხება როგორც შემოსავლებში უთანასწორობას, ისე სიმდიდრეში უთანასწორობას. კვლევა ჩატარებულია 8 ქვეყნის (აშშ, ავსტრია, ისლანდია, კანადა, იტალია, შვედეთი, ნორ-ვეგია და საფრანგეთი) მაგალითზე. ყველა გამოკვლეულ ქვეყანაზე გამოანგარიშე-ბულია უთანასწორობის ჯინის კოეფიციენტი და შედარებულია იგი 1978 წლის ჯინის კოეფიციენტთან. ავსტრალიაში იგი 16,7%-ით გაზრდილა, აშშ-ში 18%-ით, ნორვეგიაში 8,7%-ით და ა. შ.

იმავე ქვეყნების მაგალითზე გამოანგარიშებულია ქონებაში უთანასწორობაც. აღმოჩნდა, რომ გერმანიაში მდიდრების 10% ფლობს სიმდიდრის 60% და შემოსავ-ლების 25%-ს, ამერიკაში, შესაბამისად, სიმდიდრის 75%-ს და შემოსავლების 30%-ს და ა. შ.

➢ **Household Income or Consumption by percentage Stare, Central Intelligfnce Agency, 2015.** ეს კვლევა ეძღვნება მსოფლიოს 231 ქვეყნის ოჯახების გამოკვლევას მათი შემოსავლების უთანასწორობის კონტექსტში. ერთმანეთს შედარებულია უმდიდრესი ოჯახების 10% და უღარიბესი ოჯახების 10%.

ამ კვლევით ვიგებთ, რომ უმდიდრესი ადამიანების 10%-ის წილი რუსეთში 42,4%-ია, საქართველოში - 31,3%, ბრაზილიაში - 43%, ჩილეში - 42,8%, გვატემალაში - 42,4%, პარაგვაიში - 41,1%, ჰაიტზე - 47,4% და ა. შ.

რაც შეეხება უღარიბეს მოსახლეობას, მათი 10%-ის წილი შემოსავლებში შეადგენს - ჰაიტზე - 0,7%-ს, საქართველოში - 2%-ს, კოლუმბიაში - 1,1%-ს, ბოლივიაში - 0,8%-ს, ანგოლაში - 0,6%-ს, ჰონდურასში - 0,4%-ს და ა. შ.

➢ **Income inequality remains high in the face of weak recovery, November, 2016, OECD.** ეს კვლევა განხორციელდა 2016 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქვეყნებში. მან მოიცვა 2007-2014 წლები. კვლევა ჩატარდა 35 ქვეყანაში. კვლევაში ნაჩვენებია როგორც მდიდარ მოსახლეობის 20%-სა და ღარიბ მოსახლეობის 80%-ის შემოსავლებს შორის სხვაობა, ისე ჯინის კოეფიციენტი და ისე მდიდარ 10%-ის წილი მთელ შემოსავლებში.

კვლევით დადგენილია ჯინის კოეფიციენტში ცვლილებები 2014 წელს 2007 წელთან შედარებით, სახელდება შემდეგი სახელმწიფოები: აშშ - 0,39 (2007 წელს იყო 0,37), იაპონია - 0,33 (2007 წელს იყო 0,329), ფინეთი - 0,257 (2007 წელს იყო 0,32), კანადა - 0,32 (2007 წელს იყო 0,32), ავსტრია - 0,28 (2007 წელს იყო 0,285), უნგრეთი - 0,288 (2007 წელს იყო 0,271), ჩეხოსლოვაკია - 0,262 (2007 წელს იყო 0,257), ისრაელი - 0,365 (2007 წელს იყო 0,365) და ა. შ. ამ გამოკვლევით მდიდართა 20%-ის და ღარიბთა 10%-ის წილები შემოსავლებში შემდეგი აღმოჩნდა: აშშ-ში მდიდართა 20% ფლობს შემოსავლის 29,2%-ს, კანადაში - 24,2%-ს, ნორვეგიაში - 34,5%-ს, გერმანიაში - 23,5%-ს, თურქეთში - 28,6%-ს და ა. შ. ღარიბთა 10%-ის ხელშია თურქეთში შემოსავლის 2,3%, აშშ-ში - 1,6%, მექსიკაში - 1,7%, ისლანდიაში - 4,1% და ა. შ.

➢ **World Emplooyment Social Outlook, Trends, International Labour Organization, Geneva, 2015.** ეს კვლევა ეძღვნება სიღარიბეს და შემოსავლების არათანაბარ განაწილებას მსოფლიოს რეგიონებში. კვლევაში ჩართულია: ჩრდილო ამერიკა, აზია, ევროკავშირი, ლათინური ამერიკა, აფრიკა, აღმოსავლეთ ევროპა.

ცალკე გამოკვლეულია პოსტსაბჭოთა ქვეყნები და მათი ჯინის კოეფიციენტები ერთმანეთს არის შედარებული.

კვლევა ეხება 2007-2012 წლებს. ამ წლებში ნაჩვენებია, რომ საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 0,406-დან 0,421-მდე არის გაზრდილი. ასეთი დიდი ზრდა არცერთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანას არ ჰქონდა. ჯინის კოეფიციენტის ზრდა შემოსავლების უთანასწორობის გაღრმავებას ნიშნავს. დღეს, ეს ვითარება გაუმჯობესებულია, მაგრამ, უთანასწორობა მაინც მაღალია.

➢ **ჩიქავა ლ. სოციალური უთანასწორობა და მისი გამოთანაბრების გზები, ჟ. „მეცნიერება და კულტურა“, #2, 2013.** მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია გაეროს მიერ 121 ქვეყანაში ჩატარებული კვლევა სოციალური უთანასწორობის დონის დასადგენად. ამ კვლევით მეცნიერი ქვეყნებს ასე აჯგუფებს:

- ❖ ქვეყნებად, რომელთა დეცილური კოეფიციენტი არ აღემატებოდა 10-ს (ამ ჯგუფში შედიოდა 46 სახელმწიფო და მათ შორის ყველაზე სანიმუშო იყო იაპონია. მისი მდიდრების 10%-ის შემოსავალი მხოლოდ 4,5-ჯერ აჭარბებდა ღარიბების შემოსავალს);
- ❖ ქვეყნები, რომელთა დეცილური კოეფიციენტი 10-20-ის ფარგლებშია (ამ ჯგუფში შედიოდა 47 ქვეყანა, მ. შ. საქართველო, რომლის უმდიდრესთა 10%-ის შემოსავალი 17-ჯერ აღემატებოდა ღარიბ 10%-ის შემოსავალს);
- ❖ ქვეყნები, რომელთა დეცილური კოეფიციენტი მერყეობდა 21-30-ს შორის (ამ ჯგუფში შედიოდა 8 ქვეყანა);
- ❖ ქვეყნები, რომელთა დეცილური კოეფიციენტი მერყეობდა 31-40-ს შორის (აქ შედიოდა 6 ქვეყანა. ექვსივე ძალზე ღარიბი);
- ❖ ქვეყნები, რომელთა დეცილური კოეფიციენტი მერყეობდა 41-50-ის ფარგლებში. აქ შედიოდნენ ქვეყნები, რომელთა მდიდრების შემოსავალი 41-ჯერ მეტი იყო ღარიბებზე (არგენტინა), 43-ჯერ მეტი (გვატემალა) და ა. შ.;
- ❖ ქვეყნები, რომელთა დეცილური კოეფიციენტი 50-ს აღემატებოდა. ამ ჯგუფში შევიდა 11 ქვეყანა. მათ უთანასწორობის უკიდურესად მაღალი დონე აღმოაჩნდათ. ასეთი იყო ბოლივია, პანამა, ჰაიტი, ნამიბია და სხვები. მაგალითად, ბოლივიაში მდიდართა შემოსავალი 168,5-ჯერ მეტია ღარიბთა შემოსავალზე.

➢ **კახნიაშვილი ნ. სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები, დისერტაცია, 2016.** მოცემული ნაშრომი 4 თავისგან შედგება. პირველ თავში განხილულია სიღარიბის სახეები, მეორეში - სიღარიბის მიზეზები, მესამეში - უმუშევრობა, როგორც სიღარიბის საფუძველი. გაანალიზებულია უმუშევრობის შედეგები საქართველოში და გაკეთებულია დასკვნები, შესწავლილია საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური და შეფარდებითი სიღარიბე, ჯინის კოეფიციენტი და საარსებო კალათა. ავტორი ასკვნის, რომ საქართველოში 959533 კაცი ცხოვრობს მედიანური მოხმარების 60%-ის მიღმა, ხოლო 376639 კაცი 40%-ის მიღმა.

ჩვენი სადისერტაციო თემიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით საინერესო იყო მეცნიერ ნ. კახნიაშვილის მიგნებები საქართველოში სიღარიბის დაძლევის მიმართულებით. ამ საკითხს ეძღვნება მეოთხე თავი. ამ სიღარიბის დაძლევისთვის მეცნიერი საჭიროდ თვლის ინკლუზიური ბიზნესის განვითარებას, მიკრო-ლიზინგს, მიკრო-დაზღვევას და დაბეგვრის სისტემის მოწესრიგებას. ყველა ეს წინადადება არგუმენტირებულად არის დასაბუთებული და საქართველოს სპეციფიკას მორგებული. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში „საქსტატი“ აღარც სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის მაჩვენებელს აქვეყნებს და არც ინფორმაციას მის საანგარიშოდ. არც ცხადდება 10 დეცილური ჯგუფის შემოსავლები და ხარჯებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება სიღარიბის რეალური მდგომარეობის დასაფარავად.

➢ **გაბელაშვილი ა. მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისა და რეგულირების მეთოდოლოგიური საკითხები საქართველოში, დისერტაცია, თბ., 2013.** ჩატარებულია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ისეთი მაჩვენებლების ანალიზი, როგორიცაა, სულადობრივი შემოსავლები, ხარჯები, მთლიანი შიდა პროდუქტი. გამოთვლილია მათი დინამიკა და შეფასებულია ტრენდის ტენდენცია. გაანალიზებულია აგრეთვე აბსოლუტური და შეფარდებითი სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტი. ავტორი ამ მაჩვენებლებს აკავშირებს საარსებო კალათასთან და გამოაქვს დასკვნა, რომ საარსებო კალათა ანუ მინიმალური საარსებო მინიმუმი საქართველოში არის მცირე. დისერტაციის ავტორი იძლევა მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს.

➢ **რაბიტაშვილი ნ. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში, დისერტაცია, ბათუმი, 2012.** მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია

საქართველოს (მ. შ. აჭარის) სოფლების და ქალაქების მცხოვრებთა შემოსავლები, კერძოდ, მათი სტრუქტურა, დინამიკა. ჩატარებულია შედარებითი ანალიზი. იგივე გაკეთებულია ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე - აბსოლუტურ და შეფარდებით სიღარიბეზე, შემოსავლების უთანასწორო განაწილებაზე და ა. შ. დადგენილია, რომ მთიან აჭარის რაიონებში შემოსავლებში უთანასოწორობა უფრო მაღალია, ვიდრე ბარში, კერძოდ, ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში. თუმცა, ამ რაიონებში შემოსავლების დიფერენციაციაც არ არის დადებითად შეფასებული.

შემოსავლების განაწილებაზე ჩვენს მიერ ამ ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერების და ცალკეული კვლევითი ცენტრების დასკვნები, გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ამ პრობლემაზე საკმაოდ ბევრი ნაშრომებია შექმნილი და საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები აქვთ არათანაბარი განაწილების მომხრეებსაც და თანაბარი განაწილების მომხრეებსაც. ამიტომაც არის, რომ მათ შორის პოლემიკა ამ საკითხზე ჯერ არ დამთავრებულა.

და მაინც, ჩვენი გადასახედიდან ერთი აშკარად ჩანს: ღარიბი ქვეყნები და ღარიბი მოსახლეობა მხარს უჭერს თანაბარ განაწილებას, მდიდარი ქვეყნები და მდიდრების (ელიტების) ფენა - არათანაბარ განაწილებას. სწორედ მდიდართა მზარდი ზეგავლენის წყალობით მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი კიდევ უფრო ღარიბდებიან. XIX საუკუნეში მდიდარ ქვეყნებში სულადობრივი შემოსავალი 6-ჯერ უფრო მაღალი იყო, დღეს კი, იგი 40-ჯერ მეტია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში“ [Мир В 2050 году, 2012: 153]. მეცნიერები შეშფოთებული არიან და კითხულობენ: „ხომ არ ვბრუნდებით უკან ფეოდალიზმში, როცა მოსახლეობის უმცირესობა ყველაფერს ფლობდა და ფუფუნებაში იზოლირებულად და წყნარად ცხოვრობდა, ხალხთა დიდი რაოდენობა კი მუდმივ გაურკვევლობასა და იმედგაცრუებაში ცხოვრობდა“ [ჯოლია, 2016: 426-427].

შემოსავლებში არსებული უთანასწორობა დღეს გლობალურ პრობლემად განიხილება. ამ საკითხის გადაწყვეტისადმი არც მეცნიერებაში და არც სამთავრობო სტრუქტურებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ყველა ქვეყნის ღარიბები მოითხოვენ თანასწორობას, მდიდრებს კი არ აწყობთ იგი. მთავრობები კი მდიდრებითაა დაკომპლექტებული. საქართველოს მთავრობაში 40-ზე მეტი მილიონერია (ბ. ივანიშვილი - 5,5 მლრდ აშშ დოლარი, კახა კალაძე - 36 მილიონი, გიორგი გახარია 5

მილიონი, ი. კოვზანაძე - 2 მილიონი, ქ. ციხელაშვილი - 9 მილიონი დოლარი და ა. შ.) [გაზეთი„ბანკები და ფინანსები“, 17.07.2017: 3]. ცხადია, ისინი არასოდეს არ დაუ-ჭერენ მხარს ქვეყანაში სიმდიდრის გადასახადის შემოღებას და არც პროპორციული საგადასახადო რეჟიმის შეცვლას პროგრესული რეჟიმით. ასეთ შემთხვევაში მათი შე-მოსავლების გადანაწილება მოხდება ღარიბებზე. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა - მამუკა ბახტაძემ ამ თანამდებობაზე მის დანიშვნის დღეებშივე განაცხადა მთავრობის მზად-ყოფნა ქვეყანაში შემოიღონ პროგრესული გადასახადი. ეს მან 2018 წლის ივლისში დააანონსა. მას შემდეგ გავიდა თითქმის 3 წელი და ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობას ჯერ-ჯერობით არანაირი ღონისძიება არ გაუტარებია. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროგრესული საგადასახადო რეჟიმის დანერგვას საქართველოში აფერხებს თვითონ მთავრობა, რადგან იგი მდიდრებითაა დაკომპლექტებული.

I.4. უთანასწორობა შემოსავლებში, როგორც ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობის საფუძველი

კაცობრიობის ცივილიზაცია ადამიანთა განათლების შედეგად მიღებული ცოდნის შექმნილია. ადამიანში ჩადებულია სწრაფვა განათლების მიღებისკენ. მას სურს შეიცნოს სამყარო და მასში თავისი თავი დაიმკვიდროს.

„პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, - წერს ქართველი მეცნიერი გ. ჯოლია, - რომ თანა-მედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, როცა ადამიანს განათლების მისაღებად გაცილებით მეტი შესაძლებლობა მიეცა, მსოფლიო მასშტაბით განათლების კრიზისი შეიმჩნევა, რაც შემდეგ ნეგატიურ ტენდენციებში ვლინდება: „წერა-კითხვის უცოდი-ნართა რაოდენობა მატულობს; განათლების ხარისხი კლებულობს; განათლებასა და მეცნიერებას შორის სხვაობა დიდდება; განათლების პროცესიდან მოსწავლის (სტუ-დენტის) თანდათან განრიდება ხდება“ [ჯოლია, 2016: 92].

განათლების ეს კრიზისი მსოფლიოში 70-იან წლებში დაიწყო. ამის საფუძვლად ფრანგმა მეცნიერმა ფ. კუმბსმა სამი მიზეზი დაასახელა [Кумбс,1970: 293]: „1. განათ-ლებაზე მასების მოთხოვნილებას არსებული საგანმანათლებლო ქსელი ვერ აკმაყო-ფილებს. 2. განათლების სისტემა ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო ახალ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. განათლების სისტემის შინაგანი წყობა ინერტულია“.

ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა განათლება ორიენტირებული იყო ინდივიდის (მოსწავლე, სტუდენტი) გონებაში ინფორმაციის „ჩატვირთვაზე“, დღეს განათლებაში იგი კრეატულმა (შემოქმედებითმა) მიდგომამ შეცვალა. მაშასადამე, წინა პლანზე არის წამოწეული არა „ბევრი“ ცოდნის დაგროვება, არამედ, ღრმა აზროვნება. ამ მიმართულებით დიდი რეფორმები ჩატარდა საქართველოს განათლების სისტემაშიც, მაგრამ რა? აი, რას წერს ამის შესახებ პროფესორი რ. ასათიანი: „განათლების სისტემის რეფორმირებამ საქართველოში განათლების ხარისხი ვერ გააუმჯობესა, მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით გააუარესა კიდეც“ [ასათიანი, 2013: 133].

ახლა ისმება კითხვა: ყველა ქვეყნის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, თუ არა? ხოლო თუ აკმაყოფილებს, ყველა მოსწავლეს (სტუდენტს) შეუძლია იქ განათლების მიღება? ამ კითხვას ვსვამთ იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლებლები, რომლებმაც შეძლეს ქ. ბოლონიაში (იტალია) მიღებული „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ მოთხოვნების შესაბამისად ტრანსფორმაცია და ახალი საგანმანათლებლო მოდელის დამკვიდრება, ერთეულებია მსოფლიოში. იქ სწავლა ძვირადღირებულია და მათზე წვდომა ფინანსური თვალსაზრისით მხოლოდ მდიდარი ოჯახის შვილებს აქვთ. „დაბალი ფინანსური შესაძლებლობების გამო, მხოლოდ მცირე ჯგუფს ეძლევა უცხოეთის უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამებით სწავლის შესაძლებლობა“, - წერს პროფესორი ვ. სართანია [სართანია, 2013: 459]. ასეა ყველგან, სადაც შემოსავლები მოსახლეობაში უთანაბროდ ნაწილდება. ასეთი ქვეყანაა საქართველოც.

არადა, მოსახლეობის შემოსავლების სიდიდე მათ მიერ განათლების მიღებასთან პირდაპირ კავშირშია. კარგი განათლების მიღება დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. ამ საკითხზე სავალუტო ფონდმა კვლევები ჩაატარა ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აზიაში და სუბსაჰარის აფრიკაში. კვლევის მიზანი იყო ღარიბ და მდიდარ მოსახლეობაში 4 კლასზე ნაკლები განათლების მქონე 20-24 წლის ასაკის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილის დადგენა. ეს გამოკვლევა იხილეთ ნახაზზე 3 [Costello_Climent A. and Donenech R, 2014].

ეს გრაფიკი შემდეგნაირად აიხსნება: სუბსაჰარის აფრიკაში (როგორც ცნობილია, სუბსაჰარა არის აფრიკის ყველაზე ღარიბი რეგიონი) ღარიბი მოსახლეობის 20%-ის გამოკვლევით დადგინდა, რომ მათ 60%-ს არა ჰქონდა 4 კლასის განათლება, იგივე

მდგომარეობაში იყო მათი მდიდარი მოსახლეობის 15%. სხვა რეგიონებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა: აზიაში - 40%-ს და 10%-ს; ლათინურ ამერიკაში - 30%-ს და 5%-ს; ევროპაში - 1%-ს და 0%-ს.

ვიცით რა, რომ ევროპის ქვეყნები ძირითადად მაღალგანვითარებული ქვეყნებია, და რომ მათთან შემოსავლების განაწილების უთანაბრობის კოეფიციენტებიც დაბალია (0,27-0,30), ეს გვაძლევს უფლებას გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ამან განაპირობა ევროპის ღარიბებში 4 კლასის განათლების მქონეთა მხოლოდ 1% და მდიდრების - 0%. ევროპასთან შედარებით ლათინური ამერიკაც ღარიბია და აზიაც. ამიტომ აზიაში ღარიბების 40%-ს, ხოლო ლათინურ ამერიკაში 30%-ს 4 კლასის ცოდნაც კი არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ვაკეთებთ კიდევ უფრო ლოგიკურ დასკვნას: რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მის ღარიბებშიც და მდიდრებშიც უფრო მეტია დაწყებითი განათლების (0-4 წლამდე სწავლა) არმქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი.



პირობითი აღნიშვნები:
1 - ყველაზე ღარიბების მეხუთედი
2 - ყველაზე მდიდრების მეხუთედი

ნახაზი 3. ოთხ კლასზე ნაკლები განათლების მქონე მოსახლეობის ხვ. წონა (1-ით აღნიშნულია ღარიბების 20%, 2-ით მდიდრების 20%)

ამ საკითხის შესწავლა ჩვენ დავიწყეთ იმის საჩვენებლად, რომ ღარიბებს განათლების მიღებაზე ხელი არ მიუწვდებათ და რომ ეკონომიკური უთანასწორობა ქმნის განათლებაში უთანასწორობასაც. თუმცა, თუ ზემოთ ნაჩვენებ გრაფიკს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ გარდა ევროპისა, სხვა ყველა რეგიონში - აზიაში, სუბსაჰარასა და ლათინურ ამერიკაში მოსახლეობის მდიდარ ფენაშიც არიან 4 კლასამდე განათლების არმქონენი. ძნელია ამ ფაქტის ახსნა, მაგრამ რადგან ცივილიზებულ ევროპაში ამას ადგილი არა აქვს, ამიტომ ეს ფაქტი იმ რეგიონების მოსახლეობის დაბალი კულტურით უნდა ავხსნათ, სადაც ეს ფიქსირდება.

ასე რომ, სათანადო ხარისხის განათლებაზე ხელმიუწვდომლობა, მართლაც სიღარიბის მიზეზით ხდება, სიღარიბეს კი იწვევს შემოსავლების არათანაბარი განაწილება მოსახლეობაში.

იგივე ითქმის ჯანმრთელობის დაცვაზეც. აქაც მაღალია კორელაცია. იგივე სავალუტო ფონდის კვლევებით დადგინდა, რომ ჯანდაცვის შედეგების უთანაბრობას ფართო მასშტაბები აქვს განვითარებად ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებში კი მასზე ხელმისაწვდომობა მდიდრებშიც და ღარიბებშიც თითქმის ერთნაირია. განვითარებად ქვეყნების ღარიბ ოჯახებში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ქვეყნის მდიდარ ოჯახებში. ასეთივე მდგომარეობაა ქალთა სიკვდილიანობაშიც. ერთადერთი, რაც განვითარებულ ქვეყნებშიც დაფიქსირდა, ეს იყო შემოსავლების უფრო მეტი გავლენა ადამიანთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე, ვიდრე ეს შეინიშნებოდა ერთი თაობის წინ. ეს განსაკუთრებით აღინიშნა აშშ-ში [Murray C., Lopez A. and Alvarado M., 2013: 591-606].

სავალუტო ფონდმა დაადგინა ისიც, რომ ჯანსაღ საზოგადოებებში რომლებშიც დაბალია ქალთა სიკვდილიანობა, შემოსავლების უთანაბრობაც ნაკლებია. ეს მიგნება იმას ადასტურებს, რომ რადგან ოჯახებს ნორმალური შემოსავალი აქვთ, ოჯახის ქალებს შეუძლიათ მიიღონ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება. სწორედ იმიტომ, რომ საქართველოში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, ამიტომ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით მოსახლეობის კმაყოფილების დონე ჯანდაცვით, საქართველოში ყველაზე დაბალია

და იგი შეადგენს - 50%-ს. ასეთ დროს, რუსეთში იგი 56%-ია, ირანში - 82%, თურქეთში - 82%, აზერბაიჯანში - 68%, სომხეთში - 53% [Доклад о развитии человека, 2012: 141-147; 176-179].

საქართველოს მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნის მთავრობამ აქტიური ღონისძიებები უნდა მიიღოს მოსახლეობის სიღარიბის შესამცირებლად. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო - 2020“-ში - ეს ღონისძიებები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოთვლილი და დაწყებულია მათი განხორციელებაც. ერთ-ერთი ასეთია, 2013 წელს საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ამუშავება [„საქართველო - 2020“, 2013: 59-67], რომელმაც საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა მოიცვა და მკურნალობისთვის საჭირო თანხის „ჯიბიდან“ გადახდის თანდათან შემცირება დაიწყო.

I.5. შემოსავლების უთანასწორო განაწილების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სიღარიბესთან

შემოსავლების უთანასწორო განაწილება არის მოსახლეობის სიღარიბის მიზეზი. მაშასადამე, სიღარიბე შედეგია, შემოსავლების უთანასწორო განაწილება კი, მიზეზი. სწორედ ის ფაქტი, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერ იღებს სათანადო სიდიდის შემოსავალს, მათ არც მაღალანაზღაურებად პროფესიების დაუფლებაზე მიუწვდებათ ხელი და არც ასეთ პროფესიებზე დასაქმებაზე.

სიმდიდრის და სიღარიბის პრობლემა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე აწუხებდა კაცობრიობას. მასზე წერდნენ ეკონომისტებიც, ფილოსოფოსებიც, სოციოლოგებიც და სხვებიც. ესენი იყვნენ - ფ. კენე, რ. მალთუსი, ა. სმიტი, დ. რიკარდო და სხვები. მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლები რაოდენობრივად პირველად ფ. კენემ გამოხატა. რ. მალთუსმა განიხილა კავშირი მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდასა და არსებობის საშუალებების ზრდას შორის და გააკეთა შემაშფოთებელი დასკვნა ამ უკანასკნელის დიდად ჩამორჩენის შესახებ. მეცნიერებმა ა. სმიტმა და დ. რიკარდომ სიღარიბის და სიმდიდრის განმასხვავებელ ნიშნებზე იმუშავეს და განაცხადეს, რომ „ყოველი ადამიანი მდიდარია ან ღარიბია იმ ზომით, რა ზომითაც მას შეუძლია თავისი არსებობისთვის აუცილებელი საშუალებებით

უზრუნველყოფა“. სიღარიბის ფენომენის და მისი მიზეზების შესახებ ნაშრომები აქვთ მარქსს და ენგელსაც.

დღევანდელ ეპოქაში სიღარიბემ მასობრივი ხასიათი მიიღო. სპეციალისტები წერენ, რომ მსოფლიოში შიმშილობს 1 მლნ ადამიანი, ხოლო ყოველწლიურად ამ მიზეზით ავადდება და იღუპება 70 მლნ ადამიანი [ვანიშვილი, ჭიკაძე, გიგუაშვილი, 2015: 280]. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემა მეტად აქტუალურია, იგი ამწვავებს სოციალურ დაძაბულობას და იწვევს ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის კონფლიქტებს. ვიდრე ავხსნიდეთ სიღარიბის შემცირების შესახებ არსებულ სხვადასხვა კონცეფციებს, უპირველესად, საჭიროდ ჩავთვალეთ ავხსნათ სიღარიბის ფენომენი, მისი დონე, სახეები, მსოფლიოს ქვეყნების ვითარება ამ მაჩვენებლით და სხვ.

სიღარიბის სხვადასხვა განმარტება არსებობს: მ. ვანიშვილი, ნ. ჭიკაძე და ნ. გიგუაშვილი მას განმარტავენ როგორც „შემოსავლების (ფულადი და არაფულადი) უკმარისობას ადამიანის ფიზიოლოგიური და სულიერი არსებობა-განვითარებისთვის საჭირო მინიმალურად აუცილებელი მატერიალურ ღირებულებათა და მომსახურების მოხმარებისთვის“ [სილაგაძე, მექვაბიშვილი, კახნიაშვილი, 2006: 352]. ა. სილაგაძე, ე. მექვაბიშვილი და ჯ. კახნიაშვილი ოჯახს ღარიბს უწოდებენ იმ შემთხვევაში „თუ მისი ძირითადი მოთხოვნილებები აღემატება ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ სახსრებს“ [სილაგაძე, მექვაბიშვილი, კახნიაშვილი, 2006: 352]. ასეთსავე განმარტებას იძლევიან კემპბელ რ მაკკონნელი და სტენლი ბრიუ. ცოტა განსხვავებულია პროფესორების - პ. ლემონჯავას და ა. აბრალავას შეხედულება სიღარიბეზე. ისინი წერენ: „ღარიბი პიროვნების სიღარიბედ მიჩნეულია მისი საკუთრება, მისი უმწეო მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია იმით, რომ თავისი სამუშაო ძალის ღირებულება მას ვერ აძლევს მოცემულ პერიოდში საჭირო მოხმარების საგნებისა და მომსახურების მეტი რაოდენობით შეძენის საშუალებას“ [ლემონჯავა, აბრალავა, 2009: 326].

მეცნიერები ასახელებენ ორი სახის სიღარიბეს. ესენია: **აბსოლუტური** და **შეფარდებითი სიღარიბე**. **„აბსოლუტური სიღარიბე** არის შემოსავლების ის დონე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებებს საკვებსა და სხვა სახის პირველადი მოთხოვნილებების საგნებზე. **შეფარდებითი სიღარიბე** არის შემოსავლების ის დონე, რომლის მიხედვითაც საზოგადოების შესაბამის ჯგუფებს შიმშილი

არ ემუქრებათ, მაგრამ ისინი ღარიბები არიან მდიდართა შორის“ [ადეიშვილი, ასათიანი, 1998: 456]. შედარებითი (შეფარდებითი) სიღარიბე მასშტაბის თვალსაზ-რისით, არ ემთხვევა აბსოლუტურ სიღარიბეს. აბსოლუტური სიღარიბე შეიძლება აღმოფხვრილი იქნეს, შეფარდებითი კი, ყოველთვის იარსებებს, რადგანაც ყოველთვის იქნებიან მდიდრები, რომელთან შედარებითაც შეფარდებითი სიღარიბე ისაზღვრება.

ღარიბ მოსახლეობაში დაბალი კლასი იგულისხმება, რომელშიც გაერთიანებულია მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენა, კერძოდ [კახნიაშვილი, 2016: 30]:

- **უღარიბესი ფენა** - საზოგადოებიდან გარიყული წევრები, ლუმპენ-პროლეტა-რიატის მსგავსი, რომელზეც კარლ მარქსი „კაპიტალში“ აღნიშნავდა;
- **ინტერესშელახული ფენა** - მასში შედიან უმუშევრები, შრომისუუნარო და არასრული სამუშაო დღით დასაქმებული პირები, რომლებიც ხანგრძლივი თუ ნაკლები ხარისხით უიმედოდ გამოყოფილია საზოგადოებისგან, არ მონაწილეობენ მის ცხოვრებაში და არ იზიარებენ მის მისწრაფებებსა და წარმატებებს (შვედი ეკონო-მისტის გ. მიურდალის - განსაზღვრება);
- **არასრულწლოვანი** და **სრულწლოვანი სამამართალდამრღვევთა ფენა** - სკო-ლიდან გარიცხული ბავშვები, მარტოხელა დედები (რომლებიც დახმარებაზე ცხოვ-რობენ), დამნაშავეები, ნარკოტიკის გამყიდველები, მათხოვრები და ა. შ.

ღარიბი მოსახლეობის ხვედრით წილს ქვეყნის მთელ მოსახლეობაში სიღარიბის დონე ეწოდება. ღარიბი მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთლიან რიცხვში განსხვა-ვებულია, როგორც ქვეყნების მიხედვით, ასევე, ცალკეულ ქვეყნებში. არსებობს „სიღა-რიბის ზღურბლის“ ცნება [Эдвин Дж. Долан, Дейвид Линдсей, 1992: 450]. სიღარიბის ზღურბლი ის მინიმალური შემოსავალია, რომელიც აუცილებელია მხოლოდ საარსებო პროდუქტების (საზრდო, ტანსაცმელი და სადგომი) შესაძენად. ასეთ ზღურბლად შეიძლება მინიმალური სამომხმარებლო კალათა მივიჩნიოთ. დღეს იგი საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცისთვის თვეში 174,3 ლარია.

ცნობილია სიღარიბის ფენომენის ფართოდ განსაზღვრის რამდენიმე კონცეფცია [კახნიაშვილი, 2016: 31]: 1. აბსოლუტური კონცეფცია. 2. შედარებითი (შეფარდებითი) სიღარიბის კონცეფცია. 3. აკუმულირებული დეპრივაციის კონცეფცია. 4. სუბიექ-ტური კონცეფცია.

აბსოლუტური სიღარიბის კონცეფცია ანუ საარსებო მინიმუმის კონცეფცია ეფუძნება ძირთადი მოთხოვნილების მინიმალურ ჩამონათვალს და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსებს. აბსოლუტური სიღარიბე დაკავშირებულია ადამიანის ბიოლოგიური გადარჩენის უზრუნველყოფასთან.

შედარებითი (შეფარდებითი) სიღარიბის კონცეფცია. კონცეფცია წინა პლანზე აყენებს კეთილდღეობის პარამეტრებს. იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ, სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც, რაც იმას ნიშნავს რომ, თუ მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს *მედიანური მოხმარების* 40%-იან და 60%-იან ზღვრებს ქვემოთ. მედიანური მოხმარების სიდიდე კი განისაზღვრება, როგორც ერთ სულზე საშუალო მოხმარების თვიური ხარჯი.

აკუმულირებული დეპრივაციის კონცეფცია. დეპრივაციული მიდგომის მახასიათებელი ნიშანი გახდა არამხოლოდ ინდივიდის (ან ოჯახის) კეთილდღეობის შესწავლა, არამედ პრობლემების რაოდენობის გაანგარიშებაც, რომელსაც ღარიბი განუწყვეტლივ აწყდება (მატერიალური შემოსავალი, დასაქმება, სოციალური ურთიერთობა, განათლება...).

სიღარიბის სუბიექტურ (თვითშეფასების) კონცეფცია. იგი, ეფუძნება რესპოდენტთა, ანუ გამოკითხულთა თვითშეფასებას, რომელიც ეხება მათ მატერიალურ მდგომარეობას და ცხოვრების დონეს.

სიღარიბის მიზეზად მხოლოდ შემოსავლების არათანაბარ განაწილებას კი არ ასახელებენ, არამედ სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, უმუშევრობას, მემკვიდრეობით სიზარმაცეს, გლობალიზაციას და სხვა. ჩამონათვალთაგან განსაკუთრებით საინტერესოა მემკვიდრეობითი სიზარმაცე, რაც ასევე მემკვიდრეობით სიღარიბეს იწვევს. მეცნიერებმა ამას **სიღარიბის კულტურა** უწოდეს. მისი არსი იმაშია, რომ ღარიბებისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული კულტურა, რომელსაც საფუძვლად უდევს რეალობისადმი მორჩილება, ფატალიზმი, უკეთესი მდგომარეობის შექმნის უუნარობა. ხშირად ამის მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ადამიანების სოციალური დახმარება ხდება. ისინი ამ დახმარებით ცხოვრობენ და წყვეტენ თავის ძალისხმევას დასაქმების მიმართულებით.

ამ აზრს გამოთქვამს ქართველი მეცნიერი ვლ. პაპავაც: „თუ ქვეყანაში უმუშევართა სახელმწიფო შემწეობები მაღალია და თან მათი მიღების კრიტერიუმებიც არ

არის მკაცრი, ისინი ვისაც საერთოდ მუშაობა არ მოსწონს, არ იმუშავებენ, ანუ უმუშევრობისთვის მთავრობის მიერ მიცემული მაღალი კომპენსაცია ამცირებს მათი დასაქმების აუცილებლობის სიმწვავეს და აზარმაცებს მათ“ [პაპავა, 2002: 47].

ჩვენი აზრით, ასეთი ადამიანები ნებისმიერი ქვეყნის ღარიბებში იქნებიან, მაგრამ მათი რიცხვი იქნება მცირე. ამდენად, ამ მიზეზს სიღარიბის გამომწვევ ძირითად მიზეზად ვერ ჩავთვლით.

ამრიგად, ორი აზრი არ არის იმაში, რომ უმუშევრობის მიზეზიც და სიღარიბის მიზეზიც არის შემოსავლების არათანაბარი განაწილება მოსახლეობაში და თუ ქვეყნის მთავრობა გაატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით ეკონომიკური ზრდიდან სარგებელს მიიღებს ყველა - მდიდარიც და ღარიბიც, მაშინ უთანასწორობა თანდათან შემცირდება. ასეთ განვითარებას ინკლუზიური განვითარება ეწოდება. ნებისმიერი ღარიბი ქვეყნის, მ. შ. საქართველოს მთავრობა უნდა ზრუნავდეს იმისთვის, რომ ქვეყანაში ინკლუზიური ზრდა უზრუნველყოს.

ქვეყანაში ხელისუფლების ქმედუნარიანიაბის ნათელი მაგალითია ე.წ „შვედური მოდელი“, რომელსაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ერთის მხრივ ის გარემოება, რომ მთლიანობაში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ინტერესთა თანხვედრა ეკონომიკის განვითარების სოციალური და ინოვაციური ორიენტაციით, მეორე მხრივ, შვედური ბიზნესის თავისებურების ფორმირებას ხელი შეუწყო რიგი ფაქტორების კომპლექსის ზემოქმედებამაც, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკა და საკანონმდებლო მოთხოვნები.

შვედეთის ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, რაც გამოიხატება არა მათი პირდაპირი სუბსიდირებით, არამედ მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, პირველ რიგში, ბიუროკრატიასთან, კორუფციასა და კრიმინალთან ბრძოლით.

შვედური ინოვაციური სააგენტო _ ,,ინოვაციური ხიდი” ქმნის სასტარტო კაპიტალს ინოვაციური კომპანიებისათვის და ასტიმულებს როგორც მთლიანად მრეწველობას, ისე განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ საქმიანობას. ქვეყნის ინოვაციური სააგენტო, ,,ინოვაციურ ხიდთან” ერთად,

ახორციელებს ქვეყანაში ბიზნესის ინკუბატორების განვითარების ათწლიანი პროგრამის რეალიზაციას.

მცირე მეწარმეობის მხარდაჭერაზე შვედეთში იხარჯება დაახლოებით 4% იმ თანხებისა, რომელიც გამოიყოფა სამრეწველო პოლიტიკის განხორციელებაზე, მათი დიდი ნაწილი რეალიზდება ადგილობრივ და რეგიონალ დონეზე, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს საკოორდინაციო პოლიტიკას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს მცირე ბიზნესის განვითარებისათვის.

შვედეთში წარმატებით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფებისათვის (ახალგაზრდების, ქალი-მეწარმეების, უმუშევრების, იმიგრანტების) მეწარმეობის მხარდაჭერაზე. ქვეყანაში ყოველწლიურად იქმნება ათეულ ათასობის მცირე და საშუალო საწარმო, რომელთა 20% მოდის 30 წლამდე ახალგაზრდებზე, 30% _ ქალებზე, 20% _ უმუშევრებზე და ასევე 20% _ იმიგრანტებზე. ამ პროგრამების წარმატებით რეალიზაციისა და მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით ასეთი საწარმოების დიდი ნაწილი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და შემდგომში განაგრძობს თავის არსებობას.

შვედური გამოცდილება ძალზე უნიკალურია, მაგრამ ქვეყანაში გამოყენებული ეკონომიკური და სამრეწველო პოლიტიკის ინსტრუმენტებით პირდაპირ, კორექტირების გარეშე, სარგებლობა ყოვლად მიუღებელი და შეუძლებელიცაა სხვა ეკონომიკურ გარემოსა და პირობებში.

თავი II. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანასწორობა საქართველოს და მსოფლიო ვითარების ფონზე

II.1. ეკონომიკური უთანასწორობა მსოფლიოში

ნაშრომის ეს ქვეთავი ეყრდნობა სავალუტო ფონდის (სსფ) კვლევას [Era Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Nuji Suphap-hiphot, Frantisek Ricka, Euridik, 2015], რომელიც ორ მიზანსისახავს:

პირველი. დაანახოს საქართველოს მთავრობას თუ რატომ უნდა გაამახვილოს ყურადღება მოსახლეობის ღარიბ და საშუალო ფენებზე (სსფ-ის ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ შემოსავლების უთანასწორობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდასა და ქვეყნის სტაბილურობაზე. მათ მიერ ჩატარებული ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ შემოსავლების განაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. კერძოდ, თუ ყველაზე მდიდართა ფენის (ზედა 20%-ის) შემოსავლების წილი იზრდება, მაშინ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი ფაქტობრივ მცირდება. ამის საწინააღმდეგოდ, ყველაზე ღარიბთა ფენის (ქვედა 20%-ის) შემოსავლების წილის ზრდა იძლევა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაღალ მაჩვენებელს).

მეორე. აჩვენოს, თუ ერთი მხრივ, განვითარებულ ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში (EMDC) რითი აიხსნება უთანასწორობის განსხვავებული ტენდენციები (სსფ-ის კვლევა ეხება ქვეყნების უფრო მრავალფეროვან ჯგუფს და მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანია ღარიბი და საშუალო ფენების შემოსავლები).

დასახელებულმა კვლევამ აჩვენა შემდეგი:

➢ ტექნიკურმა პროგრესმა და, ამის შედეგად, უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე მუშაკთა ხელფასებს შორის სხვაობის ზრდამ ხელი შეუწყო უთანასწორობას როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. თავისი როლი, თუმცა, ოდნავ ნაკლები, ითამაშა გლობალიზაციამაც. ამ კვლევის თანახმად, ზოგადად მსოფ-

ლიოს მოსახლეობის შემოსავლებში შეუსაბამობის ზრდა ძირითადად განპირობებულია შემოსავლების მზარდ შეუსაბამობებთან განვითარებულ ქვეყნებში;

➢ ღარიბ და საშუალო კლასებზე **ორიენტირებულმა** სოციალურმა პოლიტიკამ შეიძლება, შეამციროს უთანასწორობა. ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, განათლებასა და ჯანდაცვის უკეთესი ხელმისაწვდომობა და კარგად გამიზნული სოციალური პოლიტიკა ხელს შეუწყობს ღარიბი და საშუალო კლასების შემოსავლების წილის ზრდას;

➢ უთანასწორობის პრობლემის გადაჭრა არ შეიძლება ყველა ქვეყანაში ერთი საზომით. სათანადო პოლიტიკის არჩევანი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, კონკრეტული ქვეყნის სპეციფკაზე და პოლიტიკურ წყობაზე. განვითარებულ ქვეყნებში ეს პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანური კაპიტალის ზრდის მიზნით განხორციელებულ რეფორმებზე და პროგრესულ საგადასახადო სისტემაზე. გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში კი ფინანსურ განვითარებას თან უნდა ახლდეს ღარიბი ფენის უფრო მეტი ფინანსური ჩართულობა. საზოგადოდ, ეკონომიკური ზრდისა და შემოსავლების თანასწორობის ურთიერთდამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ მიმართული პოლიტიკა აუცილებლად პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს შემოსავლების განაწილებაზე და უზრუნველყოფს მოსახლეობის მაღალ საერთო კეთილდღეობას.

თავისი გამოკვლევით სავალუტო ფონდმა დაადგინა მზარდი უთანასწორობა როგორც ფართოდ გავრცელებული პრობლემა. მოწინავე და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანასწორობა გაიზარდა. ეს ვითარება სერიოზულ დაფიქრებას ითხოვს. ბოლო ხანებში პირდაპირ უცხოური ინვესტიციების (პიუ-სი, შეერთებული შტატების საფოსტო სამსახური) კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის თანახმად (პრეზიდენტისა და კონგრესის ფინანსური შედეგების ანალიზის წლიური ანგარიში, 2014 წ) მსოფლიო მასშტაბით რესპოდენტების 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის მთავარი გამოწვევაა. პიუს ცენტრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ თუმცა განათლება და ნაყოფიერი შრომა მნიშვნელოვან ფაქტორებად მიიჩნევა, მაგრამ „საჭირო“ ადამიანების მიგნება და მდიდარი ოჯახის მემკვიდრეობა ასევე გადამწყვეტია [PRC, 2014].

თანასწორობა, სამართლიანობის მსგავსად, მნიშვნელოვანი ფასეულობაა. ადამიანები წუხან უთანასწორობის გამო. უთანასწორობა შესაძლებლობების ნაკლებობის სიგნალია. ზრდად უთანასწორობას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის ზრდასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. შემოსავალთა უთანაბრობამ შეიძლება, მიგვიყვანოს ადამიანური რესურსების არაეფექტიან გამოყენებამდე და გამოიწვიოს პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა.

სავალუტო ფონდმა თავისი გამოკვლევით აჩვენა, აგრეთვე, ღარიბთა კლასის შემოსავლების გაზრდა იმ გზით, რომ არ დაზარალდება საშუალო კლასი. სსფ-მა გამოიკვლია და დაადგინა უთანასწორობის მაკროეკონომიკური შედეგები და შესაძლებლობები. შედეგების უთანაბრობა წარმოიშობა განსხვავებული შესაძლებლობების, ინდივიდის ძალისხმევის და ტალანტის კომბინაციიდან. ამავე დროს არ არის ადვილი განვაცალკევოთ ძალისხმევა შესაძლებლობისგან. მშობლების შემოსავალი, რაც მათი ძალისხმევის შედეგია, განსაზღვრავს მათი შვილების შესაძლებლობას მიიღონ განათლება. სწორედ აქედან გამომდინარე, ამტკიცებს მეცნიერი როვლსი [Rowls, 1971], რომ ინფორმატიულ მსოფლიოში შესაძლებლობების და შედეგების გადანაწილება თანაბრად მნიშვნელოვანია.

უთანასწორობის გარკვეული დონე, როგორც აღნიშნულია სავალუტო ფონდის კვლევაში, შეიძლება არ იყოს პრობლემა, რადგან ის არის მოტივაცია ადამიანებისთვის, რომ შეეჯიბრონ ერთმანეთს, მიაღწიონ საქმიანობაში საუკეთესო შედეგს, დაზოგონ დრო და განათლების შესაბამისად შრომის ანაზღაურების დიფერენციაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანური კაპიტალის დაგროვებას და ეკონომიკურ ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ ის დაკავშირებულია შემოსავლების უფრო დიდ უთანასწორობასთან. უთანასწორობამ შეიძლება პოზიტიური ზეგავლენაც იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან იგი წარმოშობს მოტივაციას ინოვაციური მეწარმეობისთვის [Lazear, Rosen, 1981: 841-864] რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებადი ქვეყნებისთვის. ის საშუალებას აძლევს მათ მოსახლეობას, რომ დააგროვონ ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი კაპიტალი და მიიღონ კარგი განათლება [Barro, 2000: 5-32].

მზარდი უთანასწორობა მაინც შემაშფოთებელია. უთანასწორობის მაღალმა და ზრდადმა დონემ, განსაკუთრებით შესაძლებლობების უთანაბრობამ, შეიძლება გამო-

იწვიოს სოციალური აფეთქებები. ეკონომიკურმა უთანასწორობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ინდივიდის პროფესიულ არჩევანზე. გარდა ამისა, ეკონომიკური უთანასწორობა არ ქმნის „სწორ“ მოტივაციას, თუ ის გადასახადებზეა დამყარებული [Stiglitz, 2012]. ამ შემთხვევაში ინდივიდებს უჩნდებათ მოტივაცია, ძალისხმევა მიმართონ პროტექციის უზრუნველყოფისკენ, რის შედეგიც არის რესურსების არასწორი განკარგვა, კორუფცია და ნეპოტიზმი, შესაბამისი უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური შედეგებით, რაც აგრეთვე, ნეგატიურად აისახება ეკონომიკის ზრდაზე და მის სტაბილურობაზე [Ostry J., Verg A., and Tsangorides C., 2014]. 2015 წლის გამოკვლევით სსფ-მ დაადგინა,უკუპროპორციული დამოკიდებულება მდიდართა კლასის (ზედა 20%) შემოსავლების წილსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუ ამ კლასის შემოსავლის წილი იზრდება 1%-ით, მაშინ, მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ფაქტობრივად 0.08%-ით ნაკლებია მომდევნო 5 წლის განმავლობაში. ამის საწინააღმდეგოდ, ღარიბთა კლასის (ქვედა 20%) შემოსავლების წილის მსგავსი ზრდა განაპირობებს 0.38%-ით უფრო მაღალ მშპ-ს [Corac, 2013: 79. ასევე, პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს საშუალო კლასის შემოსავლების ზრდასა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები და შემოსავლების განაწილება [Solt Database, 2015]

	ცვლადები	დამოკიდებული ცვლადი: მშპ-ს ზრდა					
		(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)
1	დაყოვნებული მშპ-ს ზრდა	0.145 (0.033)	0.112 (0.030)	0.118 (0.031)	0.113 (0.031)	0.097 (0.030)	0.114 (0.031)
2	მშპ ერთ სულ მოსახლეზე	-1.440 (0.361)	-2.198 (0.302)	-2.247 (0.307)	-2.223 (0.308)	-2.122 (0.304)	-2.222 (0.037)
3	წმინდა ჯინის კოეფიციენტი	-0.0666 (0.034)					
	პირველი მეხუთედი		0.381 (0.165)				
	მეორე მეხუთედი			0.325 (0.146)			
	მესამე მეხუთედი				0.246 (0.152)		
	მეოთხე მეხუთედი					0.0596 (0.180)	
	მეხუთე მეხუთედი						-0.0837 (0.044)
	მუდმივი	17.34	18.82	18.12	17.45	19.41	25.32
	ქვეყნის ფიქსირებული ეფექტი						
	დროის ცვლადები						

	დაკვირვებების რაოდენობა	733	455	455	455	455	455
	ქვეყნების რაოდენობა	159	156	156	156	156	156

სავალუტო ფონდი (სსფ) თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ შემოსავლების შეუსაბამობების ზრდა ეკონომიკურ განვითარებაზე ცუდად ზემოქმედებს. მაღალი უთანასწორობა ამცირებს ეკონომიკურ ზრდას, რადგან დაბალშემოსავლიან ოჯახებს ართმევს შესაძლებლობას, რომ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა, დააგროვონ ფიზიკური და ადამიანური კაპიტალი [Calor O., Moav O., 2004: 1001-1026]. მაგალითად, უთანასწორობა ამუხრუჭებს ინვესტიციებს განათლებაში. ღარიბი ოჯახის შვილები იღებენ საშუალო განათლებას დაბალხარისხიან სკოლებში და შესაძლებლობა არა აქვთ, რომ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ. შედეგად, მათი შრომის ნაყოფიერება უფრო დაბალია. მეცნიერ კორაკმა დაადგინა [Corak M., 2013: 79-102], რომ იმ ქვეყნებში, სადაც შემოსავლების უფრო მაღალი უთანასწორობაა, ნაკლებია თაობებს შორის მობილობის დონეც და მშობლების მიერ გამომუშავებული ფინანსური თანხა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი შვილების შემოსავალსაც. შემოსავლების მზარდმა კონცენტრაციამ შეიძლება, ასევე შეამციროს ერთობლივი მოთხოვნა და ძირი გამოუთხაროს ზრდას, რადგან მდიდრები საკუთარი შემოსავლების უფრო მცირე ნაწილს ხარჯავენ, ვიდრე საშუალო და უფრო დაბალშემოსავლიანი კლასები. ეკონომიკური უთანასწორობა იწვევს ფინანსურ კრიზისებს. სულ უფრო დიდი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ მდიდართა კლასის კიდევ უფრო გამდიდრება და ღარიბი და საშუალო კლასების შემოსავლების სტაგნაცია, კრიზისების მიზეზი ხდება და, პირდაპირ ზიანს აყენებს ეკონომიკურ ზრდას. კერძოდ, სსფ-ს კვლევებმა აჩვენა, რომ დიდი პერიოდის მანძილზე განვითარებულ ქვეყნებში მაღალი დონის უთანასწორობა დაკავშირებულია გლობალურ ფინანსურ კრიზისთან, რადგან ის ხელს უწყობს კრედიტების ვადის გახანგრძლივებას, სესხების დაზღვევის პირობების შემსუბუქებას, საშუალებას აძლევს ლობისტებს, რომ მთელი ძალით იბრძოლონ ფინანსური დერეგულაციისთვის [Roine J. J. and Waldenstrom D., 2009: 974-988].

ეკონომიკური უთანასწორობა იწვევს გლობალურ დისბალანსს. მდიდართა კლასის მაღალი შემოსავლები ფინანსურ ლიბერალიზაციასთან ერთად, დაკავშირებულია დიდ საგარეო დეფიციტთან. ასეთი დიდი გლობალური დისბალანსი შესაძლოა, პრობლემად იქცეს ფინანსური სტაბილურობისთვის და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდისთვისაც [Bernanke B. 2011].

ეკონომიკური უთანასწორობა იწვევს კონფლიქტებს. უკიდურესმა უთანასწორობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის ნდობას, სამართლიანობას და გამოიწვიოს კონფლიქტები. უთანაასწორობა გავლენას ახდენს კონფლიქტის ეკონომიკაზე, რადგან მას შეუძლია გააძლიეროს გარკვეული ჯგუფების უკმაყოფილება ან შეამციროს ძალადობრივი კონფლიქტის ინიცირების ან მასში ჩართვის ღირებულება [Lichbach M., 1989: 431-470].

სსფ-მა გამოკვლევით ასევე დაადგინა, რომ უთანასწორობამ შეიძლება გააძლიეროს პროტექციონისტების ზეწოლა გლობალიზაციისა და ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების წინააღმდეგ. ამავე დროს, მდიდართა ელიტის კიდევ უფრო გაზრდილმა ძალაუფლებამ რასაც მათი სიმდიდრე განაპირობებს, შეიძლება შედეგად მოიტანოს ისეთი საზოგადოებრივი ფასეულობების შეზღუდვა, რომლებიც შეამცირებენ შრომის ნაყოფიერების და ეკონომიკის ზრდას და დიდი სარგებლობა მოაქვთ ღარიბთა კლასისთვის [Putman R., 2000].

უთანასწორობა აბრკოლებს სიღარიბის შემცირებას. შემოსავლების უთანასწორობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს იმ ტემპზე, რომლითაც ეკონომიკის ზრდა იწვევს სიღარიბის შემცირებას [Ravailion M., 2011]. ეკონომიკის ზრდა შედარებით ნაკლებ ეფექტურია სიღარიბის შემცირების მხრივ იმ ქვეყნებში, სადაც უთანასწორობის საწყისი მაჩვენებელი მაღალია. სავალუტო ფონდმა თავის გამოკვლევაში განიხილა რიგ მოწინავე და განვითარებად (EMDC) ქვეყნებში უთანასწორობა, როგორც შემოსავლების, ისე არამონეტარული - განათლების, ჯანდაცვის და სხვა, ინდიკატორების ცვლილების ბოლოდროინდელი ტენდენციები. ამ კვლევის შედეგები შემდეგნაირია [Era-Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Nujin Suphaphiphat, Frantisek Evridiki Tsaunta, 2015]:

შემოსავლებში ეკონომიკური უთანასწორობა. სავალუტო ფონდმა დაადგინა, რომ გლობალური უთნასწორობა მსოფლიოში 0.55–დან 0.70–მდეა [Era-Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Nujin Suphaphiphat, Frantisek Evridiki Tsaunta, 2015] (იხ. ნახაზი 4, 5). გლობალური უთანასწორობის მაღალი დონე ასახავს ქვეყნებს შორის, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მნიშვნელოვან განსხვავებას, რაც შეადგენს გლობალური უთანასწორობის დაახლოებით 3/4–ს. **გლობალურად, ყველაზე მეტად გაიზარდა საშუალო კლასის და უმდიდრესი ადამიანების (ზედა 1%) შემოსავალი.** 1998 და 2008 შორის პერიოდში მეცნიერებმა ლაკნერმა და მილანოვიჩმა აჩვენეს [Milanovic B. 2013:





ნახაზი 4. გლობალური უთანასწორობა

ნახაზი 5. შემოსავლების განაწილება

წყარო: Era-Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Nujin Suphaphiphat, Frantisek Evridiki Tsaunta, 2015.

198-208], რომ შემოსავლებში ყველაზე დიდი მატება ჰქონდა საშუალო კლასს (50–ე მეასედი (percentile)) და მდიდრების ზედა 1%–ს. მეტიც, მათვე დაადგინეს, რომ 50-ე მეასედის (percentile) ქვემოთ შემოსავლების მატება სწრაფად ეცემა და 80–დან 90–მდე მეასედებში სტაგნაციას განიცდის [Krugman P. 2014].

შემოსავლების უთანასწორობის ზრდა ქვეყნების შიგნით. 1990 წლის შემდეგ პერიოდში მთლიანი (და წმინდა) შემოსავლების ჯინის კოეფიციენტზე დაფუძნებული უთანასწორობის მაჩვენებლები განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში არსებითად გაიზარდა (ცხრილი 2). უთანასწორობა, საშუალოდ, სტაბილური დარჩა ახალი გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ ბევრად უფრო მაღალ დონეზე, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მაინც დიდი განსხვავებები არსებობს მსოფლიოს ქვეყნებში. აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში (ყოფილი დემოკრატიული ქვეყნები) უთანასწორობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებში შესამჩნევად შემცირდა. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, 1990-2012 წლებში შემოსავლების უთანასწორობა განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა საშუალოდ 5.25 ჯინის ქულით, ხოლო წმინდა ჯინის კოეფიციენტი გაიზარდა 3 ჯინის ქულით.

ცხრილი 2

წმინდა ჯინის ინდექსის ცვლილებები 1990–2012 წლებში [Era Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Nuji Suphap-hiphot, Frantisek Ricka, Euridik, 2015]

1990 წელი	**2012 წელი**
რუსეთი - 37,2 ჩინეთი - 47,3 ინდოეთი - 49,7 აშშ - 37,2 ბრაზილია - 46,3 დიდი ბრიტანეთი - 35,5 გერმანია - 28,9	აზია - 42-44 ევროპა - 30-63 ლათინური ამერიკა - 22-44 ახლო არმოსავლეთი - 22-42 სუბ-საჰარის აფრიკა - 42-68

შემოსავლების შემცირების დეტალური ანალიზი. სავალუტო ფონდის კვლევით დადგენილია, რომ განვითარებულ, გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში შემოსავლების უთანასწორობის ცვლილებები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით. მოწინავე და განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში იგი გამოწვეული იყო ძირითადად მდიდარი მოსახლეობის ზედა 10%-ის შემოსავლების წილის ზრდით [Piketti T., 2014]. მართლაც, მდიდრების ზედა 10 პროცენტს ამჟამად აქვს დაახლოებით

10-ჯერ უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე ღარიბი მოსახლეობის ქვედა 10 პროცენტს. სიტუაცია განსხვავებულია გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში. მზარდი უთანაბრობის მიზეზი აქ ძირითადად არის მოსახლეობის „ზედა საშუალო კლასიდან მაღალ კლასამდე“ ჯგუფის შემოსავლებში ცვლილებები (მაგ.: ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა).

სავალუტო ფონდმა დაადგინა აგრეთვე, რომ მსოფლიოში მოსახლეობის ზედა 1 პროცენტის ანუ ყველაზე მდიდრების შემოსავლების წილი იზრდება.განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად მოსახლეობის ზედა 1 პროცენტის შემოსავალი მთლიანი შემოსავლის 10%-ია (იხ. ნახაზი 6) [Alvaredo F., Atkinson B., Piketty T., Saez E., 2013]. მისივე ინფორმაციით, ყველაზე მდიდართა შემოსავლების წილი გაზრდილია ჩინეთსა და ინდოეთში. მოწინავე ქვეყნებში ზედა 1%-ის წილის ზრდა ასახავს როგორც უფრო მაღალ უთანაბრობას, როგორც შრომით შემოსავლებში, ასევე მიღებულ მოგებაში [Atkinson A., Piketty T., and Saez E., 2011]. მოსახლეობის ზედა 10%-ის შემოსავლის ნახევარს შეადგენს არაშრომითი შემოსავლები. ეს მაჩვენებელი მთლიანობაში - 30%-ია. აღმოჩნდა, რომ კორპორატიული მოგებების ზრდამ კიდევ უფრო გააღრმავა შემოსავლების უთანასწორობა [Brightman C., 2014]. ამგვარი სიტუაციაა როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ასევე მსხვილ განვითარებად სახელმწიფოებშიც.

იგივე კვლევით დადგენილია მსოფლიოში საშუალო კლასის შემოსავლის შემცირება. მრავალ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში (ავსტრალია, კანადა) და ზოგიერთ მსხვილ განვითარებად ქვეყანაში (იხ. ნახაზი 6) [Autor D., 2014: 344:843-51], შრომით შემოსავლებში განაწილების ცვლილებამ დისტრიბუციის წვეროსა (მდიდართა კლასი) და ფუძეს შორის (ღარიბთა კლასი), შედეგად მოიტანა მოსახლეობის შუა 20 პროცენტის (საშუალო კლასი) შემოსავლების წილის შემცირება მართლაც, უკანასკნელ წლებში საშუალო კლასის ოჯახების შემოსავალი შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოში და იაპონიაში დაღმავალი ან სტაგნაციური ტემპით ხასიათდებოდა.

მსოფლიოში საშუალო კლასის შემოსავლების წილის შემცირების მიზეზები მრავალფეროვანია. მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში ამ მოვლენის მთავარი ფაქტორი იყო საშუალო კვალიფიკაციით შესასრულებელი საქმიანობების წილის შემცირება მაღალი და დაბალი კვალიფკაციის საქმიანობებთან შედარებით [Duclos J., Esteban J.,



ნახაზი 6. ერთი პროცენტი მდიდარი მოსახლეობის წილი შემოსავლებში (1) 1980-1990 წლები; 2) 1990-2000 წლები; 3) 2000-2010 წლები) [Alvaredo, Atkinson, 2013]

and Ray D., 2004: 737-72]. გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში საშუალო კლასის შემოსავლების წილის შემცირება ასახავს შემოსავლების პოლარიზაციას [Hairong W., 2014]. ამის მაგალითია ჩინეთი. აქ მთლიანი სიმდიდრის 1/3–ზე მეტი კონცენტრირებულია უმდიდრესი მოსახლეობის 1 პროცენტის ხელში, მაშინ როცა მიუხედავად, ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა, მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბი რჩება [OECD. 2011].



ნახაზი 7. ცვლილება შემოსავლის განაწილებაში 20% მდიდრებსა და 20% ღარიბებს შორის (1990-2009 წ.წ.) [Brigtman, 2014]

სიღარიბე შემცირდა მრავალ ქვეყანაში, მაგრამ ის იზრდება განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. ბევრ ახალ საბაზრო ეკონომიკის და განვითარებად ქვეყანაში სიღარიბე შემცირდა (იხ. ნახაზი 8). განვითარებულ ქვეყნებში, პირიქით, სიღარიბე გაიზარდა 1990-იანი წლების შემდგომ [Fuetes Nieva R., and Calasco N. 2014]. 90-ე მეასედი ნაწილის შემოსავლის შეფარდება მე-10 მეასედის შემოსავალთან – გაიზარდა განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში 1980 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში. განსაკუთრებით ეს მოხდა შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში.





ნახაზი 8. სიღარიბის დონე რეგიონების მიხედვით [Fuetes Nieva R., and Calasco N. 2014]

სავალუტო ფონდის კვლევამ აჩვენა, აგრეთვე, ეკონომიკური უთანასწორობა სიმდიდრეში. სიმდიდრის თითქმის ნახევარს ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 1% ფლობს. ეს სიმდიდრე უტოლდება 110 ტრილიონ დოლარს, რაც 65-ჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიო მოსახლეობის ღარიბი ნახევრის ქონება [Euetes Niera R. and Calaso N. 2014]. შეერთებული შტატების მთლიანი სიმდიდრის ერთი მესამედი მოსახლეობის 1%-ის ხელშია (იხ. ნახაზი 8, მარცხენა პანელი). ქვეყნების უმეტესობაში, მოსახლეობის 1%-ის შემოსავლების წილის ზრდა ნაკლებშემოსავლიანი 90%-ს ხარჯზე ხდება (იხ. ნახაზი 9, მარჯვენა პანელი). კვლევით აღმოჩნდა ისიც, რომ მოსახლეობაში უფრო ღრმაა სიმდიდრის განაწილებაში უთანაბრობა, ვიდრე შემოსავლების განაწილებაში.როგორც მოწინავე, ასევე განვითარებად ქვეყნებში, შემოსავლების ჯინის კოეფიციენტი სიმდიდრის ჯინის კოფიციენტის ნახევარია.

მრავალი კვლევის თანახმად, სიმდიდრის მზარდი უთანაბრობა განვითარებულ ქვეყნებში განპირობებულია, ძირითადად, მოსახლეობის უმდიდრეს ნაწილში სიმდიდრის მზარდი დაგროვებით. განვითარებად ქვეყნებში მისი ზრდის სხვადასხვა მიზეზი სახელდება, სიმდიდრის პოლარიზაცია ქალაქებსა და სასოფლო რაიონებში (ჩინეთი) და კლასებსა და კასტებს შორის უთანასწორობა (ინდოეთი) [Zhang W., Vakulabharanam V., 2010].

ეკონომიკური უთანასწორობა გამოიხატა ჯანდაცვაში ხელმისაწვდომობაშიც. აღმოჩნდა, რომ შესაძლებლობების უთანაბრობა ჯანდაცვაში თითქმის საგანგაშოა. ჯანდაცვის შედეგების უთანაბრობას ფართო მასშტაბები აქვს განვითარებად ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში კი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ყველა საშემოსავლო ჯგუფისთვის თითქმის ერთნაირია. გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში ამ მხრივ დიდი განსხვავებები არსებობს (იხ. ნახაზი 10). მაგალითად, მსოფლიოს განვითარებად ქვეყნების ღარიბ ოჯახებში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის დონე ორჯერ უფრო მაღალია მდიდრებთან შედარებით. ასევეა ქალთა სიკვდილიანობის დონე.

მიუხედავად ამისა, განვითარებულ ქვეყნებშიც კი შემოსავლების უთანასწორობა, სულ უფრო მეტად აისახება სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა აშშ–ში, სადაც დღეს შემოსავალი უფრო მეტად განსაზღვ-



ნახაზი 9. უმდიდრესი 1%-ის (ზედა 1%) და ნაკლებშემოსავლიანი 90%-ის (ქვედა 90%) სიმდიდრის განაწილება მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში [Fuetes Nieva, 2014]



პირობითი აღნიშვნები:

1 - გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (DC_3)

2 - განვითარებადი ქვეყნები (EM_3)

3 - განვითარებული ქვეყნები (AE_s)

ნახაზი 10. ჯანდაცვის შესაძლებლობების უთანაბრობა მსოფლიოს მოსახლეობის მეხუთედების (20%) ჭრილში [Fuetes Nieva, 2014]

რავს სიცოცხლის ხანგრძლივობას, ვიდრე განსაზღვრავდა ერთი თაობის წინ [Murray C., Lopez A., and Alvarado M., 2013].

შესაძლებლობების უთანაბრობა არის განათლებაშიც (იხ. ნახაზები 11, 12). გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში განათლების შესაძლებლობების უთანაბრობა მცირდება. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ განათლების ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის [Castello-Climent A., and Domenech R., 2014]. ამ გაუმჯობესების მიუხედავად, განათლების შედეგები ბევრად უფრო უარესი რჩება არაპრივილეგირებული ჯგუფებისთვის. მართლაც, სუბ-საჰარის აფრიკის ქვეყნების ყველაზე ღარიბი ახალგაზრდების (20–24 წლის) 60%-ს 4 წელზე ნაკლები სასკოლო განათლება აქვს, ყველაზე მდიდრების 15%–თან შედარებით.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში განათლების უთანაბრობა, საშუალოდ, უცვლელი დარჩა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. თუმცა, უმაღლესი განათლების ღირებულების ზრდამ ზოგიერთ ქვეყანაში გამოიწვია ღარიბთა კლასისთვის მისი მიღების შემცირება. შეერთებულ შტატებში, მაგალითად, კოლეჯში განათლების ღირებულება ბევრად უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე უმეტესობა ოჯახების შემოსავალი 2001 წლის შემდეგ.

შესაძლებლობების უთანაბრობა დაფიქსირდა ფინანსურ მომსახურებაშიც. ფინანსური სერვისების გამოყენებაში დიდი განსხვავებებია განვითარებულ, გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებს შორის. განვითარებულ ქვეყნებში ზრდასრული მოზრდილი ადამიანების 80%-ზე მეტს აქვს ანგარიში ბანკში, რაც ორჯერ მეტია გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებთნ შედარებით. მაგრამ განვითარებად ქვეყნებშიც ანგარიში ბანკში უმეტესად მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანებს აქვთ. დანარჩენი მოსახლეობა, ძირითადად საკუთრი ყოველდღიური დანაზოგების იმედზეა. მრავალ ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნების დაბალშემოსავლიანი ოჯახები და მცირემასშტაბიანი ფირმები ფინანსური პრობლემების გამო, სიძნელეებს აწყდებიან. მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური პროდუქტები უფრო შეზღუდული და შედარებით ძვირია.





პირობითი აღნიშვნები:
1 - ყველაზე ღარიბების მეხუთედი
2 - ყველაზე მდიდრების მეხუთედი

ნახაზი 11. განათლების ჯინის კოეფიციენტი და შედეგები შემოსავლების მიხედვით

ნახაზი 12. 4 წელზე ნაკლები განათლების მქონე 20-24 წლის მოსახლეობის პროცენტი

ცალკე აღნიშვნის ღირსია უთანასწორობის დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა „COVID-19“ პანდემიის შედეგად, რომელმაც მოახდინა გარკვეული ნეგატიური ზეგავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, დაწყებული სამუშაოს დაკარგვით, ბავშვების განათლების შეჩერებით და სხვა. მსოფლიოში უამრავი ღარიბი ბავშვია, რომლებიც ვერ ახერხებენ სკოლაში სწავლის გაგრძელებას, შესაბამისად, მოკლებულნი არიან საბაზო განათლებას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სიღარიბის გადალახვის შესაძლებლობებზე. (“Children Are The Hidden Victims of COVID-19”: Out Now Our Webinar On Child Poverty’s Report, 2020).

მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა განვითარებულმა ქვეყანამ ეს პრობლემა დისტანციურის სწავლების მეთოდით მოაგვარა, პრობლემის მოგვარების ამ გზამ ყველა ქვეყანაში არ გაამართლა. დისტანციური განათლება მოითხოვს სტაბილურ ინტერნეტ კავშირს და თითოეული ბავშვისთვის ისეთ ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე წვდომას, როგორიცაა კომპიუტერი ან მობილური ტელეფონი, ხოლო საშინაო სწავლება ეყრდნობა მშობლების აკადემიურ შესაძლებლობებს.

მისი გავლენა სიღარიბის დონეზე მთელ მსოფლიოში მძმეა, ღატაკებში კი ყველაზე მძიმე. მას აქვს პოტენციალი, რომ ხალხი სიღარიბის ზღვრის მინიმალურ დონემდე მიიყვანოს. გლობალურ ეკონომიკაზე მისი გავლენის გამო, ბევრმა ქვეყანამ შეაჩერა წარმოება და დახურა ეკონომიკის განვითარების ყველა სექტორი. (Estimates of the impact of COVID-19 on global poverty, 2020).

უთანასწორობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა **„COVID-19“** პანდემიის გავლენის შედეგად ჩვენ შევძელით მოგვეპოვებინა გარკვეული ინფორმაცია. კვლევების სიმწირის მიუხედავად, ჩვენ შევძელით მოგვეპოვებინა ორი მათგანი. პირველი ეხება მთელ მსოფლიოს, მეორე ევროპას.

აშშ-ს ეკონონომიკურ კვლევის ეროვნულმა ბიურომ გამოაქვეყნა 2021 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებული კვლევის სამუშაო დოკუმენტი სათაურით - „COVID-19“ და შემოსავლებში გლობალური უთანასწორობა“ („COVID-19“ and Global Income Inequality) [Abgus Diaton. 2021]. ამ დოკუმენტს თან ერთვის ცნობა იმის შესახებ, რომ იგი ჯერ არ განუხილია დირექტორთა საბჭოს, არც ექსპერტებს შეუფასებიათ და ქვეყნდება მხოლოდ განსახილველად და კომენტარებისთვის.

როგორც ამ ნაშრომის სათაურიდან ჩანს, იგი შემოსავლებში გლობალურ უთანასწორობის საკითხს იხილავს პანდემიის პირობებში, ანუ 2019-2021 წლებში. აღნიშნული საკითხი ნაშრომში განხილულია მსოფლიოს 96 - მდიდარი და 97 ღარიბი ქვეყნის შუქზე, ანუ „COVID-19“-ის პანდემიის გავლენა შემოსავლებზე განხილულია მსოფლიოს ორი პოლუსის (მდიდარი და ღარიბი ქვეყნები) ურთიერთშედარებით.

მოცემული ნაშრომის რეზიუმეშივე ნათქვამია, რომ „მსოფლიო საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, რომ „COVID-19“-მა გაზარდა შემოსავლებში უთანასწორობა, რადგან ღარიბ ქვეყნებში მოსახლეობის სულადობრივი შემოსავლები უფრო შეამცირა, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში“ - გონივრულია, მაგრამ არ არის მართალი. მსოფლიოს მდიდარ ქვეყნებში, მიუხედავად მათი უკეთესი ჯანდაცვის სისტემისა, მათი მაღალი შემოსავლებისა და უფრო ქმედუნარიანი მთავრობისა, მოსახლეობის სულადობრივი შეწონვით, გარდაიცვალა უფრო მეტი, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში. მაღალსიკვდილიანობის ქვეყნებში შეიმჩნეოდა შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება, ნაკლებსიკვდილიანობის ქვეყნებში კი, შემოსავლების მატება. ამის შედეგად, მოსახლეობის სულადობრივი შემოსავალი უფრო მეტად შემცირდა მაღალშემოსავლების მქონე ქვეყნებში.

მოცემულ ნაშრომში ნათქვამია, რომ მსოფლიოს 97 უღარიბესმა ქვეყნის მოსახლეობამ 2019 წელს დაკარგა საშუალოდ 5% სულადობრივი შემოსავალი, მაშინ, როდესაც 96 ყველაზე მდიდარი ქვეყნის მოსახლეობამ, რომელთაც 6,5-ჯერ მეტი შემოსავლები ჰქონდათ, 2019 წელს დაკარგეს უფრო მეტი, საშუალოდ 10%. ნაშრომის ავტორის აზრით, ქვეყნების ამ ორივე ჯგუფის მოსახლეობას რომ პანდემიის მიზეზით ერთნაირი პროცენტით შემცირებოდათ შემოსავალი, ღარიბ ქვეყნების ჯგუფში გაღარიბების დონე მაინც უფრო მაღალი იქნებოდა, რადგან, იქ გაცილებიოთ მეტი ადამიანი ცხოვრობს გლობალური სიღარიბის ზღვარზე. მოცემულ ნაშრომში ნათქვამია ისიც, რომ ღარიბი ქვეყნები მდიდარ ქვეყნებთან შედარებით, უფრო შემოსავლით დაზარალდნენ, ვიდრე სიკვდილიანობით და ერთმანეთს შედარებულია აშშ-ს როგორც მდიდარი ქვეყნის და პაკისტანის, როგორც ღარიბი ქვეყნის მოსახლეობაზე „COVID-19“-ის გავლენა. აშშ-ში „COVID-19“-ის მიზეზით გარდაიცვალა 30-ჯერ მეტი, ვიდრე, ეს მოხდა პაკისტანში.

ნაშრომში უთანაბრობის საკითხი 2 კონცეფციის ფორმატშია განხილული. პირველი კონცეფცია თითოეულ ქვეყანას განიხილავს, როგორც პიროვნებას („ადამიანს“)

და მათ შორის უთანასწორობას ანაგრიშობს. მეორე კონცეფცია კი, უთანასწორობას ანგარიშობს არა ქვეყნის შიგნით მცხოვრებთა შორის, არამედ, ქვეყნების ხალხებს შორის. თანაც, ეს უთანაბრობა ამ შემთხვევაში მოსახლეობის შეწონვით იანგარიშება. ნაშრომის ავტორები, პირველ შემთხვევაში შეწონილ უთანასწორობაზე საუბრობენ, მეორე შემთხვევაში - შეუწონილ უთანაბრობაზე. ნაშრომში დადგენილია, რომ ქვეყნებს შორის შემოსავლებში უთანასწორობა უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნების შიგნით მცხოვრებ ადამიანებს შორის. ამასთან, როგორც ამ კვლევით ირკვევა, შეწონილ უთანასწორობის შემცირებას პანდემიამდე თან ახლდა ზოგიერთ ქვეყანაში უთანასწორობის ზრდა.

მოცემულ ნაშრომში ავტორი - აბგუს დეატონი წარმოადგენს დიაგრამას, რომელზეც გამოსახული აქვს ჯინის კოეფიციენტის ცვლილების ტენდენცია 1995-200 წლებში, ე. ი. პანდემიის დაწყებამდე (1995-2019) და პანდემიის დაწყების შემდეგ (2020 წლის ბოლომდე) (იხ. ნახაზი 13). ამასთან ჯინის კოეფიციენტი ავტორს წარმოდგენილი აქვს ორ ვარიანტად - მოსახლეობის რაოდენობაზე შეწონვით და მის გარეშე.

ნახაზზე წარმოდგენილი ზედა ორი ხაზი ჯინის კოეფიციენტის მდგომარეობას გამოხატავს, პირველი კონცეფციის მიხედვით, ანუ მარტივად - მოსახლეობის შეწონვის გარეშე. ამ ორი ხაზიდან პუნქტირით შესრულებული პანდემიამდე ჯინის კოეფიციენტის ცვლილებას ასახავს, ჩვეულებრივი კი, პანდემიის შემდეგ მდგომარეობას.

მართალია ნაშრომის ავტორს ნახაზზე პანდემიის დაწყების (2019) წელი ცალკე გამოხატული არა აქვს, მაგრამ იგი წერს, რომ „2019-2020 წლებში, იგი (მხედველობაში აქვს გლობალური ჯინის კოეფიციენტი) უფრო სწრაფად მცირდებოდა (0,004), ვიდრე მის შემცირებას ადგილი ჰქონდა 2018-2019 წლებში (0,002)“. იმავე ნახაზზე ქვედა ორი ხაზი გამოხატავს გლობალური ჯინის კოეფიციენტის ცვლილების ტენდენციას. მოცემულ შემთხვევაში, ჯინიოს კოეფიციენტი ავტორს გამოთვლილი აქვს ქვეყნების მოსახლეობის შეწონვის მეთოდით, ანუ მეორე კონცეფციით. ნახაზზე მოცემული ქვედა ორი ხაზიდან, როგორც პირველ შემთხვევაში, პუნქტირი გვიჩვენებს პანდემიამდე ჯინის კოეფიციენტის ანუ შემოსავლებში გლობალური უთანასწორობის მოძრაობას პანდემიამდე, ხოლო ჩვეულებრივი სწორი ხაზი იგივე - პანდემიის

შემდეგ. ამ შემთხვევაშიც ავტორი გვარწმუნებს, რომ შეწონილი მაჩვენებლის მიხედვითაც, 2019-2020 წლებში ანუ პანდემიის წლებში, მსოფლიო უთანაბრობა მცირედით შემცირდა (0,003), მაგრამ იგი ამას უფრო მიაწერს მსოფლიოს ორი უდიდესი ღარიბი ქვეყნის - ჩინეთის და ინდოეთის - სწრაფ ზრდას, რომლის შედეგად ამ ქვეყნების 2 მლრდ-ზე მეტი მოსახლეობა შემოსავლების გლობალური განაწილების ქვედა დონიდან თითქმის საშუალო დონემდე წამოიწივნენ.



ნახაზი 13. ჯინის კოეფიციენტის ცვლილება მსოფლიოში პანდემიამდე (1995-2015) და პანდემიის შემდეგ

გარდა ზემოაღნიშნულის დოკუმენტისა, ჩვენ გავეცანით მეორე დოკუმენტს, რომელიც განიხილავს „COVID-19“-ის გავლენას შემოსავლების უთანასწორობაზე ევროპის ქვეყნებში [Andew Clark. 2021]. ნაშრომის ავტორებმა ეს გამოკვლევა ჩაატარეს საფრანგეთსა, იტალიასა, გერმანიასა, შვედეთსა და ესპანეთში. აღნიშნული კვლევის ავტორები თავის მხერივ, დაეყრდნენ „COME-HERE“-ს ეგიდით ლუქსემბურგის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის ინფორმაციას, რომელიც ჩატარებულა 2020 წელს და ამ მიზეზით ვრცელდება მხოლოდ 2020 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პერიოდზე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ „ევროსტატის“ მონაცემებით, შემოსავ-

ლების უთანაბრობის ჯინის კოეფიციენტი 2019 წელს „COVID-19“-ის დაწყებამდე შეადგენდა [Andew Clark. 2021]:

საფრანგეთში	0,292-ს
გერმანიაში	0,297-ს
ესპანეთში	0,328-ს
იტალიაში	0,330-ს
შვედეთში	0,276-ს

შემდეგ პერიოდში, კერძოდ, 2020 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე, მან შეადგინა [Andew Clark. 2021]:

საფრანგეთში	0,294
გერმანიაში	0,302
ესპანეთში	0,336
იტალიაში	0,339
შვედეთში	0,314

თუ „COVID-19“-ის პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ, ევროპის ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ჯინის კოეფიციენტებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ საფრანგეთსა, გერმანიასა, იტალიასა და ესპანეთში „COVID-19“-ის პანდემიის შემდეგ, უთანაბრობის მცირე ზრდას აქვს ადგილი, მაგრამ, როგორც ამ ნაშრომის ავტორები მიუთითებენ, ეს ზრდა არცერთ შემთხვევაში არ არის 0,8 ჯინის ბალზე მაღალი. გამონაკლისია შვედეთი, სადაც შემოსავლებში უთანასწორობა საგრძნობლად ამაღლდა (0,314, ნაცვლად 0,276-სა). ნაშრომის ავტორები შვედეთის ამ მდგომარეობას უკავშირებენ ქვეყნის მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკას, რომელსაც არ მოუხდენია ქვეყნის სრული ბლოკირება და არც კომპენსაციების გაცემა დასჭირვებია.



ნახაზი 14. „ევროსტატის“ მონაცემებით, შემოსავლების უთანაბრობა პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ

მოცემულ ნაშრომში ავტორები „COVID-19“-ის პანდემიის გავლენით, შემოსავლებში უთანააწორობის ცვლილებას მათემატიკური მეთოდებითაც - საშუალო ლოგარითმული გადახრა, ვარიანციის კოეფიციენტის კვადრატის ნახევარი - ანგარიშობენ და ყოველივე ამის შემდეგ, აკეთებენ ასეთ შემაჯამებელ დასკვნას: „კვლევის შედეგები გვიჩვენებენ 2020 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე გერმანიასა, იტალიასა, ესპანეთსა და შვედეთის შემოსავლებში შეფარდებითი უთანასწორობის შემცირებას (გამონაკლისია საფრანგეთი, რომელსაც აღმოაჩნდა ვარიაციის კოეფიციენტის კვადრატის ნახევარში მცირე ზრდა). ამ ვითარების ახსნის ერთ-ერთი ინტერპრეტაცია არის „COVID-19“-თან ამ ქვეყნების მთავრობების ბრძოლის მეთოდი, რომელიც გამოიხატებოდა ქვეყნის ყველაზე უფრო ღარიბი ფენების მატერიალურ დახმარებაში“. თუმცა, ნაშრომის ავტორები მიუთითებენ, რომ „მათ მიერ ჩატარებული კვლევა და მისი საფუძველზე დაწერილი ნაშრომი არის ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი (მათ მხედველობაში აქვთ „COVID-19“-ის გავლენა შემოსავლოების განაწილებაზე) და ამდენად, იგი არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისგან“ [Andew Clark. 2021]. მეტიც, ისინი გამოთქვამენ ინტერესს, რომ ჩატარდეს კიდევ კვლევები „COVID-19“-ის ახალი ტალღების პირობებში, რომ დავინახოთ თუ რამდენად საკმარისია მთავრობის მიერ მოსახლეობაზე გაცემული კომპენსაციები შემოსავლებში უთანასწორობის ახალი გაღრმავების შესაჩერებლად.

II.2. ეკონომიკური უთანასწორობა და მოსახლეობის სიღარიბე საქართველოში

ვიდრე უშუალოდ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ უთანასწორობაზე არსებულ ინფორმაციას გავაანალიზებდეთ, უპირველესად ვისაუბრებთ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, რომელსაც არა მხოლოდ უმუშევრობა და აქედან გამომდინარე მცირე შემოსავლები განაპირობებს, არამედ მოსახლეობის ფენებს შორის მისი უთანასწორო განაწილებაც.

დასანანია, რომ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი არც შემოსავლებს, არც ხარჯებს და არც მთლიან შიდა პროდუქტს მოსახლეობის ფენების - მდიდრები, საშუალო და ღარიბები - მიხედვით არ აღრიცხავს, ვიცით მხოლოდ საერთო შემოსავლები, ხარჯები და მთლიანი შიდა პროდუქტი, რომლის გაყოფით შესაბამისი პერიოდის მოსახლეობის რიცხვზე ვღებულობთ მათ სულადობრივ მაჩვენებლებს. მაგრამ სულადობრივი მაჩვენებლები გაშუალებული მაჩვენებლებია, მასში ვერ დავინახავთ მდიდრების, ღარიბების ანდა საშუალო ფენის წილებს, მაგრამ სხვა, უფრო რელევანტური ინფორმაციის არარსებობის გამო, ვეყრდნობით და ვაანალიზებთ არსებულ ინფორმაციას.

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე დაახლოებით ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნების, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა. საქართველოში ცხოვრების დონე უკიდურესად დაბალია. ეს გამოიწვია ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის დაშლამ და მისმა გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე. ეს გადასვლა, რა თქმა უნდა, უმტკივნეულო არ იყო - მოიშალა კავშირურთიერთობები, დაეცა წარმოება, სოფლის მერნეობა, გაუქმდა ტრადიციული ფაბრიკა-ქარხნები და ა. შ. ეს მოხდა XX საუკუნის 90-იან წლებში. მაშინ დაწყებული უმუშევრობა დღესაც გრძელდება, და, ამ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის გარკვეული ზრდის მიუხედავად, ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან, მდიდრები კი - კიდევ უფრო მდიდრდებიან. ეს მდგომარეობა არავისთვის დასამალი არ არის. იგი დეკლარირებულია მთავრობის დონეზეც, და, თუ პოლიტიკოსების ნათქვამს დავუჯერებთ, საქართველოს მთავრობა მზადაა აამუშავოს ინკლუზიური ბიზნესი, რომლის შინაარსი სწორედ ღარიბების ჩართვა არის ბიზნესში.

ასე რომ, მოსახლეობის ცხოვრების დონის დღევანდელი ვითარება კი ნამდვილად არასახარბიელოა (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

სულადობრივი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დინამიკა საქართველოში 2010-2020 წლებში

წლები	მშპ-ს მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	ცვლილება 2010 წელთან შედარებით (აშშ დოლარი)	დინამიკა	
			% 2010 წელთან	% წინა წელთან
2010	2623	-	-	-
2011	3231	+608	123,2	123,2
2012	3523	+900	134,3	109,0
2013	3599	+976	137,2	102,2
2014	3676	+1053	140,1	102,1
2015	3766	+1143	143,6	102,4
2016	3864	+1241	147,3	102,6
2017	4078	+1455	155,5	105,5
2020	4275	+1652	163	104,8

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციის საფუძველზე

როგორც მოცემულ ცხრილიდან ჩანს, საქართველოში 2010-2020 წლებში სულადობრივი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2623 აშშ დოლარიდან 4275 აშშ დოლარამდე, ანუ 162,8%-ით გაიზარდა, ხოლო ცხრა წლის მანძილზე მისმა საშუალო წლიურმა სულადობრივმა მოცულობამ მხოლოდ 3625 აშშ დოლარი შეადგინა. მაშასადამე, მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მაჩვენებელი საქართველოში მეტად მცირეა. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ამ მოცულობით, საქართველო ძალიან ჩამორჩება მთელ რიგ მეზობელ ქვეყნებს. თურქეთში იგი 10788 დოლარია, რუსეთში - 8748 დოლარია, ირანში კი - 4958 დოლარი [მსოფლიო ბანკი, 2016], ისეთ პატარა ქვეყნებს კი, როგორიცაა შვეიცარია, ავსტრია და ბელგია, ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჰქონდათ ჩვენთან გაცილებით მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი: შვეიცარია - 32334, ავსტრია - 24820, ბელგია - 23498 აშშ დოლარი [მსოფლიო ბანკი, 2016]. იგივე ითქმის მოსახლეობის შემოსავლებზე.



ნახაზი 15. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დინამიკა საქართველოში 2010-2020 წლებში

ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მაჩვენებელის დინამიკა გვიჩვენებს (იხ. ცხრილი 4), რომ საქართველოში შემოსავლები მეტად დაბალი ტემპით იზრდება. შედარებით დადებითი ტენდენციით ხასიათდება შემოსავლები დაქირავებული შრომიდან. იგი 2010-2020 წლებში 56,1 ლარიდან 138,3 ლარამდე გაიზარდა. შემოსავლები პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და დახმარებებიდან 2010-2019 წლებში 2-ჯერ და მეტად არის გაზრდილი. რაც შეეხება ყველა სახის ფულად და არაფულად სულადობრივ შემოსავალს, იგი 1,8-ჯერ (188,7%) არის გაზრდილი.

ცხრილი 4

საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში (ლარებში)

	2010	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2019 წლის დინამიკა %-ად 2010 წელთან
1. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები	154,7	161,5	191,6	214,2	227,1	247,8	252,5	264,3	283,2	182,6
მ. შ.დაქირავებული შრომიდან	56,1	68,5	82,6	90,4	106,6	120,5	124,9	131,4	138,3	246,3
➢ თვითდასაქმებიდან	15,3	18,5	20,4	21,1	22,6	45,7	28	30,2	32,4	211
➢ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	10,5	13,3	14	19,6	22,2	17,9	13,9	16,3	17,2	164,0
➢ ქონებიდან (გაქირავებიდან,	1,9	1,2	2,1	2,5	2,5	3,4	3,1	4,0	3,5	184,2

პროცენტიდან, ანაბრიდან)										
➢ პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	22,8	26,6	34,6	41,9	41,6	43,8	46,0	47,2	54,1	234,7
➢ უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	6,9	8,0	9,7	10,0	8,0	8,31	9,7	11,4	13,4	194,2
➢ ახლობლებისაგან მიღებული ფული	18,5	25,5	28,6	28,8	23,7	29	26,9	23,9	25,0	135,1
2. არაფულადი შემოსავლები	23,9	25,1	23,6	24,9	23,3	20,8	20,2	20,5	20,1	83,7
3. სხვა ფულადი სახსრები	24,0	31,8	31,4	9,2	34,1	33,7	44,5	33,6	32	133,3
➢ ქონების გაყიდვა	3,1	5,8	2,2	2,5	2,2	2,4	3,3	1,5	2,1	67,7
➢ ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	20,8	25,9	29,3	31,4	31,9	31,9	41,2	32,1	29,9	111,1
4. ფულადი სახსრები სულ	156,0	193,3	223	248,2	261,2	28,5	297	297,9	316	202,5
5. ფულადი და არაფულადი სახსრები სულ	178,6	218,4	246,6	273	284,5	302,2	317,2	318,3	336,1	188,7

წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით ბიზნესში დასაქმებულთა საშუალო სულადობრივმა თვიურმა ანაზღაურებამ 2020 წელს შეადგინა - 1222,9 ლარი, ანუ 2010 წელთან შედარებით 97%-ით მეტი, ხოლო 2012 წელთან შედარებით 11-ით მეტი (იხ. ცხრილი 5) [მეწარმეობა საქართველოში, 2021: 120].

ცხრილი 5

ბიზნესში დასაქმებულთა შრომის თვიური სულადობრივი ანაზღაურება (ლარი)

	2010	2013	2015	2016	2017	2018	2020	2020 წელი %-ად 2010 წელთან
დასაქმებულთა	397806	550885	626739	666790	708165	734215	703874	177
რიცხვი								
შრომის	622,6	760,1	896,8	938,3	1019,7	1101,3	1222,9	197
თვიური ანაზღაურება								

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციის საფუძველზე

ასე რომ, მართალია ზრდა არის, მაგრამ მეტად მცირე. შრომის ასეთი ანაზღაურებით საქართველო სიღარიბეს თავს ვერ დააღწევს. საქართველოში ბიზნესის მიერ გაწეულ საერთო ხარჯების მოცულობაში შრომის ანაზღაურების ხარჯებს 2020 წელს მხოლოდ 8,9%, ანუ 9630,7 მლნ ლარი ეკავა [მეწარმეობა საქარველოში, 2021: 70]. მაშინ, როდესაც იგი საზღვარგარეთ 30%-ზე მეტია. ჩვენი

აზრით, კარგი იქნება საქართველოს მთავრობამ მეწარმეებს შრომის ანაზღაურების ხარჯების პროცენტული ლიმიტი (≥30%) დაუწესოს.



ნახაზი 16. დასაქმებულთა რიცხოვნობის დინამიკა საქართველოში 2010-2020 წლებში



ნახაზი 17. შრომის თვიური ანაზღაურების დინამიკა საქართველოში 2010-2020 წლებში

რაც შეეხება მოსახლეობის დანახარჯებს, მის სტრუქტურაში (ცხრილი 6) 2019 წელს სულადობრივი ხარჯების ყვლაზე მეტი წილი მოდის სამომხმარებლო ფულად ხარჯებზე - 223,4 ლარი, აქედან სურსათზე (სასმელის და თამბაქოს ჩათვლით) – 84,4

ლარი, ჯანმრთელობის დაცვაზე მხოლოდ - 26,4 ლარი, სათბობსა და ელექტროენერ-გიაზე - 28,8 ლარი, განათლებაზე - 6,2 ლარი და ა. შ. სწორედ ის ფაქტი, რომ შემო-სავლის ყველაზე დიდ ნაწილს (თვეში 84,4 ლარს) მოსახლეობა სურსათზე ხარჯავს, ადასტურებს მათ სიღარიბეს. ღარიბი მდიდრებთან შედარებით, გამოკვებაზე რომ არის ორიენტირებული, ეს ცნობილი ფაქტია.

ცხრილი 6

საშუალო თვიური დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში (ლარებში)

	2010	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2018 წ. დინამიკა %-ად 2010 წელთან
1. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	121,6	167,1	163	174,6	179,8	185,7	210,5	208,7	223,4
მ. შ. სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	46,4	54	61	63,8	66,0	66,6	75,3	78,1	84,5
➢ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	4,7	5,2	6,3	6,9	7,6	7,6	9,6	9,2	9,3
➢ საოჯახო მოხმარების საქონელზე	4,6	5,6	7,6	8,2	8,9	7,9	9,1	8,5	8,0
➢ ჯანმრთელობის დაცვაზე	16,8	16,3	19,1	20,9	22,4	26,8	28,4	26,0	26,4
➢ სათბობსა და ელექტროენერგიაზე	13,8	18,2	18,4	20,1	21,6	23,1	27,3	27,1	28,8
➢ ტრანსპორტზე	11,7	14,5	17,4	18,2	19,9	19,4	23,2	22,3	26,8
➢ განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე	5	6,1	6,6	6,5	5,6	6,4	7,1	7,2	6,2
2. არაფულადი ხარჯები	22,6	251	26,6	24,9	23,3	23,7	30,4	30,3	33,4
3. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	25,8	45,2	55,7	65,9	76,5	80,3	81,4	83,5	84,5
მ. შ. სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	2,9	4,4	5,5	5,7	7,2	8,1	5,8	6,3	6,7
➢ ტრანსფერებზე	5,0	6,4	7,5	9,9	11,1	11,1	11,6	9,6	10,1
➢ დაზოგვაზე ან გასესხებაზე	11,6	26,8	33,5	40,3	49,4	51,7	55,0	57,4	58,7
➢ ქონების შეძენაზე	6,2	7,6	9,1	10,0	8,8	9,2	9,1	9,6	8,7
4. ფულადი ხარჯები სულ	147,4	187,1	218,6	240,5	256,3	266	292	291,8	307,6
5. ხარჯები - სულ	170	212,2	242,1	265,4	278,9	289,7	312,6	312,2	327,7

წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია

თუ ერთმანეთს შევადარებთ მოსახლეობის შემოსავლებს, დანახარჯებს და მათ დინამიკას (ცხრილი 7) დავინახავთ, რომ 2010-2020 წლების პერიოდში ხარჯების ზრდის ტრენდი აღემატება შემოსავლების ზრდის ტრენდს. იგივეს გვიჩვენებს ნახაზი 18-იც.

ცხრილი 7

შემოსავლების და ხარჯების დინამიკა საქართველოში

	2010	2020	დინამიკა (%)
შემოსავლები	178,6	336,1	188,7
ხარჯები	170	327,7	193

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ



ნახაზი 18. სულდობრივი შემოსავლების და ხარჯების ზრდის ტრენდი
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

შემოსავლების და ხარჯების დინამიკა მე-7 ცხრილის მიხედვით შემდეგი სახე ექნება:



ნახაზი 19. სულდობრივი შემოსავლების და ხარჯების დინამიკა 2010-2020 წლის მიხედვით.
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ასეთ პირობებში, როცა ხარჯები მეტად იზრდება, ვიდრე შემოსავლები, მოსახლეობას დანაზოგი არ ექნება. ამის მიუხედავად, ეროვნული ბანკის მონაცემებით ბანკებში დეპოზიტების ანგარიშებია გახსნილი. ეს რა თქმა უნდა, საქართველოს მდიდარი მოსახლეობის ანგარიშებია. დეპოზიტები კონფიდენციალური ინფორმაციაა და ჩვენ მასზე არ მიგვიწვდა ხელი. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ შემოსავალ-ხარჯების ურთიერთშედარებით დაგვედგინა საქართველოს მოსახლეობის დანაზოგების სავარაუდო მოცულობა (ცხრილი 8).

ცხრილი 8

მოსახლეობის საშუალოთვიური დანაზოგი საქართველოში (მლნ ლარი)
2012-2019 წლებში

	შემოსავალი			ხარჯები			დანაზოგი		
	ქალაქი	სოფელი	ქვეყანა	ქალა-ქი	სოფელი	ქვეყა-ნა	ქალა-ქი	სოფელი	ქვეყანა
2012	436,4	372,3	808,8	426,9	359,0	785,9	9,5	13,3	22,9
2013	500,8	406,1	906,9	493,5	397,0	890,5	7,3	9,1	16,4
2014	552,6	448,8	1001,4	543,5	429,7	973,2	9,1	19,1	28,2
2015	581	459	1010	565,4	456,7	1025,0	15,6	2,3	17,9
2016	596	476,2	1072,3	592,8	463,1	1055,9	3,2	13,1	16,3
2017	757,8	424,1	1181,9	7481,4	414,6	1163	343,6	80,5	18,9
2018	760,7	426,5	1187,2	749,5	415	1164,5	11,2	11,5	22,7
2019	781	470	1251	764,4	456	1220,1	166	14	30,4

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

ცხრილი 8-ის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ დანაზოგის თვიური სიდიდე საქართველოში 2019 წელს 30,4 მლნ ლარს შეადგენდა, ანუ წლიურად - 272,4 მლნ ლარს. კარგი იქნება თუ ეს თანხა ჩაიდება სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, საკურორტო მეურნეობაში და მრეწველობაში. ამ დარგებს დასაქმების დიდი პოტენციალი და გამომდინარე აქედან სიღარიბის შემცირება შეუძლიათ.

ეხლა რაც შეეხება საარსებო მინიმუმს. მინიმალური საარსებო კალათის ღირებულება საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცისთვის შეადგენდა: 2010 წელს - 134,3 ლარს, 2011 წელს - 157,8 ლარს, 2012 წელს - 151,1 ლარს, 2013 წელს - 149,0 ლარს, 2014 წელს - 149,6 ლარს, 2015 წელს – 161,1 ლარს, 2016 წელს 160 ლარს, 2017 წელს -

170,8 ლარს, 2019 წელს - 187,6 ლარს (იხ. ცხრილი 9). მთელ ამ პერიოდში საშუალოდ თვეში ეს თანხა არის 156 ლარი.

ცხრილი 9

საარსებო მინიმუმი და მედიანური მოხმარება საქართველოში 2010-2019 წლებში (ლარი)

	შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი	მედიანური მოხმარება
2010	134,3	161,6
2011	154,8	171,7
2012	151,1	191,6
2013	149,0	217
2014	149,6	233,2
2015	161,1	236,7
2016	160.1	242,1
2017	170,8	268,4
2019	187,6	288,2

წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია

მაშასადამე, გამოდის, რომ 2010-2019 წლებში საქართველოში მოქალაქე შრომისუნარიანი მამაკაცის ფიზიკური არსებობისთვის, საკმარისი იყო თვეში საშუალოდ 187,6 ლარი. მისი სიმცირის მიუხედავად (დღეში 6,2 ლარი) საგანგაშოა ისიც, რომ მთელ რიგ წლებში იგი კი არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა (2013-2014 წლები). 2017 წლიდან, მართალია, დაიწყო მისი ზრდა, მაგრამ თვეების განმავლობაში იყო დიდი ჩავარდნებიც [გაზეთი ”ბანკები და ფინანსები”, 17.08.2015: 2].

ჩვენი აზრით, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმი, აშკარად მცირეა. ჩვენი ეს მოსაზრება ეხება შრომისუნარიან მამაკაცსაც და ორ, სამ, ოთხ, ხუთ და ექვსსულიანი ოჯახების საარსებო მინიმუმის ნორმატივებსაც. მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების მინიმალური რაოდენობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის ნორმალური სიცოცხლე და ნორმალური შრომისუნარიანობა. საარსებო მინიმუმის დღევანდელი ნორმები არ არის საკმარისი ადამიანების შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

გავაანალიზეთ მედიანური მოხმარებაც, აღმოჩნდა, რომ მედიანურმა მოხმარებამ შეადგინა (იხ. ცხრილი 10): 2010 წელს - 161,6 ლარი, 2011 წელს - 171,7 ლარი, 2012 წელს - 191,6 ლარი, 2013 წელს - 217,0 ლარი, 2014-2015 წლებში 233,2 და 236,7 ლარი, 2016 წელს - 242,1 ლარი, 2017 წელს - 268,4 ლარი, 2018 წელს აღმოჩნდა 270,3 ლარი, ხოლო 2019 წელს - 288,2 ლარი. ამასთან, თუ მედიანური მოხმარების 60%-ის

ქვემოთ იმყოფებოდა 2010 წელს მოსახლეობის 22,7%, 2019 წელს მან შეადგინა 20,5% [„საქსტატის“ წელიწდეული,

ცხრილი 10

მოსახლეობის ფარდობითი სიღარიბე საქართველოში

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
1. მოსახლეობის რიცხვი (კაცი)	4436400	4469200	4497600	4483800	4490,500	3713,700	3728400	3729600	3729500	3723,5
2. მედიანური მოხ-მარება	161,6	171,4	191,6	217	233,0	236,7	242,1	268,4	270,3	288,2
3. ფარდობითი სიღარიბე:										
➢ მედიანური მოხ-მარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობა:										
✓ მოსახლეობის ხვ. წილი (%)	22,7	23	22,4	21,4	21,4	20,1	20,6	22,3	20,5	20,1
✓ ამ მოსახლეობის რ-ბა	1007063	1027916	1007462	959533	969000	746453	766402	831700	764500	748400
✓ მედიანური მოხმარების 60% ლარებში (თვეში)	$\frac{161.6}{100} \cdot 60 =$ $= 97$	$\frac{171}{100} \cdot 60 =$ $= 102$	$\frac{191.6}{100} \cdot 60 =$ $= 115$	$\frac{217}{100} \cdot 60 =$ $= 130.2$	$\frac{232,2}{100} \cdot 60 =$ $= 140$	$\frac{236,7}{100} \cdot 60 =$ $= 142$	$\frac{242,1}{100} \cdot 60 =$ $= 145,3$	$\frac{268.4}{100} \cdot 60 =$ $= 161$	$\frac{270.3}{100} \cdot 60 =$ $= 162.2$	$\frac{288,2}{100} \cdot 60 =$ $= 173$
➢ მედიანური მოხ-მარების 40%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის:										

✓ მოსახლეობის ხვ. წილი (%)	10	10,4	9,3	8,4	8,0	7,1	7,1	8,5	7,6	7,4
✓ ამ მოსახლეობის რაოდენობა	443640	464797	418277	376639	359240	263672	264148	317016	283440	275540
✓ მედიანური მოხმარების 40% ლარებში (თვეში)	$\frac{161.6}{100} \cdot 40 =$ $= 64.6$	$\frac{171,4}{100} \cdot 40 =$ $= 68.5$	$\frac{191.6}{100} \cdot 40 =$ $= 77$	$\frac{217}{100} \cdot 40 =$ $= 86.8$	$\frac{233,2}{100} \cdot 40 =$ $= 93,3$	$\frac{236,7}{100} \cdot 40 =$ $= 94,7$	$\frac{242,1}{100} \cdot 40 =$ $= 96,8$	$\frac{268.4}{100} \cdot 60 =$ $= 107.3$	$\frac{270.3}{100} \cdot 40 =$ $= 108.1$	$\frac{288,2}{100} \cdot 40 =$ $= 115,3$

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციის საფუძველზე

2020: 58], რაც შეეხება მედიანური მოხმარების 40%-ის ქვემოთ მყოფ მოსახლეობას, მათი წილი 2010-2019 წლებში 10%-დან 7,4%-მდე არის შემცირებული. ამრიგად, 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 20,1% ხარჯავდა თვეში 173 ლარამდე (288,2 : 100·60), ხოლო მედიანური მოხმარების 40%-მდე ანუ 115,3 ლარამდე (288,2 : 100·40)- მოსახლეობის - 7,4%. პირველი ჯგუფში იყო 748400 კაცი, მეორე ჯგუფში - 275540 კაცი.

2010 წელთან შედარებით ამ მაჩვენებლების გარკვეულ პროგრესს აქვს ადგილი:

1. მედიანური მოხმარების 60%-ის ქვემოთ მყოფი მოსახლეობა შემცირდა 1007063 – 748400 = 258663 კაცით;

2. გაიზარდა ყოველთვიური მედიანური მოხმარების 60% - 173 – 97 = 76 ლარით;

3. შემცირდა მედიანური მოხმარების 40%-ის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რიცხვი 443640 – 275540 = 168100 კაცით;

4. გაიზარდა ყოველთვიური მედიანური მოხმარების 40% -115,3 – 64,6 = 50,7 ლარით.

ამ გაანგარიშებიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ 2019 წელს საქართველოში თვეში 173 ლარზე ცხოვრობდა 748400 კაცი (მოსახლეობის 20,1%), ხოლო თვეში 115,3 ლარზე - 275540 კაცი (მოსახლეობის 7,4%). პირველი ჯგუფი დღეში ხარჯავდა 5,6 ლარს (173:30 = 5,6 ლარი), მეორე კი - 3,8 ლარს (115,3:30 დღე = 3,6 ლარი). მსოფლიო ბანკის ინფორმაციით აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი დღეში ერთ ადამიანზე 2 აშშ დოლარია [ოთინაშვილი, 2010: 404]. დოლართან მიმართებაში ლარის დღევანდელი კურსით (1$=3,10 ლარი) მოსახლეობის ორივე ნაწილი თავისი დღიური მოხმარებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ხვდება.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ მართალია საქართველოში იკვეთება მედიანური მოხმარების 60% და 40%-ს ქვემოთ მცხოვრებ მოსახლეობის კლების ტენდენცია (ორივე ერთად 426763 კაცით არის შემცირებული), მაგრამ ცნობილია ისიც,რომ ღარიბ-ღატაკების 10-15% საერთოდ არ რეგისტრირდება სოციალურად დაუცველთა მონაცემთა და ამდენად, „საქსტატის“ ინფორმაცია გარკვეულ უზუსტობას შეიცავს.

სიღარიბე შეფასებითი ცნებაა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით შრომისუნარიანი მამაკაცის სიღარიბის ზღვარი საქართველოსთვის 174,3 ლარია თვეში, გაეროს ბავშვთა

ფონდის შეფასებით კი - 94,2 ლარი. ასეთი მიდგომით ჩვენს მიერ გამოანგარიშებული 60 და 40%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა არ ხვდებიან ღარიბებში. ამას ჩვენ არ ვეთანხმებით.

ეხლა რაც შეეხება მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლის უთანაბრო განაწილებას. მე-11 ცხრილიდან ჩანს, საქართველოში 2010-2019 წლებში ჯინის კოეფიციენტი შემცირებულია როგორც მთლიანი შემოსავლების (0,43-დან 0,39-მდე), მთლიანი ფულადი სახსრების (0,49-დან 0,42-მდე), მთლიანი სახსრების (0,45-დან 0,40-მდე), მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების (0,41-დან 0,37-მდე), მთლიანი ფულადი ხარჯების (0,48-დან 0,44-მდე) [„საქსტატის“ წელიწდეული, 2020: 59], ისე მთლიანი ხარჯების მიხედვით (0,44-დან 0,43-მდე). ჯინის კოეფიციენტის შემცირება კარგია, მაგრამ მისი დონე საქართველოში მაინც მაღალია (მისი კრიტიკული ზღვარი 0,41-0,46-ის ფარგლებში მერყეობს). ეს მიუთითებს შემოსავლების და ხარჯების არათანაბარ განაწილებაზე საქართველოს მოსახლეობაში. იგივე აზრს გამოთქვამენ სხვა მეცნიერებიც. მაგალითად, ი. მაკალათიას გამოკვლევით 2014 წელს მოსახლეობის ყველაზე ღარიბმა ჯგუფმა, საქართველოში, ყველაზე მდიდარ ჯგუფთან შედარებით, 19,8-ჯერ ნაკლები შემოსავალი მიიღო. ის იყო მთლიანი შემოსავლების 1,7% [მაკალათია, 2014: 96]. შემოსავლების უთანასწორობის გაღრმავება საქართველოს მთავრობის მხრიდან გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს. იგი იწვევს ღარიბი მოსახლეობის ზრდას. დღეს საქართველოში აბსოლუტურ სიღარიბის დონე 19,5%-ია [„საქსტატის“ წელიწდეული, 2020: 59]. სტატისტიკური ინფორმაციით 2010 წელთან შედარებით იგი შემცირებულია 8,1%-ით, მაგრამ ეს არ ეტყობა მოსახლეობას. სიღარიბის დონე უფრო მეტია სოფლად (23,7%), ვიდრე ქალაქად (19,5%) [„საქსტატის“ წელიწდეული, 2020: 59].

ცხრილი 11

ჯინის კოეფიციენტები საქართველოში

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2010	0,43	0,49	0,45	0,41	0,48	0,44
2011	0,43	0,49	0,45	0,42	0,49	0,45
2012	0,41	0,47	0,43	0,41	0,48	0,44
2013	0,40	0,43	0,40	0,39	0,46	0,42
2014	0,39	0,43	0,40	0,39	0,47	0,44
2015	0,39	0,43	0,41	0,38	0,46	0,43
2016	0,40	0,43	0,41	0,39	0,46	0,43

2017	0,41	0,45	0,43	0,40	0,47	0,45
2018	0,39	0,42	0,40	0,37	0,44	0,42
2019	0,39	0,42	0,40	0,37	0,44	0,43
ცვლილება 2010-2019 წლებში	-0,04	-0,07	-0,05	-0,04	-0,04	-0,01

წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური უთანაწორობა მარტო შემოსავლების უთანასწორობით არ იზომება. ეს აგრეთვე გამოიხატება ჯანმრთელობის უთანასწორო უზრუნველყოფაში. მეცნიერთა ერთი ნაწილი საკითხს პირიქით აყენებს - თუ ადამიანი ჯანმრთელი არ არის, ის სათანადოდ ვერ შრომობს და ამ მიზეზით შემოსავალიც ცოტა აქვს [Acemoglu, Johnson, Robinson, 2001: 1369-1401]. ცხადია, რომ ჯანმრთელობის მაღალი დონე ზრდის ადამიანის შემოსავლის დონეს, მაგრამ თუ ადამიანს არა აქვს მაღალი შემოსავალი, მას არ მიუწვდება ხელი ხარისხიან მკურნალობაზე.

როგორც ცნობილია, ჯანმრთელობას კარგი კვება უზრუნველყოფს. ღარიბი ოჯახები ვერ იკვებებიან კალორიულად, ამდენად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მდიდრებთან შედარებით დაბალია. ადამიანები, რომლებიც მდიდრები არიან, პირიქით, თავს უფლებას აძლევენ, მიიღონ კალორიული და ვიტამინებით მდიდარი საკვები. ღარიბები თავიანთი შემოსავლებიდან პროცენტულად უფრო მეტს ხარჯავენ კვებაზე (საქართველოში 2019 წელს მან შეადგინა მოსახლეობის ერთ სულ მოსახლეზე - 35%) [„საქსტატის“ წელიწდეული, 2020: 56], მაგრამ ეს საკვები თავისი შედგენილობით ნაკლებ ვიტამინიზებული და ნაკლებ კალორიულია. ამან გამოიწვია პაციენტთა მიმართვების ზრდა ექიმებთან, 2011-2019 წლებში დაავადებათა რეგისტრაცია 1276-დან 1780,6 ათასამდე გაიზარდა, მ. შ. ბავშვები 406,7-დან 475 ათასამდე.

მართალია, საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, რომლის ხარჯები მთავრობამ თავის თავზე აიღო, მაგრამ არის დაავადებები, რომლებზეც საბიუჯეტო ლიმიტია დაწესებული - ონკოლოგიური დაავადებები, მშობიარობა, გეგმური ქირურგიული ოპერაციები ფინანსდება 70%-ით, დანარჩენი ხარჯი პაციენტმა უნდა დაფაროს და ა. შ. [ვერულავა, გაბულდანი, 2015: 76]. ეს თანხები არ არის მცირე, ხოლო თუ დაავადება გართულდა და ოპერაციას უცხოელი მედიკოსების ჩარევა დასჭირდა, მაშინ თანხის რაოდენობა ორმაგდება ან სულაც სამმაგდება. რა თქმა უნდა, რომ ღარიბ მოსახლეობას ამის გადახდის მატერიალური საშუალება არა აქვს ანუ არა აქვს წვდომა საუკეთესო სამედიცინო მომსახურებაზე.

უკანაასკნელ წლებში საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას მეტი ყურადღება დაეთმო. 2018 წელს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 1089062,7 ათასი ლარი ანუ ბიუჯეტის მთელი ხარჯების 11,2% [საქართველოს ბიუჯეტი, 2019]. ერთ სულ მოსახლეზე იგი შეადგენს მხოლოდ 292 ლარს. სხვა ქვეყნებში იგი ტოლია - ნორვეგიაში - 3780 დოლარს, საფრანგეთში - 2833 დოლარს, გერმანიაში - 2548 დოლარს და ა. შ. აღნიშნულ ქვეყნებში ამ მიზნით ბიუჯეტის 16-18% იხარჯება [Доклад о развитии человека, 2009: 199-200].

მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესების ზემოთ ნაჩვენები უარყოფითი ტენდენცია საქართველოში გამოიწვია მოსახლეობის სიღარიბემ, შემოსავლების გადანაწილების არასწორმა პოლიტიკამ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) გამოკვლევით, რომელმაც სიღარიბით და შემოსავლების უთანაბრობით საქართველო, სომხეთი, ბელორუსია და ყაზახეთი შეადარა ერთმანეთს, დაადგინა, რომ საქართველოში სიღარიბე 14,8%-ია, სომხეთში - 32,1%, ბელორუსიაში - 6,3%, ხოლო ყაზახეთში - 2,9%. ამის შესაბამისია ჯინის კოეფიციენტებიც: 42,1; 30,3; 26,4; 28,5 [World emploumens social outlook, 2010: 40].

შემოსავლებში უთანასწორობა იწვევს კარგ განათლებაზე ხელმიუწვდომლობასაც. საქართველოდან საზღვარგარეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სასწავლებლად მიდიან შეძლებულთა შვილები. და არა ღარიბთა შვილები. განათლებაზეც მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება საქართველოს ბიუჯეტიდან (2018 წელს დაიხარჯა 1243,5 მლნ ანუ ბიუჯეტის 13%), მაგრამ ის ფაქტი, რომ 2019 წელს საქართველოში ჩაირიცხა 11529 სტუდენტი, მაგრამ დაამთავრა მხოლოდ 10928-მა [„საქსტატის“ წელიწდეული, 2020: 72], იმაზე მიუთითებს, რომ ღარიბ ქვეყნების მოსახლეობას არა აქვს სწავლის დამთავრების საშუალება იმიტომ, რომ არ შეუძლია სწავლის ღირებულების გადახდა. განსხვავებით ზოგადად ღარიბი ქვეყნებისგან საქართველოში მოსახლეობის მომცველობის დონე უმაღლესი სწავლებით 2018 წელს 4%-ია [„საქსტატის“ წელიწდეული, 2020: 20; 66] ანუ კიდევ უფრო მცირე, ვიდრე სხვა ღარიბ ქვეყნებში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის სიღარიბის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ზოგადად განვითარებადი ქვეყნებისა. სხვა რით უნდა აიხსნას უმაღლესი სწავლებით მოსახლეობის მომცველობის ასეთი დაბალი პროცენტი საქართველოში, რომლის მოსახლეობაში უმაღლესი განათლებისკენ სწრაფვა არის მაღალი და რომ არა სიღა-

რიბე, სხვა არაფერი შეაფარხებთ მათ ამ მიზნის მიღწევაში. შემოსავალი და განათლება ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. არის შემოსავალი - არის განათლებაც, ასეა განათლებაც - არის განათლება, არის შემოსავალიც. განათლებულ ადამიანს მაღალი უკუგება აქვს ხელფასის სახით. უცხოელ მეცნიერთა დაკვირვებით სწავლების პირველ წლებში (დაწყებითი სწავლება) ყოველი ერთი წელი 13,4%-ით მეტ უკუგებას იძლევა, მომდევნო 4 წელი (მე-5 - მე-8 კლასი) ყოველწლიურად 10,1%, ხოლო 8 წელზე მეტი სწავლებისას ყოველ წელს იგი 6,8%-ის ტოლია [Hall, Robert CharlesJones, 1999].

II.3. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. მასში შედის სამი ისტორიული მხარე - სამცხე, ჯავახეთი და თორი. მასში ექვსი თვითმმართველი ერთეულია განლაგებული, ესენია: ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორია 6421 კვ.კმ-ია, მოსახლეობა 155,9 ათასი კაცი. 2003 წელს რეგიონში ცხოვრობდა 206,2 ათასი კაცი, 2013 წელს - 213,5 ათასი კაცი, დღეს კი, მხოლოდ - 155,9 ათასი [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 5]. მოსახლეობის ასეთი კატასტროფული შემცირება გამოიწვია უმუშევრობის მიზეზით განვითარებულმა მიგრაციამ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 84 სოფელია. აქედან ადიგენის მუნიციპალიტეტში 15 სოფელი 16500 მცხოვრებით, ასპინძაში - 12 სოფელი 12600 მცხოვრებით, ახალციხეში 15 სოფელი 39400 მცხოვრებით, ახალქალაქში 21 სოფელი 48900 მცხოვრებით, ბორჯომში 11 სოფელი 26200 მცხოვრებით, ნინოწმინდაში 10 სოფელი 12300 მცხოვრებით. ზოგადად რეგიონის მოსახლეობიდან 100,9 ათასი ცხოვრობს სოფლად, 55 ათასი კი ქალაქად [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 5].

რეგიონს ეკონომიკური განვითარების კარგი ბაზა აქვს. იგი მდიდარია მინერალური, თერმული და მტკნარი წყლით, მურა ნახშირით, ოქრო და ანდეზიტით, მოსა-

პირკეთებელი მასალებით, ბაზალტით, დიატომიტით, პერლიტით და სხვა წიაღისეულით [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 10].

სამცხე-ჯავახეთი ტყით მდიდარი რეგიონია, ამ ტყეებში 85 დასახელების სამკურნალო მცენარეა.

იმ ბუნებრივი სიმდიდრეების ბაზაზე, რომელსაც მოცემული რეგიონი ფლობს, აქ განვითარებულია ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ნაწილობრივ მრეწველობაც.

ამჟამად რეგიონი 115000 მგვტ/სთ ელექტროენერგიას აწარმოებს, დაწყებულია და მიმდინარეობს ახალი ჰესების მშენებლობა. ესენია [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 105]:

ფარავან-ჰესი - სიმძლავრე 78 მგვტ

არაკალი-ჰესი - სიმძლავრე 11 მგვტ

აბული-ჰესი - სიმძლავრე 20 მგვტ

ახალქალაქი-ჰესი - სიმძლავრე 15 მგვტ

მტკვარი-ჰესი - სიმძლავრე 48 მგვტ

რეგიონში ბოლო 5 წლის განმავლობაში კარგად განვითარდა ტურიზმი. სასტუმროების და სხვა განთავსების ობიექტების რაოდენობა 40%-ით გაიზარდა. ასევე გაიზარდა რეგიონში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა. დღეს რეგიონში 138 სასტუმრო მოქმედებს, მათგან 78 არის ოჯახური ტიპის [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 15]. ტურისტებს მოცემულ რეგიონში აინტერესებთ ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, თმოგვის, ხერთვისის, რაბათის ციხეები, ზარზმის და საფარის მონასტრები, აგრეთვე, დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები.

სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენს მკვეთრად გამოხატულ აგრარულ რეგიონს. აქ სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია შინამეურნეობებით და კომერციული აგრომეურნეობებით. პროდუქციის წარმოების 90%-ზე მეტი მცირე ზომის შინამეურნეობებზე მოდის. მათგან 27% აწარმოებს პროდუქტებს გარეთ გასაყიდათ და შემოსავლის მისაღებად.

მემცენარეობიდან რეგიონში მისდევენ კარტოფილის, მარცვლეულის და ბოსტნეულის წარმოებას. აქ, კარტოფილს მთელი ნათესი ფართობის 52% უკავია [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 15]. მთლიანად საქართველოში კარტო-

ფილის ნათესი ფართობი 20,3 ათასი ჰექტარია, აქედან, სამცხე-ჯავახეთში არის 10,6 ათასი ჰექტარი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კონცეტრირებულია ქვეყანაში არსებული მსხვილ-ფეხა პირუტყვის 8% და ფუტკრის ოჯახების 7%. საქართველოში მთლიანად 1088 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია. აქედან სამცხე-ჯავახეთში - 136 ათასი, ცხვარი - 72 ათასი და ფუტკარი 26 ათასი [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრა-ტეგია, 2013: 16].

რეგიონში დაიწყო და ვითარდება მეთევზეობა. ეს ძირითადად ხდება ხელოვნურ აუზებში კალმახის მოშენებით, აგრეთვე, ბუნებრივ წყალსატევებში სიგას და კარჩხანას მოშენებით. მოსახლეობის შემოსავლის გაზრდის მიზნით ეს მეტად კარგი საქმეა, მაგრამ მის განვითარებას ხელს უშლის მოსახლეობაში თევზწარმოების ცოდნის დაბალი დონე, მდინარესთან მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობა (ფაქტიურად უგზოობა), სპეციალური აპარატურის არქონა და მრავალი სხვა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს. აქ არის 205 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 34 საბავშვო ბაღი, 4 პროფესიული სასწავლებელი და ერთი უმაღლესი სასწავლებელი (ახალციხის სას-წავლო უნივერსიტეტი) [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 22]. ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში 4 ფაკულტეტია და 1360 სტუდენტი სწავ-ლობს. უნივერსიტეტში არის აგრარული ფაკულტეტი. კარგი იქნება თუ მის შიგნით გაიხსნება მეთევზეობის და მეფუტკრეობის სპეციალობები, აგრეთვე ვეტერინარია. ასეთი სპეციალისტები სჭირდება რეგიონს. იგივე ეხება ტურიზმსაც.

რეგიონში 6 საავადმყოფო და ერთი აბასთუმნის სპეციალიზებული სტაციონარი ფუნქციონირებს. საწოლთა ფონდით რეგიონის უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მცხოვრებზე 223 საწოლს შეადგენს, ეს მაჩვენებელი მეტად დაბალია. იგი 26%-ით ჩამორჩება საშუალოდ საქართველოს მაჩვენებელს. ექიმებით უზრუნველყოფა შეადგენს 100 000 მოსახლეზე 95,6 ექიმს [სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრა-ტეგია, 2013: 21].

რეგიონის ხელმძღვანელობამ ჩაატარა რეგიონის SWOT-ანალიზი და გამოკვეთა რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (იხ. ცხრილი 12).

ჩვენი აზრით, ამ ფაქტორულ ანალიზს უნდა დაემატოს:

ძლიერ მხარეებში:

- ტურიზმის განვითარების დიდი რესურსი;
- მტკნარი სასმელი წყლის დიდი მარაგი, რომლის ჩამოსხმა შეიძლება;
- ავეჯის წარმოების მოწყობა, რადგან რეგიონის თითქმის 80% ტყითაა დაფარული;
- რეგიონის მრავალრიცხოვან მდინარეებზე წყალსატევების გაკეთება და თევზწარმოების განვითარება.

ცხრილი 12

რეგიონის ფაქტორული ანალიზი (SWOT)

რეგიონი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; ➢ ბუნებრივი რესურსების სიუხვე; ➢ თურქეთთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა; ➢ ტრანსასაზღვრო მეზობელ ქვეყნებთან; ➢ რეკრეაციული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კურორტის არსებობა; ➢ ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა; ➢ აგრარული წარმოების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და ტრადიციები.	➢ ინფრასტრუქტურის (გაზიფიკაციის, წყალმომარაგების, მყარი ნარჩენების მართვის, საკანალიზაციო სისტემის) დაბალი მაჩვენებლები და გაუმართაობა, მელიორაციის სისტემის მოძველებული მდგომარეობა); ➢ წარმოების მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება; ➢ ექსტენსიური სოფლის მეურნეობა; ➢ პროფესიული კადრების ნაკლებობა; ➢ ფინანსური რესურსების დაბალი ხელმისაწვდომობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოების განვითარება; ➢ ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარება; ➢ სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება; ➢ ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარება-გამოყენება; ➢ ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება; ➢ ელექტროენერგიის მსხვილ მწარმოებლად/სატრანზიტო კვანძად ჩამოყალიბება.	➢ ბუნებრივი კატასტროფები; ➢ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი.

წყარო: სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგია, 2013: 28-32

სუსტ მხარეებში: გზების არ არსებობა და გაუმართაობა; მრეწველობის განუვითარებლობა; ადგილობრივ მოსახლეობაში მოთხოვნადი პროფესიების მფლობელთა არარსებობა.

შესაძლებლობებში: რეგიონის ქცევა ტურიზმის და კურორტების ცენტრად; რეგიონის ქცევა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის პროდუქტის მწარმოებელ ცენტრად; რეგიონში მეაბრეშუმეობის განვითარება მოსახლეობაში არსებული ტრადიციისა და თუთის პლანტაციების მასივების არსებობით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოში ერთ-ერთ დეპრესირებულ რეგიონად ითვლება. რეგიონის ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირია (ცხრილი 13). ცხრილში მოცემული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ დღეს რეგიონში 2020 საწარმო არის დარეგისტრირებული. მათი რიცხვი 2013-2020 წლების პერიოდში 67,3%-ით არის გაზრდილი, ბრუნვა - 2-ჯერ არის გაზრდილი, პროდუქციის 99%-ით გაზრდილი, დამატებული ღირებულება - 94,3%-ით, ხოლო დასაქმება - 25%-ით გაზრდილი.

ცხრილი 13

მეწარმეობის ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2020	2020 წელი %-ად 2013 წელთან
1. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა	13452	14466	15846	16969	18795	20210	22504	167,3
2. ბრუნვა (მლნ ლარი)	620,1	635,8	709,7	828,9	1054,1	1110,9	1247,8	201
3. პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	436	446,2	485,1	589,4	729,6	795,4	868	199
4. დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	231,8	233,2	226,9	286,5	383,5	400,2	449,4	194,3
5. ხარჯები (მლნ ლარი)	483,2	521,8	593,4	674,5	821,2	872,9	989	205
6. ფინანსური შედეგი (+ მოგება, - ზარალი)	144,6	105,4	46,8	123,6	228,8	227,8	221,7	154
7. დასაქმება (კაცი)	9188	7925	8636	10406	11583	12516	11466	125
8. შრომის მწარმოებლობა	47460	56298	56166	56641	62983	63549	75689	159

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

ამას გვიჩვენებს ნახაზიც (ნახაზი 15).



ნახაზი 20. ეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკა სამცხე-ჯავახეთის მეწარმეობაში
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მაჩვენებელთა ასეთი ზრდა არ არის საკმარისი. იგივე მაჩვენებლები მთლიანად საქართველოს მეწარმოებაში უფრო მაღალი ტემპით არის გაზრდილი და ამის მიუხედავად საქართველოში ჯერაც კიდევ უმუშევრობის დონეც და სიღარიბის დონეც მაღალია. ამ მდგომარეობის გამოსწორება ბიზნესის უფრო მეტ ზრდას საჭიროებს. ასეთ დროს სამცხე-ჯავახეთში საქართველოს ბიზნესის საშუალო მაჩვენებლები საქართველოს საშუალო მაჩვენებლებზე დაბალია. ცხრილი 14 გვიჩვენებს, რომ მთლიანად საქართველოში ყოველ 1 კვ. კმ ტერიტორიაზე საშუალოდ 9,8 საწარმო არის გახსნილი, სამცხე-ჯავახეთში იგი 3,5-ს შეადგენს, მთლიანად საქართველოს მეწარმეობაში მოსახლეობის 18,9%-ია დასაქმებული, სამცხე-ჯავახეთში იგი 7,3%-ია, ერთ მცხოვრებზე ანგარიშით საქართველოში პროდუქციის გამოშვება 12656 ლარია, ბრუნვა კი - 30709 ლარი, სამცხე-ჯავახეთში კი იგი, შესაბამისად, 8003,8 და 5567 ლარია.

ცხრილი 14

სამცხე-ჯავახეთის და მთლიანად საქართველოს მეწარმეობის ძირითად მაჩვენებელთა ურთიერთშედარება მოსახლეობის ერთ სულზე და ტერიტორიის ერთ ერთეულზე ანგარიშით

	საწარმოთა რაოდენობა 1 კვ. კილომეტრზე	სამეწარმეო ბრუნვა ერთ მცხოვრებზე (ლარი)	პროდუქციის გამოშვების მოცულობა ერთ მცხოვრებზე (ლარი)	მოსახლეობის დასაქმების პროცენტი მეწარმეობაში (%-ში)
მთლიანად საქართვლეოში	9,8	30709	12656	18,9
მ.შ. სამცხე-ჯავახეთში	3,5	8003,8	5567	7,3%

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

მაშასადამე, ანალიზმა გვიჩვენა, რომ სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის და ტერიტორიის მოცვა ბიზნესით საქართველოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით მეტად (3-ჯერ და მეტად) მცირეა. ეს ვითარება მოითხოვს რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის განვითარებისთვის განსაკუთრებულად ხელშემწყობი პირობების შექმნას, რომ მოცემული რეგიონი განვითარების დონით საშუალო დონის მაინც გახდეს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონს რომ განვითარების პოტენციალი აქვს, ამას გვიდასტურებს ცხრილი 15. ამ ცხრილით ირკვევა, რომ რეგიონის ტერიტორია საქართველოს მთელი ტერიტორიის 9,2%-ია, ასეთ დროს რეგიონში გახსნილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საწარმოთა მხოლოდ 2,9%, რომლებშიც დასაქმებულია ქვეყნის მეწარმოებაში დასაქმებულთა მხოლოდ 1,6%, რომელი საწარმოებიც აწარმოებენ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 1,9%-ს. მართალია, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია ძირითადად ტყით არის დაფარული, სადაც ყველანაირი ბიზნესს ვერ განავითარებს, მაგრამ ასეთ ადგილებში კარგად განვითარდება ტურიზმი, მეფუტკრეობა, საკურორტო მეურნეობა, ველური ხილ-კენკრის შეგროვება, თევზმოშენება და სხვა. სწორედ ამ აუთვისებელი პოტენციალის გამო, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უმუშევრობა, სიღარიბე და ეკონომიკური უთანასწორობა სხვა რეგიონებთან შედარებით მაღალია.

ცხრილი 15

სამცხე-ჯავახეთის მეწარმეობის მაჩვენებლის ხვედრითი წილი მთლიანად საქართველოს მეწარმოების მაჩვენებლებში 2020 წელს

	რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა	ბრუნვა, მლნ ლარი	პროდუქციისგამოშვება, მლნ ლარი	დამატებულიღირებულება, მლნ ლარი	ხარჯები, მლნ ლარი	ფინანსური შედეგი, მლნ ლარი	დასაქმება, კაცი	ტერიტორია, კვ. კმ.	მოსახლეობა, ათასი კაცი
მთლიანად საქართველოში	758478	114348	46227,3	2263	108376	3349	703874	69700	3723,5
მ.შ. სამცხე-ჯავახეთში: ➢ რაოდენობა	22504	1247,8	868	449,4	989,4	221,7	11466	6421	155,9

➢ ხვ. წილი	2,9%	1,3%	1,9%	1,9%	1,1%	3,8%	1,7%	9,2%	4,2%

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით ჩვენთვის ცნობილი გახდა აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთის მეწარმოებაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (იხ. ცხრილი 16). მან შეადგინა: 2013 წელს 519,4 ლარი, 2014 წელს - 587,5 ლარი, 2015 წელს - 573,9 ლარი, 2016 წელს - 626,6 ლარი, 2017 წელს - 664,7 ლარი, 2018 წელს 704,2 ლარი, ხოლო 2020 წელს - 963 ლარი, ანუ გაიზარდა 63%-ით. მოცემულ შემთხვევაშიც, მართალია, ზრდა არის, მაგრამ ჯერ ერთი, ის უფრო ნაკლებია, ვიდრე საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლის ზრდა (67%), და, მეორე, სამცხე-ჯავახეთის მეწარმოებაში დასაქმებულთა ხელფასის სიდიდეები მთელი 20-30%-ით ნაკლებია საქართველოს ხელფასის საშუალო სიდიდეებთან შედარებით. ეს იმაზე გვაფიქრებინებს, რომ რადგან ქვეყანაში ლიბერალური ეკონომიკაა და ქვეყნის მთავრობა არ ერევა კერძო ფირმების შიდასაფირმო საქმიანობაში, რის შედეგადაც მათ ხელფასის ქვედა ლიმიტები არა აქვთ დაწესებული, ისინი იქცევიან მხოლოდ საკუთარი მოგების გასაზრდელად. ადამიანებს კი, მასიური უმუშევრობის ფონზე, სხვა გამოსავალი არა აქვთ და თანხმდებიან მიზერულ ხელფასზე მუშაობასაც, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ამ ვითარებას აჩვენებს სტატისტიკური ინფორმაცია.

ცხრილი 16

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მეწარმეობაში დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი 2012 წელს (ლარი)

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2020	დინამიკა
საქართველოს მეწარმეობაში საშუალოდ	760,1	800,5	896,8	938,3	1019,7	1101,3	1223	167
მ.შ. სამცხე-ჯავახეთის მეწარმოებაში	591,4	587,5	573,9	626,6	664,7	704,2	963	163
სამცხე-ჯავახეთში დასაქმებულის საშუალო თვიური ხელფასის შედარება საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან (ლარი)	-168,7	-213	-322,9	-311,7	-355	-397,1	-260	-

წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია - ბიზნესსექტორი საქართველოში 2013-2020 წ.წ.

განსხვავებაა მთლიან შიდა პროდუქტის სულადობრივ მოცულობაშიც. 2020 წელს ეს მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შეადგენდა 2851,2 აშშ დოლარს, საქართველოში კი - 4271 აშშ დოლარს, ანუ იგი რეგიონის მაჩვენებელს აღემატებოდა მთელი 49%-ით. მეტად მცირეა მთელ მოსახლეობაზე გამოთვლილი სულადობრივი

საშუალოთვიური შემოსავლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (იხ. ცხრილი 17). აღმოჩნდა, რომ იგი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის ფარგლებში მერყეობს. ამასთან, ამ შემოსავლის 36% არის ხელფასის სახით მიღებული, 24,1% ნასესხი ფულია, 10,3% - სოფლის მეურნეობის გაყიდვიდან მიღებულია, 23% - პენსია-დახმარებებით მიღებულია და ა. შ. (იხ. ნახაზი 16). 2014-2019 წლებში რეგიონში სულადობრივი შემოსავალი 250,4 ლარიდან - 265,4 ლარამდე, ანუ 6%-ით გაიზარდა. შემოსავლის წყაროებს შორის ყველაზე მეტად გაზრდილია ნასესხი სახსრები. მისმა ზრდამ 44% შეადგინა (37,1 ლარიდან გაიზარდა 55,3 ლარამდე), ზრდის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა ხელფასი (ზრდამ 41,1% შეადგინა).

ცხრილი 17

მოსახლობის საშუალო თვიური შემოსავლების სტრუქტურა
სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, გაანგარიშებული ერთ სულზე (ლარი)

	2014	2015	2016	2020	2020 წლის შემოსავლების სტრუქტურა
1. შემოსავლები, სულ (2-3)	210,4	220,5	210,0	228,4	80%
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	178,4	185,0	177,9	198,9	69,4%
დაქირავებული შრომიდან	58,0	60,7	63,2	81,8	36%
თვითდასაქმებიდან	8,5	17,4	12,9	14,9	5,2%
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	36,0	33,9	28,5	23,6	10,3%
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	1,6	1,0	1,7	1,6	-
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	44,5	42,3	49,9	52,0	23%
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	9,2	9,8	7,0	9,4	3,3%
საჩუქრად მიღებული ფული	20,5	20,0	14,7	15,6	5,7%
3. არაფულადი შემოსავლები	32,0	35,4	32,1	29,4	10,3%
4. სხვა ფულადი სახსრები	40,2	44,6	37,1	57,1	20%
ქონების გაყიდვა	3,2	0,7	1,0	1,8	-
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	37,1	43,9	36,1	55,3	24,1%
5. ფულადი სახსრები, სულ (2-4)	218,6	229,6	215,0	256,0	19,8%
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3-5)	250,6	265,1	247,1	285,4	100%

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით



ნახაზი 21. სულადობრივი თვიური შემოსავლის სტრუქტურა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ სულადობრივი შემოსავლის სიდიდეები სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოში (იხ. ცხრილი 18) და აღმოჩნდა, რომ რეგიონის სულადობრივი შემოსავალი საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 50,7 ლარით, ანუ 10% არის ნაკლები.

ცხრილი 18

მოსახლეობის თვიური სულადობრივი შემოსავლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და საშუალოდ საქართველოში 2020 წელს

	საქართველოში საშუალოდ	სამცხე-ჯავახეთის რეგიონში	სხვაობა (+, -)
1. შემოსავლები - სულ (2+3)	304	228,4	-75,6
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები - სულ აქედან:	283	198,9	-89,1
➢ დაქირავებული შრომიდან	138,3	81,8	-56,5
➢ თვითდასაქმებიდან	32	14,9	-17,2
➢ სოფლის პროდუქციის გაყიდვიდან	17,2	23,6	+6,2
➢ ქონების გაქირავებიდან	3,5	1,6	-1,5
➢ პენსია, სტიპენდია, დახმარებები	54	52,0	-2
➢ უცხოეთიდან გზავნილები	13,4	9,4	-4
➢ საჩუქრად მიღებული ფული	25	15,6	-9,4
3. არაფულადი შემოსავალი	20,1	29,4	+9,3
4. სხვა ფულადი შემოსავალი, აქედან:	32	57,1	+25,1
➢ ქონების გაყიდვა	2,1	1,8	-0,3
➢ ფულის სესხება	30	55,3	+20,3
4. ფულადი სახსრები - სულ (2+4)	316	256	-60
5. ფულადი და არაფულადი სახსრები - სულ (3+5)	336,1	285,4	-50,7

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

ეს ვითარება გვიჩვენებს იმას, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობაზე უფრო ღარიბათ ცხოვრობს. სამცხე-ჯავახეთს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და მან უნდა შეძლოს, რომ ამაღლდეს რეგიონის მოსახლეობაში სასოფლო პროდუქტების გაყიდვით მიღებული. შემოსავალი. ამის გარდა, რეგიონში არის ტურიზმის განვითარების დიდი შესაძლებლობები და კარგი იქნება, თუ ოჯახები შეძლებენ ტურისტებზე საცხოვრებლად ბინების გაქირავებას, ანუ მათ უნდა მოაწყონ საოჯახო სასტუმროები. ამას კი სათანადო ბიზნეს-პირობების შექმნა სჭირდება, რაც ჯერ-ჯერობით რეგიონს არა აქვს.

ბიზნესის წარმოსაწყებად და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობას დანაზოგი ფაქტიურად არა აქვს. მთელი

თავისი შემოსავალი, რომელიც ისედაც მიზერულია, მას სამომხმარებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლადაც კი არ ყოფნის. ცხრილში 19 წარმოდგენილი გვაქვს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის თვიური სულადობრივი ხარჯები. ცხრილიდან ჩანს, რომ ეს მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება თვიური შემოსავლებიდან (ზოგიერთ შემთხვევაში ხარჯები შემოსავლებს აღემატება კიდევაც). ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას რაიმე ბიზნესის წამოსაწყებად სახსრებს დაგროვება არანაირად არ შეუძლია.

ცხრილი 19

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება და დინამიკა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გაანგარიშებული ერთ სულზე (ლარი)

	2014	2015	2016	2019	დინამიკა
1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2-3)	177,3	198,2	179,9	202,9	114,6
2. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	145,3	162,8	147,8	173,5	119,3
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	61,2	67,6	65,6	74,0	121,3
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	6,0	7,1	6,0	7,7	128,3
საოჯახო მოხმარების საქონელზე	6,7	7,7	6,7	9,0	128,5
ჯანმრთელობის დაცვაზე	17,1	22,3	19,9	23,0	176,1
საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე	15,7	17,8	18,2	23,1	143,7
ტრანსპორტზე	14,4	18,6	13,9	16,4	113,9
განათლებაზე	1,6	1,6	1,9	2,1	131,2
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	22,7	20,1	15,5	18,3	80,6
3. არაფულადი ხარჯები	32,0	35,4	32,1	29,4	90,6
4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	74,7	79,2	59,4	76,7	102,3
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	7,6	9,6	9,5	11,1	146,7
ტრანსფერტებზე	9,7	10,9	11,8	12,3	126,8
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	43,9	45,6	32,7	41,3	94
ქონების შეძენაზე	13,5	13,1	5,4	11,9	88,8
5. ფულადი ხარჯები, სულ (2+4)	220,0	242,0	207,2	250,2	113,8
6. ხარჯები, სულ (3+5)	252,0	277,5	239,3	279,6	110,9

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში ჩაწერილია, რომ თითქოს სოციალურად დაუცველთა ანუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების ყველაზე ნაკლები წილი მოდის ქ. თბილისზე და სამცხე-ჯავახეთზე [საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2014: 30]. იქვე ვკითხულობთ, რომ „ქ. თბილისში საარსებო შემწეობის შედარებით ნაკლები ბენეფიციარის არსებობა დასაქმების დონის ზრდის ტენდენციას შეესაბამება, თუმცა, სამცხე-ჯავახეთზე იმავეს ვერ ვიტყვით“. მაშასადამე, საქართველოს მთავრობამ ვერ გაარკვია თუ რატომ არის სამცხე-ჯავახეთში სოციალურად დაუცველთა დაბალი ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში (მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით ამ რეგიონში დაახ-

ლოებით 10-11% ფიქსირდება), მაშინ როდესაც აქ დასაქმების ზრდას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ სამცხე-ჯავახეთში ძირითადად სოფლის ტიპის დასახლებებია და თანაც მეტად გაფანტული ერთმანეთისგან, ანუ ურბანული დასახლებები მცირეა. ასეთ მოსახლეობას ნაკლებად აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო სოციალური დახმარებათა პაკეტებზე, რაც იწვევს ამ მიმართულებით მათი რეგისტრაციის ნაკლებობას და შესაბამისად, შემწეობათა მოთხოვნის სიმცირეს.

საქართველო სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შინამეურნეობების საშუალოთვიური შემოსავლები დაახლოებით ასე ნაწილდება: 500 ლარამდე - 55,8%; 500-დან 1000 ლარამდე - 27,1%; 1000-დან 1500 ლარამდე - 9,4%; 1500 ლარზე მეტი- 7,7% [www.geostat.ge].

ამ მონაცემებზე დაყრდნობით და ჯინის კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულის $\left(k = \sum P_1 q_{i+1} - \sum P_{i+1} q_i\right)$ [გაბიძაშვილი, 2007: 748] გამოყენებით, ჩვენ ვიანგარიშეთ რეგიონში შემოსავლების უთანასწორობის კოეფიციენტი და მივიღეთ 0,40. ეს გაანგარიშება მოცემული გვაქვს ცხრილში 20.

დასახელებული ცხრილიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2019 წელს ეკონომიკური უთანასწორობის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით 0,40-ია, ანუ თითქმის იმდენივე, რაც საშუალოდ საქართველოში (მთლიანი შემოსავლების მიხედვით 2019 წელს - 0,39, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით - 0,37), მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით - 0,42, მთლიანი სახსრების მიხედვით - 0,40, მთლიანი ხარჯების მიხედვით - 0,42) [„საქსტატის“ წელიწდეული, 2019: 59].

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთელ სამცხე-ჯავახეთში, ყველგან, ეკონომიკური უთანასწორობა ამ სიდიდისაა. რეგიონის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში იგი უფრო მაღალია. ამას ვადასტურებთ იმ კვლევით, რომელიც ჩავატარეთ ადიგენის მოსახლეობაში, და, რომლის შედეგები წარმოდგენილი გვაქვს ნაშრომის ამ თავის მე-4 ქვეთავში.

ცხრილი 20

ჯინის კოეფიციენტის გაანგარიშება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

თვიური შემოსავალი	შინამეურნეობათა რაოდენობის ხვედრითი წონა (%)	შინამეურნეობათა ხვ. წილი (%)	საშუალო შემოსა-ვალი	მთლიანი შემოსა-ვალი	შინამეურნეობათა ხვ. წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვ. წონები კოეფიციენტებში	ხვ. წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით (P_i)	შემოსავლების მიხედვით (q_i)
500 ლარამდე	55,8	55,8	250	$55.8 \cdot 250 = = 13950$	0,558	13950:61425=0,23	0,558	0,23
500-დან 1000 ლარამდე	27,1	27,1	750	$27.9 \cdot 750 = = 20325$	0,271	20325:61425=0,33	0,558+0,271= =0,829	0,93+0,33=0,56
1000-დან 1500 ლარამდე	9,4	9,4	1250	$9.4 \cdot 1250 = = 11750$	0,094	11750:61425=0,19	0,829+0,094= =0,923	0,56+0,19=0,75
1500 ლარზე მეტი	7,7	7,7	2000	$7.7 \cdot 2000 = = 15700$	0,077	15700:61425=0,25	0,923+0,077= =1,0	0,75+0,25=1,0
	100	100	-	61425	1,0	1,0	-	-
$k = [(0.558 \cdot 0.56) + (0.829 \cdot 0.75) + (0.923 \cdot 1.0)] - [(0.829 \cdot 0.23) + (0.923 \cdot 0.56) + (1.0 \cdot 0.75)] = 1.857 - 1.458 = 0.399 \approx 0.40$								

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

II.4. ეკონომიკური უთანასწორობის გამოკვლევა სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში

არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მსოფლიოს მეცნიერ-ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებს, რომ მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების მაღალი დონის უთანასწორობა სერიოზულ საფრთხეს შეიცავს და მან სოციალური აფეთქებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ საჭიროა ყველა ქვეყნის მეცნიერებს შექმნილ უთანასწორობის „პულსზე ედოთ ხელი“ და მისი ცვლილების ტრენდს გამუდმებით ამოწმებდნენ. თუ ჯინის კოეფიციენტმა ზრდა დაიწყო, მაშინ განგაშია ასატეხი, ხოლო თუ კლება, მაშინ - სიმშვიდე შეიძლება.

განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს ქვეყნის ღარიბი, დეპრესირებული რეგიონები. საქართველოში. ასეთთა რიცხვშია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, რომელშიც 6 მუნიციპალიტეტი (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ახალქალაქი და ნინოწმინდა) შედის. გამოკვლევა დავიწყეთ ახალციხით. ჩვენ სწორედ ახალციხეში შევადგინეთ 100 კაციანი სამიზნე ჯგუფი და მათი ეკონომიკური უთანასწორობის დასადგენად ჩავატარეთ მათი გამოკითხვა. სამიზნე ჯგუფი ასეთი შემადგენლობის იყო: 18 წლიდან - 46 წლამდე - 25 ადამიანი; 46 წლიდან - 60 წლამდე - 35 ადამიანი; 61 წლიდან - 75 წლამდე - 20 ადამიანი; 75 წლის ზევით - 20 ადამიანი.

კვლევაში ჩართული რესპოდენტები სხვადასხვა ეროვნების (ძირითადად, ქართველები და სომხები) და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ.

კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი ჩვენს მიერ შემუშავდა კვლევის მიზნიდან გამომდინარე. გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის სქემა ასეთია:

პირველი ეტაპი - კვლევის ინსტრუმენტის შერჩევა. უპირატესობა მივეცით ინტერვიუს და ღრმა ინტერვიუს.

მეორე ეტაპი - შევადგინეთ კითხვარი (20 შეკითხვა).

მესამე ეტაპი - შევკარით სამიზნე ჯგუფი.

მეოთხე ეტაპი - გამოვკითხეთ სამიზნე ჯგუფის მონაწილენი.

მეხუთე ეტაპი - რესპოდენტთა პასუხები დავამუშავეთ კომპიუტერულად.

მეექვსე ეტაპი - გავაანალიზეთ შედეგები და გავაფორმეთ ტექსტი.

გამოკვლევა ჩავატარეთ ორი ტესტით: 1. უმუშევრობის, სიღარიბის და ეკონომიკური უთანასწორობის გამოსაკვლევი ტესტი. 2. მოსახლეობის მიგრაციული განწყობის გამოსაკვლევი ტესტი.

შეკითხვებზე გაცემული პასუხები, რომლებიც პროცენტულად არის გამოხატული (გამოკითხულთა საერთო ჯამის მიმართ) ქვემოთ წარმოდგენილი გვაქვს დანართში #1.

ჩვენს მიერ დასმული ყველა კითხვის მიზანი იყო, გაგვერკვია, რას საქმიანობენ რესპოდენტები, რა შემოსავლები აქვთ, როგორია შემოსავლების უთანასწორობა მათ შემოსავლებში და აპირებენ თუ არა ბიზნესში დასაქმებით გამოასწორონ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა.

აღმოჩნდა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამოკითხული რესპოდენტებიდან მხოლოდ 26% მუშაობს. მომუშავეთაგან 67% პროფესიით არ მუშაობს. 300 ლარამდე ხელფასი აქვს 57%-ს, 500-მდე - 20%-ს, 1000 ლარამდე 15%-ს, 1000-ზე მეტი - 8%-ს. 55% - ღარიბად, 26% - საშუალოდ, 12% - შეძლებულად, 7% - მდიდრად. 67%-ს არ ყოფნის შემოსავალი პირველადი მოთხოვნების პროდუქტების შესაძენად, 20%-ს ყოფნის, ხოლო 13%-ს შეუძლია სხვა საქონლის შეძენაც. კარგი განათლების მიღება არ შეუძლია გამოკითხულთა 83%-ს. ასევე, 78%-ს არ ყოფნის შემოსავალი კარგ მედიკოსებთან სამკურნალოდ. ბანკებში დანაზოგი არა აქვთ გამოკითხულთა 83%-ს. გამოკითხულთა 77% შვებულებას ატარებს სახლში. ბიზნესი არა აქვს და არც აპირებს ჰქონდეს 61%-ს, 36% აქვს მცირე ბიზნესი, გამოკითხულთა 3%-ს კი აქვს დიდი ბიზნესი.

რესპოდენტთა შემოსავლების სიდიდეებმა (300 ლარამდე, 500 ლარამდე, 1000 ლარამდე, 1000 ლარის ზევით) მოგვცა საშუალება ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯინის კოეფიციენტის საგნარიშოთ. ჩვენს მიერ გაანგარიშებული ეს საწყისი მაჩვენებლები მოცემული გვაქვს ცხრილში 21. ამ ცხრილში გამოთვლილი საწყისი მონაცემები გვჭირდება ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოდ. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, იგი იანგარიშება ფორმულით:

$$k = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i+1} q_1$$

ჩვენი გამოთვლის მიხედვით, რომელიც 21-ე ცხრილში გვაქვს მოცემული, მივიღეთ შემდეგი:

ცხრილი 21

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის შემოსავლების ინფორმაცია ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოდ

შემოსავალი თვეში	რესპოდენტთა რაოდენობა, კაცი	რესპოდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო შემოსავალი, ლარი	გამოკითხულთა საერთო შემოსავალი	რესპოდენტთა ხვედრითი წონები კოეფი-ციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით, P_1	შემოსავლების მიხედვით, q_1
100-დან 300 ლარამდე	57	57	200	$57 \cdot 200 = 14400$	0,57	14400:57650=0,25	0,57	0,25
301 ლარიდან 500 ლარამდე	20	20	400	$20 \cdot 400 = 8000$	0,20	8000:57650=0,14	0,57+0,20=0,87	0,25+0,14=0,39
201 ლარიდან 1000 ლარამდე	15	15	750	$15 \cdot 750 = 11250$	0,15	11250:57650=0,19	0,87+0,15=0,92	0,39+0,19=0,58
1000 ლარზე მეტი	8	8	3000	$8 \cdot 3000 = 24000$	0,08	24000:57650=0,42	0,92+0,08=1,0	0,58+0,42=1,0
სულ	100	100,00	-	57650	1,0	1,0	-	-

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

$P_i = 0.57$ $\qquad$ $q_1 = 0.25$

$P_2 = 0.87$ $\qquad$ $q_2 = 0.39$

$P_3 = 0.92$ $\qquad$ $q_3 = 0.58$

$P_4 = 1.0$ $\qquad$ $q_4 = 1.0$

ამ სიდიდეების ფორმულაში ჩასმით მივიღებთ ჯინის კოეფიციენტს:

$$k = \left[\sum P_i q_{ij} - \sum P_{ij} q_i = \left[(0.57 \cdot 0.39) + (0.87 \cdot 0.58) + (0.92 \cdot 1.0)\right] - \right.$$
$$\left. - \left[(0.87 \cdot 0.25) + (0.92 \cdot 0.39) + (1.0 \cdot 0.58)\right] = 1.64 - 1.23 = 0.41\right.$$

მაშასადამე, ახალციხის მოსახლეობიდან ამორჩეულ სამიზნე ჯგუფის შემოსავლების განაწილების უთანასწორობის კოეფიციენტი არის 0,41, ანუ მთლიანი შემოსავლების მიხედვით გამოანგარიშებულ საქართველოს ჯინის კოეფიციენტზე 0,02%-ით მეტი.

იმისათვის, რომ გაგვეგო თუ რას გეგმავს ახალციხის მოსახლეობა თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დავსვით ორი კითხვა:

1. აქვთ თუ არა ბიზნესი, ანდა აპირებენ თუ არა მის დაწყებას.
2. ხომ არ ფიქრობენ ემიგრაციაში წასვლას სამუშაოს საძებნელად.

პირველ კითხვაზე გამოკითხულთა 61%-მა გვიპასუხა, რომ არა აქვს ბიზნესი და არც აპირებენ მის დაწყებას, რადგან საამისოდ არც ცოდნა და გამოცდილება აქვთ და არც ფული. რაც შეეხება ახალციხის მოსახლეობის ემიგრაციულ განწყობას, ის ჩვენ 25 კითხვიანი ანკეტით შევისწავლეთ და მივიღეთ დანართ #2-ში წარმოდგენილი შედეგები (იხ. დანართი #2).

დანართი 2-ის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ რეგიონის მოსახლეობის განწყობა ემიგრაციაში წასასვლელად ძალიან მაღალია. მაგალითად, ახალციხის რესპოდენტთა 77% ეხლავე მზადაა წასასვლელად, 15% ჯერ-ჯერობით არ მიდის და მხოლოდ 8% არასოდეს არ წავა საზღვარგარეთ (იხ. ნახაზი 17). გამოკითხულთა 54% საზღვარგარეთ წასვლის მიზეზად იქ მყოფ ნათესავებს ასახელებს, 35% სიღარიბეს და უმუშევრობას და მხოლოდ 7% განათლების მიღებას. ემიგრაციაში წასვლის არალეგალური ფორმა მისაღებად მიაჩნია ახალციხიდან გამოკითხულთა მთელ რაოდენობას. რესპოდენტთა 86% არ იცის უცხო ენა, მაგრამ ეს მნიშვნელოვან ბარიერად არ მიაჩნიათ - „ჩავალ და იქ ვისწავლი“ აცხადებენ ისინი. რესპოდენტთა 94%-თვის მთავარია იშოვოს სამუშაო

და მისთვის სულერთია რა სამუშაო იქნება. მხოლოდ 6%-მა გამოაცხადა, რომ იმუშავებს მხოლოდ პროფესიის მიხედვით, თუ არა და უკან დაბრუნდება.



ნახაზი 22. ახალციხის რესპოდენტთა ემიგრაციული მზადყოფნა
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

კითხვაზე - თუ რა სიდიდის ხელფასი უნდა ჰქონდეთ საქართველოში, რომ აქ დარჩნენ და აღარ წავიდნენ საზღვარგარეთ, 90%-მა თვეში 2-3 ათასი ლარი დაასახელა. ასეთი ხელფასები საქართველოში მხოლოდ საჯარო სექტორშია (ისიც მაღალ თანამდებობებზე). ასე რომ, ქ. ახალციხის მოსახლეობის 90%-სთვის საქართველოში, ასეთი ხელფასები ჯერ-ჯერობით და ალბათ, დიდხანს ვერ იქნება. იქამდის კი, ახალციხეც და მთელი რეგიონიც დაიცლება მოსახლეობისგან.

ასეთივე კვლევები ჩავატარეთ ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში (დანართი 1, 2). შედეგები თითქმის ერთნაირია.

ადიგენში გამოიკითხა 60 კაცი. მათგან, მხოლოდ 15% მუშაობს. 300 ლარამდე ხელფასი აქვთ დასაქმებულთა - 80%-ს, 500 ლარამდე კი - 6%-ს, 1000 ლარამდეც - 6% და 1000 ლარზე მეტი - 8%-ს. გამოკითხულთა 90% თავს თვლის ღარიბად, 1% - ღატაკად, 9% - საშუალოდ. 70%-ს არ ყოფნის შემოსავალი პირველი მოხმარების საქონლის შესაძენად, 30% კი ყოფნის, მაგრამ მათ შორის მხოლოდ 15% ყიდულობს ხანგრძლივი მოხმარების საგნებს. დაბალი შემოსავლის გამო კარგი განათლების, ასევე, კარგი სამედიცინო დახმარების მიღება არ შეუძლია გამოკითხულთა 90%-ს. 80%-ს არა აქვს საერთოდ ბიზნესი, 18% აქვს მცირე ბიზნესი, 2% კი, დიდ ბიზნესში არის დაქირავებული.

ასპინძაში გამოიკითხა 50 კაცი. მათგან 14% ანუ 7 კაცი მუშაობს, მაგრამ არა პროფესიის შესაბამისად, 300 ლარზე ნაკლები ხელფასი აქვს 82%-ს, 500 ლარამდე - 5%, 1000 ლარამდე - 6%-ს და 1000 ლარზე მეტი - 7%-ს, ღარიბად თავს თვლის - 80%, შეძლებულად - 10%, 80%-ს შემოსავალი არ ყოფნის აუცილებელი მოხმარების საქონლის შესაძენადაც კი და ა. შ.

უკეთესი მდგომარეობა არც **ბორჯომშია**: გამოკითხულ 90 კაციდან მუშაობს მხოლოდ 24%, 44% თვლის, რომ საბჭოთა პერიოდში უფრო უკეთ ცხოვრობდა, 300 ლარამდე შემოსავალი აქვს 18%-ს, 500 ლარამდე 22%-ს, 1000 ლარამდე - 33%-ს, 1000 ლარზე მეტი - 27%-ს. 33% თვლის, რომ სიღარიბე სახელმწიფომ უნდა შეამციროს, 45% ღარიბად (და არა ღატაკად) თვლის თავს, 24% - საშუალოდ, 22% შეძლებულად და 9% მდიდრად, 40%-ს არ ყოფნის შემოსავალი ოჯახის სარჩენად და ა. შ.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 90 კაცი. აქედან სტუდენტი იყო - 14 ახალგაზრდა, დასაქმებული - 20, პენსიონერი - 17, ხოლო უმუშევარი - 39. პროცენ-ტულად უმუშევართა რიცხვმა შეადგინა გამოკითხულთა 43%. დასაქმებულთა 20%-ს აქვს 300 ლარი ხელფასი, 38%-ს - 500, 25%-ს - 1000 და 17%-ს 1000 ლარზე მეტი, ღარიბად თვლის თავს - 58%, მდიდრად - 10%, 45%-ს არ ყოფნის შემოსავალი ოჯახის შესანახად და ა. შ.

ნინოწმინდაში გამოიკითხა 50 კაცი. გამოკითხულთაგან დასაქმებულია მხოლოდ 6 ადამიანი, ანუ 12%, უმუშევარია - 44%, დანარჩენი სტუდენტები და პენსიონერები არიან. გამოკითხულთა 96% თვლის, რომ საბჭოთა პერიოდში უკეთესად ცხოვრობდა, ღარიბად თავს თვლის - 75%, ღატაკად - 10%, საშუალო დონეზე - 15%, შემოსავალი ყოფნის მხოლოდ გამოკითხულთა 25%-ს და ა. შ.

დანართი 2-დან ირკვევა, რომ ემიგრაციაში წასვლას აპირებს ადიგენის და ასპინძის გამოკითხული მოსახლეობის - 90-100%, ბორჯომიდან მოსახლეობის - 32%, ხოლო ახალქალაქის და ნინოწმინდის მოსახლეობიდან მხოლოდ - 10-12% (ამ ორ მუნიციპალიტეტში ძირითადად, არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობს. ისინი ხანგრძ-ლივი ვადით ნაკლებად გადიან საქართველოდან სხვა ქვეყნებში). ემიგრაციაში წასვლის ძირითად მიზეზად ისინი სიღარიბეს და უმუშევრობას ასახელებენ. ადიგენში ეს მიზეზი დაასახელა გამოკითხულთა 98%-მა, ასპინძაში - 100%-მა, ბორჯომში - 92%-მა,

ახალქალაქის და ნინოწმინდის რესპოდენტებმა კი, ქვეყნიდან წასვლის მიზეზად ნათესავების საზღვარგარეთ ყოფნის მიზეზი დაასახელეს.

გამოკითხული რესპოდენტებიდან მიღებულმა ინფორმაციამ მოგვცა საშუალება გვეანგარიშა ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბრო განაწილების ინდექსი (ჯინის კოეფიციენტი). მის საანგარისოდ საწყისი საჭირო ინფორმაცია წარმოდგენილი გვაქვს 22, 23, 24, 25, 26 ცხრილებში. იქვე გვაქვს გამოანგარიშებული ჯინის კოეფიციენტები, რომლებმაც შეადგინა: ადიგენში - 0,52, ასპინძაში - 0,52, ბორჯომში - 0,47, ახალქალაქში - 0,50, ნინოწმინდაში - 0,56.

საშუალოდ, რეგიონის ჯინის კოეფიციენტი შეადგენს:

$$\frac{0.41+0.52+0.52+0.47+0.50+0.56}{6}=0.49 \text{ -ს.}$$

მაშასადამე, ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის საშუალო კოეფიციენტი შეადგენს 0,49-ს და არა 0,40-ს, როგორც ამას ამ რეგიონისთვის „საქსტატი“ აჩვენებს. ეს არის უთანასწორობის კრიტიკულ დონეზე უფრო მაღალი დონე, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს ქმედით ღონისძიებების გატარებას.

ცხრილი 22

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის შემოსავლების ინფორმაცია ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოთ

შემოსავალი თვეში	რესპოდენტთა რაოდენობა	რესპოდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო ხელფასი, ლარი	გამოკითხულთა საერთო შემოსავალი, ლარი	რესპოდენტთა ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით (P_1)	შემოსავლების მიხედვით (q_1)
100-დან 300 ლარამდე	47	80	200	47 · 200 = 9400	0,80	$\frac{9400}{24000} = 0.39$	0,80	0,39
300 ლარიდან 500 ლარამდე	4	6	400	4 · 400 = 1600	0,06	$\frac{1600}{24000} = 0.07$	0,80+0,06=0,86	0,39+0,07=0,46
501 ლარიდან 1000 ლარამდე	4	6	750	4 · 750 = 3000	0,06	$\frac{3000}{24000} = 0.12$	0,86+0,06=0,92	0,46+0,12=0,58
1000 ლარზე მეტი	5	8	2000	5 · 2000 = 10 000	0,08	$\frac{10000}{24000} = 0.42$	0,92+0,08=1,0	0,58+0,42=1,0
სულ	60	100,0	-	24000	1,0	1,0	-	-
ჯინის კოეფიციენტი	$K^{\backslash} = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i=1} q_1 = [(0.80 \cdot 0.46) + (0.86 \cdot 0.58) + (0.92 \cdot 1.0)] - [(0.86 \cdot 0.39) + (0.92 \cdot 0.46) + (1.0 \cdot 0.58)] = 1.89 - 1.33 = 0.52$							

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ცხრილი 23

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის შემოსავლების ინფორმაცია ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოთ

შემოსავალი თვეში	რესპოდენტთა რაოდენობა	რესპოდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო ხელფასი, ლარი	გამოკითხულთა საერთო შემოსავალი, ლარი	რესპოდენტთა ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით (P_1)	შემოსავლების მიხედვით (q_1)
100-დან 300 ლარამდე	41	82	200	41 · 200 = 8200	0,82	$\frac{8200}{19250} = 0.43$	0,82	0,43
300 ლარიდან 500 ლარამდე	2	5	400	2 · 400 = 800	0,05	$\frac{800}{19250} = 0.04$	0,82+0,05=0,87	0,43+0,04=0,47
501 ლარიდან 1000 ლარამდე	3	6	750	3 · 750 = 2250	0,06	$\frac{2250}{19250} = 0.12$	0,87+0,06=0,93	0,47+0,12=0,59
1000 ლარზე მეტი	4	7	2000	4 · 2000 = 8000	0,07	$\frac{8000}{19250} = 0.41$	0,93+0,07=1,0	0,59+0,41=1,0
სულ	50	100	-	19250	1,0	1,0		
ჯინის კოეფიციენტი	$K = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i=1} q_1 = [(0.82 \cdot 0.47) + (0.87 \cdot 0.59) + (0.93 \cdot 1.0)] - [(0.87 \cdot 0.43) + (0.93 \cdot 0.47) + (1.0 \cdot 0.59)] = 1.92 - 1.4 = 0.52$							

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ცხრილი 24

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის შემოსავლების ინფორმაცია ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოთ

შემოსავალი თვეში	რესპოდენტთა რაოდენობა	რესპოდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო ხელფასი, ლარი	გამოკითხულთა საერთო შემოსავალი, ლარი	რესპოდენტთა ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით (P_1)	შემოსავლების მიხედვით (q_1)
100-დან 300 ლარამდე	17	18	200	17 · 200 = 1400	0,18	1400:100900=0,02	0,18	0,02
300 ლარიდან 500 ლარამდე	20	22	400	20 · 400 = 8000	0,22	8000:100900=0,08	0,18+0,22=0,4	0,02+0,08=0,1
501 ლარიდან 1000 ლარამდე	30	33	750	30 · 750 = 22500	0,33	22500:100900=0,22	0,4+0,39=0,73	0,1+0,22=0,32
1000 ლარზე მეტი	23	27	3000	23 · 3000 = 69000	0,27	69000:100900=0,68	0,73+0,27=1,0	0,32+0,68=1,0
სულ	90	100,0	-	100900	1,0	1,0	-	-
ჯინის კოეფიციენტი	$K = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i=1} q_1 = [(0.18 \cdot 0.1) + (0.4 \cdot 0.32) + (0.73 \cdot 1.0)] - [(0.4 \cdot 0.02) + (0.73 \cdot 0.1) + (1.0 \cdot 0.32)] = 0.876 - 0.401 = 0.475 \approx 0.47$							

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ცხრილი 25

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის შემოსავლების ინფორმაცია ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოთ

შემოსავალი თვეში	რესპოდენტთა რაოდენობა	რესპოდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო ხელფასი, ლარი	გამოკითხულთა საერთო შემოსავალი, ლარი	რესპოდენტთა ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით (P_1)	შემოსავლების მიხედვით (q_1)
100-დან 300 ლარამდე	18	20	200	18 · 200 = 3600	0,20	$\frac{3600}{79100} = 0.04$	0,20	0,04
300 ლარიდან 500 ლარამდე	35	38	400	0,5 · 400 = 14000	0,38	$\frac{14000}{79100} = 0.18$	0,20+0,38=0,58	0,04+0,18=0,22
501 ლარიდან 1000 ლარამდე	22	25	750	22 · 750 = 16500	0,25	$\frac{16500}{79100} = 0.21$	0,58+0,25=0,83	0,22+0,21=0,43
1000 ლარზე მეტი	15	17	3000	15 · 3000 = 45000	0,17	$\frac{45000}{79100} = 0.57$	0,83+0,17=1,0	0,43+0,57=1,0
სულ	90	100	-	79100	1,0	1,0	-	-
ჯინის კოეფიციენტი	$K = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i=1} q_1 = [(0.20 \cdot 0.22) + (0.58 \cdot 0.43) + (0.83 \cdot 1.0)] - [(0.58 \cdot 0.04) + (0.83 \cdot 0.22) + (1.0 \cdot 0.43)] = 1.13 - 0.63 = 0.50$							

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ცხრილი 26

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის შემოსავლების ინფორმაცია ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოთ

შემოსავალი თვეში	რესპოდენტთა რაოდენობა	რესპოდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო ხელფასი, ლარი	გამოკითხულთა საერთო შემოსავალი, ლარი	რესპოდენტთა ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით (P_1)	შემოსავლების მიხედვით (q_1)
100-დან 300 ლარამდე	39	78	200	39 · 200 = 7800	0,78	$\frac{7800}{16450} = 0.47$	0,78	0,47
300 ლარიდან 500 ლარამდე	6	12	400	6 · 400 = 2400	0,12	$\frac{2400}{16450} = 0.14$	0,78+0,12=0,90	0,47+0,14=0,61
501 ლარიდან 1000 ლარამდე	3	6	750	3 · 750 = 2250	0,06	$\frac{2250}{16450} = 0.13$	0,90+0,06=0,96	0,61+0,13=0,74
1000 ლარზე მეტი	2	4	2000	2 · 2000 = 4000	0,04	$\frac{4000}{16450} = 0.26$	0,96+0,04=1,0	0,74+0,26=1,0
სულ	50	100,0	-	16450	1,0	1,0	-	-
ჯინის კოეფიციენტი	$K = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i=1} q_1 = [(0.78 \cdot 0.61) + (0.90 \cdot 0.74) + (0.96 \cdot 1.0)] - [(0.90 \cdot 0.47) + (0.96 \cdot 0.61) + (1.0 \cdot 0.74)] = 2.31 - 1.74 = 0.56$							

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

თავი III. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების გზები

III.1. ღარიბების ჩართვა ბიზნესში, ანუ ინკლუზიური ბიზნესის განვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

მთელ მსოფლიოში აღიარებულია, რომ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა და შემოსავლების განაწილებაში კატასტროფული უთანასწორობის დაძლევა, მოსახლეობის სრული დასაქმებით უნდა მოხდეს. ეკონომიკის ის სექტორი, რომელსაც მასიურად შეუძლია მოსახლეობის სრული დასაქმება, არის მცირე ბიზნესის სექტორი. მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესში დასაქმებულია: იტალიაში დასაქმებულთა - 73%, დიდ ბრიტანეთში - 49%, გერმანიაში - 46%, იაპონიაში - 78,8% [ოთინაშვილი, 2017: 107]. ასეთ დროს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საერთოდ ბიზნესში დასაქმებულია - 14006 კაცი, აქედან მცირე ბიზნესში მისი 73%, ანუ 10220 კაცი.[1] ასე რომ, მცირე ბიზნესში დასაქმებულთა ხვედრითი წონა მაღალია, მაგრამ მთლიანად ბიზნესშიც და მცირე ბიზნესშიც დასაქმებულთა რაოდენობა მეტად მცირეა. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს რეგიონის მოსახლეობის რიცხვი და მათ შორის შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი. პირველი შეადგენს 155.9 ათას კაცს, მეორე 89,4 ათას კაცს. სამცხე-ჯავახეთის მცირე ბიზნესში დასაქმებულები შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 11,4%-ია $\left(\frac{10220}{89400}\cdot 100 = 11.4\%\right)$. ამის მიზეზი არის ღარიბი მოსახლეობის ფინანსური სიდუხჭირე, ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა და კიდევ, ალბათ, მთავარი - მათი დაბალი მეწარმული განათლება (ე. წ. ბიზნესგანათლება).

გარდაქმნის დაწყებამდე საქართველოს მოსახლეობამ და მათ შორის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ, არ იცოდა რა იყო ბიზნესი. ამდენად, მათ მისი ორგანიზების განათლება არ ჰქონდათ. გადაქმნის შემდეგ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას დაემთხვა (1991 წელი), სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში (უმაღლესი სასწავლებლები, კოლეჯები, სხვადასხვა

[1] *ბიზნესსექტორი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2020, გვ. 109-110.*

კურსები) დაიწყო ბიზნესის სწავლება, მაგრამ იმ ქაოსში და პოლიტიკური არასტაბილურობის წლებში (სამოქალაქო ომი, მთავრობების ცვლა, აფხაზეთთან ომი და სხვა) ყველამ მისი შესწავლა ვერ შეძლო.

მას შემდეგ გავიდა 30 წელი. ბევრი რეფორმებიც გატარდა, ბევრჯერ მთავრობებიც შეიცვალა, მაგრამ მოსახლეობის სიღარიბე და მათი ეკონომიკური უთანაბრობა ისევ მაღალ დონეზეა. როგორც აღვნიშნეთ, ჯინის კოეფიციენტი საქართველოში მთლიანი შემოსავლების მიხედვით 0.39-ია, სამცხე-ჯავახეთში კი, ჩვენი გამოანგარიშებით - 0,51 (მთლიანი შემოსავლების მიხედვით). ასე რომ, მთლიანად საქართველოც და მ. შ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონიც, ამ მაჩვენებლის მიხედვით კრიტიკულ ზღვარზე იმყოფება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენი პირველი ღონისძიება არის მოსახლეობაში ბიზნესცოდნის ამაღლება, ანუ იმის გაკეთება, რაც ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და სხვები) დიდი ხანია გააკეთეს. მათ იმთავითვე ბიზნეს-ინკუბატორები გახსნეს და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ყველა მსურველს არა მხოლოდ ასწავლეს ბიზნესი, არამედ, ასევე, სახელმწიფო ხარჯზე დააწყებინეს იგი. თითოეულ ამ ქვეყანაში, დღესაც 20-30 ბზინეს-ინკუბატორია გახსნილი. დასახელებულმა ქვეყნებმა ამ გზით ღარიბებსაც ასწავლეს ბიზნესი, ჩართეს ისინი ამ სექტორში, ძირითადად მცირე ბიზნესში და ამ გზით მოახდინეს ეკონომიკის იკლუზიური ზრდა.

ბოლო წლებამდე, საქართველოს სამთავრობო დოკუმენტებში ინკლუზიური ზრდა ნახსენებიც არ იყო. მხოლოდ 2013 წელს შემუშავებულ საქართველოს განვითარების სტრატეგია „საქართელო - 2020“-ში გამოჩნდა იგი სიტყვებით: „საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა“. ამ საკითხით დაინტერესების საფუძველი ალბათ არის ის, რომ სავალუტო ფონდმა იგი სამუშაო პროგრამის მთავარ მიზნად დაასახელა. ინკლუზიურ ზრდაზე და მისი მეშვეობით სიღარიბის შემცირებასა და უთანასწორობის შემცირებაზე დღეს მსოფლიოს მეცნიერები ბევრს მსჯელობენ.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მთავარი ეკონომისტის აზრით, „ინკლუზიური ზრდა არის, თუ ის ხდება იმ სექტორში, სადაც ჩართული არიან ყველაზე ღარიბები, ხდება იქ, სადაც ცხოვრობენ ღარიბები, ხდება თუ დაფუძნებულია იმ ფაქ-

ტორების გამოყენებაზე, რომელსაც ღარიბები ფლობენ, და, ამცირებს იმ პროდუქ-ტების სამომხმარებლო ფასებს, რასაც მეტწილად ღარიბები მოიხმარენ“ [Palavinel, 2011].

ინკლუზიური ზრდის პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრის აზრით, „ინკლუ-ზიური ზრდა არის, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, სიღარიბის დონის და უთანა-სწორობის შემცირება, მოსახლეობის აქტიური ჩართულობა ეკონომიკურ პროცესში და შესაძლებლობების გაფართოება“ [Ranieri R., 2013].

მაგრამ ღარიბებთან ბიზნესის წარმართვა კომპანიებისთვის ძნელია, რადგან, იქ სადაც სიღარიბეა, მოგება არ არსებობს. ამიტომ კომპანიები საზღვარგარეთაც კი, მაინც-დამაინც არ აქტიურობენ ღარიბებთან თანამშრომლობაზე. ასეა საქართველოშიც.

ამიტომ, ეს საქმე, ჩვენი აზრით, ქვეყნის მთავრობამ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კი, რეგიონის ადმინისტრაციამ უნდა დაძრას ადგილიდან.

ქვეყნის მთავრობა და სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციაც, ეკონომიკური უთა-ნასწორობის და სიღარიბის შესამცირებლად ცხადია, გარკვეულ ღონისძიებებს ახორ-ციელებენ, მაგრამ ეს ღონისძიებები მეტად ფრთხილია და ამიტომ ჯერ-ჯერობით არც უმუშევრობის და სიღარიბის დონე შემცირებულა და არც უთანასწორობა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. ეს განსა-კუთრებით საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესში. ევროკომისია თვლის, რომ „ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა საჭირო“ [EU commission, 2011].

ჩვენი მიზანია დავასაბუთოთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ღარიბი და უღარიბესი ფენის ჩართვის შესაძლებლობები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესში და, მისი მეშვეობით გამოვიყვანოთ ისინი სიღარიბიდან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ რეგიონის ღარიბი და უღარიბესი ფენა არ ფლობს ცოდნას ბიზნესში. ბიზნესში მათ ჩასართავად, საჭიროა ისინი მოვამზადოთ მათთვის სპეციალურად გახსნილ ინკლუ-ზიურ ბიზნეს-ინკუბატორებში. მსოფლიოში გავრცელებულია ბიზნეს-ინკუბატორების განმარტების მრავალნაირი ინტერპრეტაციები [ღუდუშაური, 2004: 23]:

რაისი და მეტიუზი: „ბიზნეს-ინკუბატორები წარმოადგენენ ახლადშექმნილ საწარმოებს, რომელთა მიზანია დამწყები კომპანიების განვითარება“.

ევროკომისია: „ინკუბატორები ეს არის ახლადშექმნილი ფირმების კონცენტრაციის ადგილი. საერთო ინფრასტრუქტურის (ტელეფაქსი, კომპიუტერული მოწყობილობა და ა.შ.) მქონე სათავსოების გადაცემით, მენეჯმენტური მხარდაჭერით და დამხმარე მომსახურების გაწევით მათი მიზანია ამ საწარმოთა ზრდისა და გადარჩენის შანსის ამაღლება“.

აშშ ბიზნეს-ინკუბატორების ეროვნული ასოციაცია: „ინკუბატორი არის ინსტრუმენტი მიმართული კომპანიების წარმატებული თვითრეალიზაციისა და დაჩქარებული განვითარებისთვის, მათთვის სხვადასხვა კომერციული საქმიანობის მხარდამჭერი მომსახურებისა და რესურსების გადაცემით“.

სამეცნიერო პარკების და ინოვაციური ცენტრების ექსპერტთა ჯგუფი (სპაის-ის ჯგუფი): ეს ჯგუფი ბიზნეს-ინკუბატორებს ყოფს ორ კატეგორიად - სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პარკებად და ინოვაციურ ცენტრებად. პირველს განმარტავს, როგორც „საკუთრების ობიექტს განლაგებულს გარკვეულ ტერიტორიაზე და განკუთვნილს სამეცნიერო, საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო ორგანიზაციებისთვის“, ხოლო მეორეს - „ინოვაციური კომპანიებისთვის საოფისე და საკონსულტაციო მომსახურების გამწევ, ტექნოლოგიების გადამცემ და მათი ინოვაციური საქმიანობის შედეგების გამავრცელებელ ერთეულად“.

ბიზნეს-ინკუბატორების განვითარება მსოფლიოში [Бизнес-инкубаторы, 2011: 37]. მსოფლიოში ბიზნეს-ინკუბატორების მუშაობის დიდი გამოცდილებაა დაგროვილი. ბიზნეს-ინკუბატორების რიცხვი მსოფლიოში სწრაფად იზრდება. თუ 90-იანი წლების დასაწყისში ბიზნეს-ინკუბატორების რაოდენობა 1000-ს არ აღემატებოდა, XXI საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 8000 ერთეულზე მეტია (იხ. ნახაზი 18).

წარმოდგენილი ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების მხრივ, საქართველო ჩამორჩენილია. 3-4 წელია, რაც ახლადდაფუძნებულმა მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ქ. თბილისში გახსნა ახალი ტექნოლოგიების პროფილის ორი ინკუბატორი. ეს არის და ეს. არცერთი ინკუბატორი არ არის გახსნილი სამცხე-ჯავახეთში. ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, საჭიროა ქვეყნის მთავრობის, განსაკუთრებით კი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებათა უფრო დიდი ძალისხმევა და შინაგანი სახსრების მობილიზაცია რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში თითო ბიზნეს-ინკუბატორის გასახსნელად.

დასახელებული ბიზნეს-ინკუბატორების კონკრეტული მიზანი იქნება ღარიბი ადამიანებისთვის სწავლების და მუშაობის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათი ინფორმაციული, კონსანტილგური, ტექნიკო-ტექნოლოგიური, მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა.



ნახაზი 23. ბიზნეს-ინკუბატორების რაოდენობა მსოფლიოში [Langovas P. 2013].

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების შექმნამ რეგიონში შემდეგი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს:

- ასწავლოს ღარიბებს ბიზნესი, რომ მათ შემდეგ შექმნან კომპანიები და დამოუკიდებლად გაუძღვნენ მათ;
- შეამციროს უმუშევრობის დღევანდელი დონე;
- აღჭურვოს ღარიბი მცირე მეწარმეები ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიით, მენეჯ-მენტისა და მარკეტინგის ცოდნით;
- მოახდინოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების დონის გამოთანაბრება შედარებით მაღალგანვითარებულ რეგიონებთან;
- შეამციროს ეკონომიკური უთანასწორობა რეგიონში.

ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთში ინკლუზიური ინკუბატორების გასახსნელი საქმიანობის ძირი-თადი ეტაპები იქნება:

1. ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების შესაქმნელად წინასაინკუბატორო პერიოდში მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (ღარიბების აღწერა და მათი უნარების დადგენა).
2. ბიზნეს-ინკუბატორების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება.
3. ბიზნეს-ინკუბატორებში სწავლების პროფილის განსაზღვრა.
4. ბიზნეს-ინკუბატორებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან გამოყოფა.
5. ბიზნეს-ინკუბატორების მმართველი გუნდის ფორმირება.
6. ინკუბატორში მოსწავლე კანდიდატების რაოდენობის, პროფილისა და სწავლის პერიოდის განსაზღვრა.
7. ბიზნეს-ინკუბატორების ბიზნეს-გეგმების მომზადება (მას ბიზნეს-ინკუბატორის მმართველი გუნდი ადგენს).

ჩვენ ვთვლით, რომ სამცხე-ჯავახეთის ხუთივე მუნიციპალიტეტში უნდა გაიხსნას ინკუბატორები და ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ თავად მუნიციპალიტეტები.

მსოფლიო მასშტაბით, ბიზნეს-ინკუბატორების მომსახურების ერთიანი ნუსხა არარსებობის. ამის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად, იგი იყოფა ორ ნაწილად [ხაბელაშვილი, 2018: 149-150]:

1. სწავლების პერიოდი და კომპანიების ამუშავების პერიოდი.
2. სწავლების პერიოდს დაეთმობა 6 თვე, ამუშავების პერიოდს 1 წელი.

სწავლების პერიოდში მოსწავლე-კანდიდატები მხოლოდ სწავლობენ ბიზნესის ორგანიზებას, მენეჯმენტს, მარკეტინგს, ფინანსებს, ბუღალტერიას და ა. შ. ეს ხორციელდება სპეციალური პროგრამით.

სწავლის დამთავრების შემდეგ, მათ ეძლევათ შანსი ინკუბატორშივე დააფუძნონ რომელიმე პროფილის საწარმო მათი უნარის და ათვისებული ცოდნის გამოყენებით.

ინკუბატორის ხელმძღვანელობა ამ მიზნით მათ გადასცემს:

- საწარმოო და საოფისე ფართობებს;
- გაუწევს პრაქტიკულ დახმარებას ბიზნეს-გეგმებისა და ინვესტიციური პროექტების შედგენაში და დასაბუთებაში;
- გაუწევს სარეკლამო და მარკეტინგულ მომსახურებას;

- კადრების მომზადებას (როგორც კვალიფიკაციის ამაღლება, ისე პროფესიონალების მოძიება და მიწოდება);
- დაეხმარება კლიენტებთან კონტრაქტების დარეგულირებაში, ახალი საქმიანი კავშირების დამყარებაში, ახალ ბაზრებზე გაყვანაში;
- დაეხმარება კონფერენციების, სემინარების, გამოფენების მოწყობაში საქმიანი შეხვედრების ორგანიზებაში;
- დაეხმარება მდივან-რეფერენტული მომსახურების გაწევაში, შესთავაზებს საერთაშორისო მიმოწერაში დახმარებას;
- დაეხმარება ახლადგახსნილ კომპანიების განთავსების ტერიტორიის კეთილმოწყობაში, მათთვის გაზმომარაგება, წყალმომარაგება, ენერგომომარაგებაში;
- დაეხმარება კრედიტების მიღებაში (გარანტად დადგომა), საწესდებო კაპიტალის შევსებაში, სასტარტო კაპიტალის მიცემაში, მანქანა-მოწყობილების ლიზინგით ყიდვაში, იურიდიული საბუღალტრო და აუდიტორიული მომსახურებაში და სხვა.

ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების და მუშაობის მკაფიოდ დადგენილი სამართლებრივი ნორმებიც არ არსებობს. თითქმის არცერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში ბიზნეს-ინკუბატორების მარეგულირებელი სპეციალური კანონი არ მიუღიათ. ასეთი სპეციალური კანონი არც საქართველოშია მიღებული. არადა, დღეს, ამის აუცილებლობა დგას. ასეთი კანონი ქვეყანაში უნდა არსებობდეს და ის რეგიონებზეც უნდა გავრცელდეს.

ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების ინიციატორებად საზღვარგარეთ, ძირითადად, მართვის ადგილობრივი ორგანოები გამოდიან. ქალაქებთან მისადაგებით, ისინი ქალაქის მუნიციპალიტეტები (მერიები) არიან. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეს უნდა იყოს რეგიონის ადმინისტრაცია და ექვსივე მუნიციპალიტეტი (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ახალქალაქი და ნინოწმინდა).

სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში, ჩვენი აზრით, ეს სამუშაო 6 ეტაპად უნდა განხორციელდეს:

1. ბიზნეს-ინკუბატორის ჩარჩო-მოდელის მუშა-პროგრამის შედგენა.
2. მუნიციპალიტეტის დონეზე ბიზნეს-ინკუბატორის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის შედგენა.

3. ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა.
4. ბიზნეს-ინკუბატორების გასახსნელად მეთოდიკისა და ტიპიურ დოკუ-მენტთა პაკეტის შედგენა და მუნიციპალიტეტების განთავსება ვებ-გვერდზე.
5. ღარიბ ოჯახებიდან მოსწავლე-კანდიდატების შერჩევა და მათთან ინკლუ-ზიური ბიზნეს-ინკუბატორთან ურთიერთობის ტექნოლოგიის დამუშავება.
6. ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორებისთვის რესურსების გამოყოფა და მათი პრაქტიკული დაფუძნება.

ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის გახსნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისთვის მეტად დიდი, შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოა. მისი უპირველესი სირ-თულე იმაში მდგომაროებს, რომ რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას მუშა ჯგუფები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მოახდენენ ღარიბი ოჯახების აღწერას და ოჯახის წევრებიდან ინკუბატორში ბიზნესის სწავლის მოსურნე ახალგაზრდების ამორჩევას. მეორე სირთულე იმაშია, რომ ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების ხარჯები მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს. ამიტომ იგი წინასწარვე უნდა გათვალისწინდეს მასში. მესამე სირთულეს კი იმაში ვხედავთ, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს ადგილზე არ ეყოლება ბიზნეს-ინკუბატორში საჭირო აკადემიური პერსონალი (პროფესორ-მასწავ-ლებლები) და გარედან, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტიდან მოუწევთ მიწვევა. ეს ცხადია, გაზრდის დანახარჯებს.

ამის მიუხედავად, ეს იმ რანგის ღონისძიებაა, რომელიც არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში, არამედ, საქართველოს სხვა რეგიონებში უნდა გატარდეს. სამცხე-ჯავა-ხეთიც და სხვა რეგიონებიც იცლება მოსახლეობისგან. ემიგრაციაში სწორედ ღარიბები მიდიან. ბიზნეს-ინკუბატორებში მათი სწავლების მოწყობით და მათთვის საჭირო ბიზნესცოდნის გადაცემით, მათ უჩნდებათ ადგილზევე საკუთარი საწარმოს გახსნის ინტერესი, მით უფრო, რომ ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლება თავდაპირველად მის ორგანიზებაშიც ეხმარება მათ, და, მთელ რიგ მომსახურებებს უფასოდაც სთავაზობს.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ეს საკითხი არ ეხება ღარიბების და ყველა მოწყვ-ლადი ჯგუფების გამდიდრებას. ეს ეხება მათ გამოყვანას სიღარიბიდან და იმ კატასტ-

როფული ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას, რომელიც დღეს არსებობს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შემოსავლებში.

რადგან ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის თემა საქართველოსთვის ახალია, ჩვენ შევეცადეთ და შევიმუშავეთ მისი ჩარჩო-მოდელი, რომელიც ნიმუშად და მაგალითად გამოადგებათ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებსაც და საქართველოს სხვა რეგიონებსაც. აღნიშნული ჩარჩო-მოდელში ჩვენ ვიანგარიშეთ პოტენციურ მოსწავლე-კანდიდატთა 6-თვიანი სწავლების ხარჯები და, შემდეგ ასევე, ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორშივე მათ მიერ ამუშავებულ საწარმოთა (ჩვენ მათ კლიენტ-საწარმოები ვუწოდეთ) დასაფინანსებელი ხარჯები. ორივე ეს ხარჯი ფინანს-დება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან - პირველი ნახევარი წლის, ხოლო მეორე - ერთი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ, დამწყები მეწარმეები ტოვებენ ინკუბა-ტორს და მუშაობენ დამოუკიდებლად, მათ ადგილს, კი იკავებენ ახალი მოსწავლე-კანდიდატები.

ანგარიში განვახორციელეთ 10 პოტენციურ მოსწავლე-კანდიდატზე ორ ნაწილად - სწავლების ნაწილში და მათ მიერ დაფუძნებულ საწარმოთა ამუშავების ნაწილში. ცალკე ვიანგარიშეთ, საკუთრივ ინკუბატორის მოწყობის ხარჯი - მას დასჭირდება საჭირო ფართობის დაქირავება, თანამშრომლების აყვანა, ავეჯის და მოწყობილობის შეძენა და ა. შ. უპირველესად ვიანგარიშეთ თვით ბიზნეს-ინკუბატორის მოწყობის ხარჯები. მასში შევიტანეთ:

1. ბიზნეს-ინკუბატორის მოსაწყობად საჭირო ფართობის დაქირავების ხარჯი (იხ. ცხრილი 27).
2. ბიზნეს-ინკუბატორის თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი (იხ. ცხრილი 28).
3. ბიზნეს-ინკუბატორისთვის საჭირო მოწყობილობის და საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯი (იხ. ცხრილი 29).
4. სხვა ხარჯები (კომუნალური ხარჯი და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები (იხ. ცხრილი 30).

გაანგარიშებები განვახორციელეთ აშშ დოლარებში, რადგანაც ქართული ფულის ერთეულის - ლარის კურსი მეტად ცვალებადია.

ცხრილი 27

ბიზნეს-ინკუბატორისთვის საჭირო ფართობები (კვ.მ.-ში) და მათი დაქირავების ხარჯი (აშშ დოლარებში)

	სათავსოთა დასახელება	ოთახების რაოდენობა	ფართობი კვ.მ.	ქირის გადასახადი წელიწადში
	1. ბიზნეს-ინკუბატორის ოფისი			
1	დირექტორის კაბინეტი	1	25	185
2	სამდივნო	1	15	115
3	სასწავლო ნაწილის გამგის (მოადგილის) კაბინეტი	1	20	150
4	სააღრიცხვო განყოფილება	1	25	115
5	აუდიტორის კაბინეტი	1	20	150
6	იურიდიული განყოფილება	1	20	150
7	საწარმოო-ტექნიკური განყოფილება	1	25	185
8	მარკეტინგის და ინფორმაციის განყოფილება	1	30	225
9	საკონსულტაციო-საექსპერტო და მონიტორინგის განყოფილება	1	30	225
10	**სამეურნეო განყოფილება**			
მ.შ.	განყოფილების უფროსი კაბინეტი	1	15	115
	ფსიქოლოგის ოთახი	1	15	115
	მომმარაგებლის ოთახი	1	30	225
	ტექპერსონალის ოთახი	1	25	185
	დამლაგებლის ოთახი	1	15	115
	დაცვის ოთახი	1	15	115
11	სამზარეულო	1	30	225
12	საპირფარეშო	1	15	115
	სულ ბიზნეს-ინკუბატორის ოფისისთვის		**370**	**2700**

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ცხრილი 28

ბიზნეს-ინკუბატორის საშტატო განწესი და ხელფასის ფონდი(აშშ დოლარებში)

ადმინისტრაციული სამსახურების და თანამდებობების დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდნეობა	ხელზე გასაცემი თვიური ხელფასი	ხელზე გასა-ცემი თვიური ხელფასის ფონდი	ხელზე გასაცემი წლიური ხელფასის ფონდი
დირექცია				
დირექტორი	1	500	500	6000
მოადგილე - სასწავლო საკითხებში	1	450	450	5400
სააღრიცხვო განყოფილება:				
მთავარი ბუღალტერი	1	300	300	3600
მოლარე	1	200	200	2400
აუდიტორი	1	250	250	3000
იურიდიული განყოფილება:				
განყოფილების უფროსი	1	300	300	3600
მთავარი კონსულტანტი	1	ვაკანსია	-	-
საწარმოო-ტექნიკური განყოფილება:				
განყოფილების უფროსი	1	300	300	3600
მთავარი კონსულტანტი	1	ვაკანსია	-	-
მარკეტინგის და ინფორმაციის განყოფილება:				

განყოფილების უფროსი	1	350	350	4200
მთავარი კონსულტანტი	1	ვაკანსია	-	-
საკონსულტაციო-საექსპორტო და მონიტორინგის განყოფილება:				
განყოფილების უფროსი	1	300	300	3600
მთავარი ექსპერტი	1	ვაკანსია	-	-
სამეურნეო განყოფილება:				
განყოფილების უფროსი	1	250	250	3000
საწყობის გამგე	1	200	200	2400
მძღოლი	1	200	200	2400
მომმარაგებელი	1	200	200	2400
ტექნიკოსი	2	150	300	3600
მებუფეტე	1	150	150	1800
დამლაგებელი	2	120	240	2880
დაცვა	3	150	450	5400
სულ საშტატო განწესით	21	-	4940	59280
სულ ხელფასი				59280
საპენსიო დანარიცხვი (2%)				1482
საშემოსავლო გადასახადი (20%)				14820
სულ დარიცხულ ხელფასი				75582

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ცხრილი 29

ბიზნეს-ინკუბატორისთვის საჭირო მოწყობილობის და საოფისე ავეჯის რაოდენობა და შეძენის ხარჯები (აშშ დოლარებში)

	განთავსების ადგილი			ავეჯის და მოწყ. ერთი ერთეულის ფასი	სულ ხარჯები
	ბიზნეს-ინკუბა-ტორის ადმინისტ-რაციული ოფისი	სამზარეულო	დარბაზი		
1. კომპიუტერი და ქსელი	5	-	-	300	1500
2. მაგიდა	20	6	1	100	2700
3. სკამი	25	30	70	30	3750
4. ტელეფონი (ქსელით)	11	1	-	100	1200
5. ფაქსი	4	-	-	300	1200
6. სეიფი					
პატარა	5	-	-	50	250
დიდი	1	-	-	100	100
7. ქსეროქსი					
პატარა	2	-	-	200	400
დიდი	1	-	-	400	400
8. კარადა	5	1	-	150	750
9. მაცივარი	-	2	-	400	800
10. გაზქურა	-	2	-	150	300
11. საპროექციო აპარატი	-	-	1	300	300
12. ტელევიზორი	2	1	-	300	900
13. სკანერი	2	-	-	200	400
14. ვიდეო-აპარატურა	1	-	1	600	600
15. ჭურჭელი	-	40 კომპლექტი	-	10	400
				სულ	15950

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ცხრილი 30

ბიზნეს-ინკუბატორებისთვის საჭირო სხვადასხვა ხარჯების სავარაუდო სიდიდეები წელიწადში

	სხვადასხვა ხარჯების მუხლები	ხარჯების სიდიდე (აშშ დოლარებში)
1	კომუნალური მომსახურების	500
2	საკომუნიკაციო საშუალებების	500
3	მივლინებების	300
4	რეკლამის	100
5	დაზღვევის	300
6	ლიტერატურის შეძენის	500
7	წარმომადგენლობითი ხარჯები	150
8	დაფუძნება-რეგისტრაციის	1000
9	გაუთვალისწინებელი ხარჯი	650
	სულ	4000

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთი ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბა-ტორის მოწყობა და ერთი წლით შენახვა რეგიონს დაუჯდება 2700 + 75582 + 15950 + 4000 = 100230 დოლარი.

შემდეგ ეტაპზე ვიანგარიშეთ ნახევარი წლის განმავლობაში რაიონის ღარიბ ოჯახებში შერჩეული 10 ახალგაზრდის ანუ პოტენციური მოსწავლე-კანდიდატის სწავლების ხარჯები. მასში შევიტანეთ: შენობის დაქირავების და სასწავლო მოწყო-ბილობის შეძენის ხარჯი; პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ხარჯი.

სასწავლო დანიშნულებით საჭირო ფართობის დაქირავების, მოწყობილობის და სასწავლო ინვენტარის ყიდვის ხარჯებმა შეადგინა 2480 დოლარი (ცხრილი 31), ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასმა 6 თვეში 9000 დოლარი (იხ.ცხრილი 32).

ცხრილი 31

შენობის დაქირავების და სასწავლო მოწყობილობის შეძენის ხარჯები (აშშ დოლარებში)

	შენობის დაქი-რავება 6 თვით	სასწავლო მოწყობი-ლობის შეძენის საერთო ღირებულება	სულ ხარჯები
1. სწავლებისთვის საჭირო ფართობი საშუალოდ 80-100 კვ.მ.	350	-	350
სასწავლო მოწყობილობის შეძენა:			
➢ 5 მერხი		250	250
➢ 1 დაფა		50	50
➢ 5 კომპიუტერი		1500	1500
➢ 10 სკამი		300	300
➢ საკანცელარიო ნივთები		30	30
სულ ხარჯი		-	2480

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ცხრილი 32

პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები (აშშ დოლარებში)

სასწავლო საგნები	შტატი	თვიური ხელზე გასაცემი ხელფასი	6 თვის ხელფასის ფონდი
1. ბიზნესის ორგანიზაცია	1,0	300	1800
2. მენეჯმენტი	1,0	300	1800
3. მარკეტინგი	1,0	300	1800
4. ბუღალტრული აღრიცხვა	1,0	300	1800
5. ფინანსური მენეჯმენტი	1,0	300	1800
სულ			9000

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ამრიგად, რეგიონის ღარიბი ოჯახებიდან შერჩეული 10 ახალგაზრდის ნახევარი წლით ბიზნეს-ინკუბატორში სწავლება რეგიონის მმართველობას დაუჯდება 9000 + 2480 = 11480 დოლარი. სწავლადამთავრებული 10 ახალგაზრდა კვლავაც ინკუბა-ტორის ფართობში, ინკუბატორის დაფინანსებით და ინკუბატორის მეთოდური დახ-მარებით აფუძნებენ კომპანიებს. ანუ, ის, რაც თეორიულად ისწავლეს ამ ახალგაზრ-დებმა, ახდენენ მის პრაქტიკულ, საცდელ განხორციელებას. ეს საწარმოები აქ იმუშა-ვებენ ერთი წლის განმავლობაში და ყველა მათი ხარჯი კვლავაც დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გასახსნელად გამიზნულ საწარმოთა პროფილის არჩევა თავისუფალი იქნება. შეიძლება იგი აირჩიოს ბიზნეს-ინკუბატორის ხელმძღვანელობამ, ანდა თვით მისმა დამფუძნებელმა, რომელთა როლში ეს სწავლადამთავრებული ახალგაზრდები გამოდიან. 10 დასაფუძნებელი საწარმოდან პირობითად ჩვენ ჩავთვალეთ, რომ 5 იქნება საწარმოო პროფილის, 5 კი - მომსახურების პროფილის. ორივეს სჭირდება ფართობებიც, მოწყობილობაც, საოფისე ავეჯიც და პერსონალიც.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოო სექტორში მოვიაზრებთ: თევზსაშენ და ჩირის (ხილისგან) მწარმოებელ კომპანიებს, ცხოველთ და ფრინველსაშენებს, ველური სამკურნალო მცენარეების შეგროვება-შემფუთველ საწარმოებს, ხილის წვენების დამამზადებელ საწარმოებს, აბრეშუმის ჭიის გამომყვან საქმიანობებს და სხვას. ცხადია, თვით ეს საწარმოები ინკუბატორის ფართობში ვერ განლაგდებიან. ინკუბატორში იქნება ამ საწარმოთა ოფისები, თვით საწარმოები კი - შესაბამისი რესურსის არსებობის ადგილზე (მაგალითად, თევზსაშენები - მდინა-რეებზე, აბრეშუმის ჭიის გამოყვანა - თუთის ხის პლანტაციებში და ა. შ.). რაც შეეხება

მომსახურების სფეროს, სასურველია ხუთივე საწარმო იყოს ტურისტული, მხოლოდ სხვადასხვა კუთხით - სათავგადასავლო, შემეცნებითი, სასოფლო და სხვა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონს მომსახურების სფეროს განვითარების ყველაზე დიდი რესურსი სწორედ ტურიზმში აქვს. აქ მდებარეობენ მსოფლიო კულტურული ძეგლები - ვარძია, ხერთვისი, თმოგვი და სხვები.

ახლადგახსნილ საწარმოებში ფაქტიურად მოხდება მათი დამფუძნებლების დატრენინგება სამეწარმეო საქმეში. ისინი აქ ისწავლიან სამეწარმეო საქმის აწყობას, მის მართვას, ბაზარზე მოთხოვნის შესწავლას, კონტრაგენტებთან ურთიერთობებს და ა. შ. ცხრილებში 33-34, მოცემული გვაქვს ამ ათი საწარმოსთვის საჭირო ფართობების დაქირავების ხარჯები, მოწყობილობის და ავეჯის შესყიდვა, ხოლო 35-ე ცხრილში - ამ საწარმოთა პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები.

ცხრილი 33

კლიენტ-საწარმოთათვის საჭირო ფართობები და დაქირავების ხარჯები

	ფართობი, $მ^2$	დაქირავების ხარჯი წელიწადში (აშშ დოლარი)
1. საწარმოო პროფილის 5 საწარმოსთვის:		
➢ ოფისებისთვის	100	1200
➢ წარმოების მოსაწყობად	500	6000
სულ	**600**	**7200**
მომსახურების პროფილის 5 საწარმოსთვის:		
➢ ოფისისთვის	100	1200
➢ დარბაზი ტურისტთა შეკრებისთვის	200	2400
სულ	**300**	**3600**
მთლიანად	**900**	**10800**

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ცხრილი 34

კლიენტ-საწარმოებისთვის საოფისე ავეჯის და მოწყობილობის შეძენის ხარჯები

	სავარაუდო ხარჯი აშშ დოლარი
1. საწარმოო პროფილის 5 საწარმოსთვის:	
➢ ოფისის ავეჯი (მაგიდები, სკამები, კომპიუტერი, სკანერი, კარადა და სხვა)	5000
➢ აპარატურა, მოწყობილობა, ნედლეული	20 000
მომსახურების პროფილის 5 საწარმოსთვის:	
➢ ოფისის ავეჯი და საოფისე ტექნიკა	5000
➢ ტურისტული ტურებისთვის საჭირო მოწყობილობა (კარვები, საძილე ტომრები და ა. შ.)	10 000
სულ	40 000

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

ცხრილი 35

ბიზნეს-ინკუბატორის კლიენტ-საწარმოთა ხელფასის ფონდი(აშშ დოლარებში)

	მაჩვენებლები	კლიენტ-საწარმოთა პროფილი		მაჩვენებელთა საერთო სიდიდე კლიენტ-საწარმოებში
		მომსახურება	წარმოება	
1	კლიენტ-საწარმოთა რიცხვი	5	5	10
2	კლიენტ-საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა	15	25	40
3	ერთი მომუშავისთვის ხელზე გასაცემი თვიური ხელფასი	200	200	200
4	ხელფასის თვიური ფონდი (2x3)	3000	3000	8000
5	ხელფასის წლიური ფონდი	36000	60000	96000
	საპენსიო ანარიცხი (2%)	720	1200	1920
	საშემსოავლო გადასახადი (20%)	7200	12000	19200
	სულ დარიცხული ხელფასი	43920	73200	117120

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

მაშასადამე, ბიზნეს-ინკუბატორს კლიენტ-საწარმოთა განსათავსებლად დასჭირდება 900 კვ. მეტრი, აქედან 600 კვ. მეტრი საწარმო პროფილის კომპანიებისთვის, 300 კვ. მეტრი მომსახურების პროფილის საწარმოებისთვის. ამ ფართობის დაქირავების წლიური სავარაუდო ხარჯი იქნება 10800 აშშ დოლარი, მოწყობილობის და ავეჯის შეძენის ხარჯები 40 000 დოლარი, ხოლო კლიენტ-საწარმოთა თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის ხარჯი წლიწადში 117120 დოლარი (მომსახურეობის პროფილის საწარმოებში იმუშავებს 15 კაცი, საწარმოო პროფილის კომპანიებში კი - 25 კაცი).

ასე რომ, კლიენტ-საწამროების ერთი წლით ფუნქციონირებისთვის ბიზნეს-ინკუბატორს დასჭირდება 10800 + 40000 + 117120 = 167920 აშშ დოლარი.

მთლიანად კი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთი ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის მოწყობა, რომელშიც ღარიბი ოჯახებიდან ამორჩეული 10 ახალგაზრდა ნახევარი წელი ისწავლის ბიზნესს, ხოლო შემდეგ ბიზნეს-ინკუბატორის დაფინანსებით ერთი წელი დააფუძნებს და აამუშავებს მცირე საწარმოს, ბიზნეს-ინკუბატორს დაუჯდება 100230 + 11420 + 167920 = 279570 აშშ დოლარი. ერთ საწარმოზე ანგარიშით ეს არის 279570 : 10 = 27957 აშშ დოლარი. ერთი მცირე საწარმოს ასამოქმედებლად ხარჯების ეს თანხა, ჩვენი აზრით, არ არის საგანგაშო. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ თანხის გაღებით რაიონში პირველი წლის ბოლოს ამუშავდება 10 მცირე საწარმო, მეორე წლის ბოლოს - კიდევ 10 და ა. შ.

აქვე დავამატებთ იმასაც, რომ თუ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს თავის საკუთრებაში აქვთ გამოუყენებული (დაუტვირთავი) ფართობები, მაშინ, მათ აღარ დასჭირდებათ შენობების დაქირავება და ამით ინკუბატორის მოწყობის ხარჯები მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ბიზნეს-ინკუბატორებში ბიზნესის სწავლების მოწყობით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა - პოლონეთმა, ჩეხეთმა და სხვებმა, რომლებიც თავიდან ჩვენნაირ მდგომარეობაში იყვნენ, მასიურად დაასაქმეს ღარიბები მცირე ბიზნესში. მათ ეს სწორედ ასეთი გზით განახორციელეს, რომელსაც ჩვენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ვთავაზობთ. ამ სოციალური სიკეთის გარდა, რასაც ასეთი ბიზნეს-ინკუბატორები მოუტანენ რეგიონს, ბიუჯეტიდან გაღებული ამ თანხების ნაწილი საშემოსავლო გადასახადის სახით უკანვე დაუბრუნდება ბიუჯეტს.

ნაშრომში ჩვენს მიერ წარმოდგენილ ჰიპოთეტურ ბიზნეს-ინკუბატორიდან და ათივე ამოქმედებული საწარმოდან პირველივე წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი საშემოსავლო გადასახადის სახით უკან იბრუნებს 14820 + 19200 = 34020 აშშ დოლარს. ეს გაგრძელდება შემდეგ წლებშიც. თუ ამ კომპანიების საქმიანობა წარმატებული გამოდგა, ისინი მოგებაზე იმუშავებენ და ბიუჯეტში მოგების გადასახადსაც გადაიხდიან.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ამ შემოთავაზების ძირითადი ეფექტი (სარგებელი) კი არის რეგიონის მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბიდან გამოსვლა და შემოსავლების განაწილებაში იმ საგანგაშო დისპროპორციის შემცირება, რომელიც არსებობს რეგიონის მოსახლეობაში. ეს პრობლემა მთელ მსოფლიოში დგას, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. ფინეთმა, შვედეთმა და ზოგიერთმა სხვა ქვეყნებმა, ეს პრობლემა სწორედ ღარიბ მოსახლეობაში ბიზნეს-განათლების დონის ამაღლებით გადაწყვიტეს. ასე უნდა გავაკეთოთ ჩვენც.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბიზნეს-ინკუბატორების გახსნით, სადაც უმუშევრები ისწავლიან მარტივ ბიზნესს და თვითონაც დასაქმდებიან და სხვებსაც დაასაქმებენ, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში თანდათან შემცირდება სოციალურად დაუცველთა რიცხვი და ცხადია შემცირდება ის სოციალური ხარჯები, რასაც ეს მუნიციპალიტეტები უხდიან სოციალურად დაუცველებს. ეს სახსრები საკმაოდ მნიშვნელოვანი სიდიდისაა (იხ. ცხრილი 36).

ცხრილი 36

სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 2019-2021 წლების მიხედვით (ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტის დასახელება	2019 წელი (ფაქტიური)	2020 წელი (ფაქტიური)	2021 წელი (გეგმა)
ადიგენი	312,2	321,7	488,1
ასპინძა	271,7	341,2	336,0
ახალქალაქი	741,9	823,7	1026,6
ახალციხე	930,0	1022,1	1 384,5
ბორჯომი	1891,9	1924,2	2267,0
ნინოწმინდა	376,0	367,0	476,0
სულ რეგიონი	4523,7	4799,9	5978,2

მთლიანობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბიუჯეტებიდან გაწეული სოციალური ხარჯები შეადგენდა: 2019 წელს - 4523,7 ათასი ლარი, 2020 წელს - 4799,9 ათასი, ხოლო, 2021 წელს (გეგმით) – 5978,2 ათასი ლარი. როგორც ვხედავთ ხარჯების ტენდენცია ზრდადია.



ნახაზი 24. სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 2019-2021 წლების მიხედვით (ათასი ლარი)

2021 წლის საპროექტო მონაცემებიდან გამოვყავით სოციალურ დაცვაზე (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და სოციალურად დაუცველებზე) გაცემული თანხები, რომელმაც შეადგინა 4755,4 ათასი ლარი (იხ. ცხრილი 37).

ცხრილი 37

სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 2021 წლის მიხედვით (ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2021 წლის პროექტი**
ადიგენი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	488,1
მ.შ.	სოციალური დაცვა	121,6
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	20,0
	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	101,6
ასპინძა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	336,0
მ.შ.	სოციალური დაცვა	160,0
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	20,0
	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	140,0
ახალქალაქი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1026,6
მ.შ.	სოციალური დაცვა	785,0
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	44,0
	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	220,0
ახალციხე	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 384,5
მ.შ.	სოციალური დაცვა	1 185,5
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	155,5
	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	149,0
ბორჯომი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2267,0
მ.შ.	სოციალური დაცვა	2136,3
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	300,0
	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	420,6
ნინოწმინდა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	476,0
მ.შ.	სოციალური დაცვა	367,0
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	15,0
	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	175,0

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი ბიზნესინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების ხარჯები 279570 აშშ დოლარია, ლარზე გადაყვანით დღევანდელი კურსის (1$ = 3,11 ლარი) პირობებში, ეს შეადგენს 869462 ლარს, ანუ რეგიონში გაწეული წლიური სოციალური ხარჯების თითქმის მეხუთედს. ე.ი. 2021 წელს სოციალურ დაცვაზე

გაწეული წლიური ხარჯი 5,5-ჯერ აღემატება $\left(\frac{4755,4}{869,5} = 5,5\right)$, რაც სრულიად რეალურია. ბიზნესინკუბატორის მოწყობის ხარჯი ერთჯერადი ხარჯია (გამონაკლისია მხოლოდ ინკუბატორში დასაქმებულთა ხელფასი), სოციალური ხარჯი კი, ყოველ წელს გაიცემა და თუ ეს ან სხვა მსგავსი ღონისძიება არ გატარდა, რომელიც ღარიბებს დაასაქმებს, სოციალური ხარჯი უსასრულოდ გაგრძელდება.

III.2. დაბეგვრის პროპორციული რეჟიმიდან პროგრესულრეჟიმზე გადასვლა

გადასახადი რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა და ის ყველამ უნდა გადაიხადოს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. საკამათოა მხოლოდ საკითხი, თუ ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს.

დასავლეთში, ეს პრობლემა დიდი ხანია გადაწყდა ფიზიკური პირების (დაქირავებულები) დონეზეც, და, კორპორაციების დონეზეც. ფიზიკური პირები საშემოსავლო გადასახადს, ხოლო კორპორაციები მოგების გადასახადს დიფერენცირებული შკალით იხდიან - მაღალშემოსავლიანები მეტს, დაბალშემოსავლიანები - ნაკლებს. ანუ ევროპაში და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დანერგილია პროგრესული საგადასახადო სისტემა, ჩვენთან კი პროპორციული სისტემა, რომელიც ყველა გადამხდელს ერთნაირად ბეგრავს - ფიზიკურ პირებს (დაქირავებულები გვყავს მხედველობაში) შემოსავლის 20%-ით, კომპანიებს კი, დასაბეგრი მოგების 15%-ით.

ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია თუ რატომ არის ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური უთანასწორობის კოეფიციენტი, ანუ ჯინის კოეფიციენტი დაბალი, საქართველოში კი - მაღალი. იქ, მოსახლეობის შემლებული და მდიდარი ფენა საშემოსავლო გადასახადს მაღალი განაკვეთებით იხდის, ჩვენთან კი ეს განაკვეთი ერთია ყველასთვის (შემოსავლის 20%). ამასთან, საქართველოში ფიზიკურ პირებზე არც დაუბეგრავი მინიმუმი არის შემოღებული. ვიდრე გადავიდოდეთ საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ჩვენეული კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, იქამდის მოკლედ განვიხილოთ ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებულ პარქტიკა ამ სფეროში.

დიდ ბრიტანეთში საშემოსავლო გადასახადის სამი განაკვეთი მოქმედებს: 20%; 25% და 40%. 20%-ს იხდიან დაბალი შემოსავლის მქონენი, 25%-ს საშუალო შემო-

სავლის მქონენი, 40%-ს მაღალი შემოსავლის მქონენი. 3445 ფუნტი სტერლინგი წლიური შემოსავალი წარმოადგენს დაუბერგავ მინიმუმს [Налоговые системы..., 2007: 40].

გერმანიაში საშემოსავლო გადასახადს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს საბიუჯეტო შემოსავლებში. ეს გადასახადი გერმანიაშიც პროგრესულია. იგი 19%-დან იწყება და 53%-ით მთავრდება. შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმი მარტოხელა ადამიანისთვის 1536 გერმანული მარკაა, ოჯახური წყვილისთვის კი - 3072 გერმანული მარკა [Налоговые системы..., 2007: 49-50]. გერმანიაში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი ადამიანები კლასებადაც არიან დაყოფილნი [Налоговые системы..., 2007: 51-52]:

პირველ კლასს - მიეკუთვნებიან უშვილო, თავისუფალი ადამიანები.

მეორე კლასს - ქმარი (ან ცოლი), რომელიც გაცილებულია ან ქვრივია და სარჩენი ჰყავს შვილი.

მესამე კლასს - მიეკუთვნება ისეთი ოჯახური წყვილი, რომელთაგან მხოლოდ ერთ-ერთი მუშაობს და იღებს შემოსავალს.

მეოთხე კლასს - ეკუთვნიან ოჯახური წყვილი, რომლებიც ორივე მუშაობენ, მაგრამ იბეგრებიან ცალ-ცალკე.

მეხუთე კლასს - მიეკუთვნებიან მომუშავე ოჯახური წყვილი, რომელთაგან ერთ-ერთი (ცოლი ან ქმარი) იბეგრება მესამე კლასით.

მეექვსე კლასს - მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომელთაც რამდენიმე ადგილზე აქვთ შემოსავალი.

გერმანიაში საშემოსავლო გადასახადის კლასები გადასახადის ცხრილებშია მოცემული. აქვე მოცემულია გადასახადის შეღავათები ოჯახებში ბავშვების რაოდენობის მიხედვით და მრავალი სხვა.

საფრანგეთი. საფრანგეთშიც საშემოსავლო გადასახადი პროგრესულია. იგი იწყება 0%-დან და მთავრდება 56,8%-ით. ამ უკანასკნელს იხდიან ყველაზე მდიდრები, კერძოდ, წლიურად, 246770 და მეტ ფრანკ შემოსავლის მქონენი. დაუბერგავი მინიმუმი საფრანგეთში არის 18140 ფრანკი [Налоговые системы..., 2007: 71].

ნორვეგია. ნორვეგიის ბიუჯეტის დიდი ნაწილი საგადასახადო შემოსავლებით ივსება. აქ, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი ადამიანები ორ ჯგუფად არიან

დაყოფილნი. პირველ ჯგუფში შედიან მარტოხელა ადამიანები, მეორე ჯგუფში კი ადამიანები, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ ერთზე მეტი ადამიანი. ორივე ეს ჯგუფი იხდის როგორც ნაციონალურ საშემოსავლო გადასახადს, ისე მუნიციპალური საშემოსავლო გადასახადს. ამ გადასახადების გადახდა ხდება მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით. მაგალითად, პირველი ჯგუფის მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 220501 – 248500 ნორვეგიული კრონის ფარგლებშია, იხდიან 9,5%-ს, 248500 ნორვეგიულ კრონზე მეტ შემოსავალზე კი - 13,7%-ს. მეორე ჯგუფის მოქალაქეები კი, მსგავსი სიდიდის შემოსავლებზე გადასახადს არ იხდიან. ისინი 9,5% გადასახადით იბეგრებიან 267501-დან 278500-მდე ნორვეგიულ კრონ წლიურ შემოსავალზე, ხოლო 13,7%-იანი განაკვეთით 278500-ზე მეტ შვეიცარულ კრონ შემოსავალზე [Налоговые системы..., 2007: 110-111].

ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის აშშ-ში ფიზიკურ პირთა შემოსავალი გერმანიის დარად გადამხდელთა კლასებად (მარტოხელა და თავისუფალი, წყვილი, რომელთაგან ორივე მუშაობს, წყვილი, რომელთაგან ერთი მუშაობს და ა. შ.) არის დაყოფილი.

აშშ-ში მარტოხელა ადამიანის დაბეგვრა შემდეგი განაკვეთებით ხდება [Налоговые системы..., 2007: 15-16]:

წლიურად 24000 დოლარ შემოსავალზე - 15%.

წლიურად 24000დ-ამ 58150 დოლარ შემოსავალზე - 28%.

წლიურად 58150-დან 121300 დოლარ შემოსავალზე - 31%.

წლიურად 121300-დან 263750 დოლარ შემოსავალზე - 36%.

263750 დოლარზე მეტ შემოსავალზე - 39,6%.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. საზღვარგარეთ დიფერენცირებულია არა მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი. არამედ ქონების და მოგების გადასახადებიც. ნაკლები მოგებაც და ნაკლები ღირებულების ქონებაც დაბალი განაკვეთებით იბეგრება. ასეთი პოლიტიკით ამ ქვეყნების მთავრობები ახერხებენ მოსახლეობაში ეკონომიკურ უთანასწორობის შემცირებას.

მათგან განსხვავებით, საქართველოში საშემოსავლო გადასახადიც, მოგების გადასახადიც და ქონების გადასახადიც ყველასთვის ერთნაირია. შედეგად მოსახ-

ლეობის ეკონომიკური უთანასწორობა არის მაღალი. იგი თითქმის კრიტიკულ ზღვარზეა.

ყოველივე ზემოთნათქვამის გამო, მთლიანად საქართველოში, კერძოდ, კი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მიზანშეწონილია როგორც ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის, ისე მოგების და ისე ქონების გადასახადის დიფერენცირება გადასახადის გადამხდელთა შესაძლებლობების მიხედვით - ძლიერს - მაღალი, სუსტს - დაბალი.

სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ რადიკალური გარდაქმნის პირველ წლებში საქართველოში საშემოსავლო გადასახადი დიფერენცირებული იყო შემოსავლების სიდიდის მიხედვით. დაწესებული იყო დაუბეგრავი მინიმუმიც (350 მანეთი).

პროგრესული იყო საშემოსავლო გადასახადი საქართველოში ფულის ერთეულად კუპონის მოქმედების პეიროდშიც (იგი ვარირებდა 12%-დან 20%-მდე) და 1995 წლიდან ლარის შემოღების შემდეგაც. დაბეგვრის ეს წესი საქართველოში მოქმედებდა 2004 წლამდე. 2004 წელს „ვარდების რევოლუციის“ ეგიდით მოსულმა ახალმა მთავრობამ იგი გააუქმა და ყველასთვის დააწესა 12%-ს აგადასახადო განაკვეთი (დღეს იგი ყველასთვის 20%-ია). მთავრობის ამ ქმედებით კიდევ უფრო გამოიკვეთა მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანაბრობა, რაც გამომჟღავნდა მოსახლეობის ფენებს შორის რადიკალურად განსხვავებულ ცხოვრების დონეში, ხარისხიან ჯანდაცვაზე და ხარისხიან განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობაში.

ეს ვითარებაა დღეს, მთელ საქართველოში და ცხადია, სამცხე-ჯავახეთშიც. დაბეგვრის საკითხები რეგიონების დონეზე არ წყდება. ამ საკითხს საქართველოს მთავრობა წყვეტს. ამიტომ წინადადება, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ, ეხება მთელ საქართველოს და არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთს. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოში უნდა აღდგეს 2004 წლამდე არსებული საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემა და ასევე შემოღებული იქნეს მოგების და ქონების გადასახადის პროგრესული შკალები.

ჩვენს მიერ დაყენებული ეს წინადადება მარტო ჩვენი მოსაზრება არ არის. იგი იმდენჯერ და იმდენი ქართველი მეცნიერის მიერ იქნა დაყენებული, რომ უკვე ძნელია იმის თქმა, ვინ იყო მისი პირველაღმომჩენი. მათი წინადადებები, ისევე როგორც ჩვენი, ეყრდნობა ნაკლებშემოსავლიანი გადამხდელების სრულიად სამართლიან პრე-

ტენზიას იმის შესახებ, რომ ისინი უნდა იხდიდნენ უფრო ნაკლებ გადასახადს, ვიდრე იხდიან მაღალშემოსავლიანები. მაგალითად, პროფესორ ნ. ბაკაშვილის აზრით, „გადამხდელებს შორის გადასახადი ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ ამოღებული გადასახადის სიდიდე შეესაბამებოდეს მათ შემოსავალს“ [ბაკაშვილი, 2014: 42]. პროფესორების ე. ბარათაშვილის და ა. აბრალავას აზრით, „პროგრესულმა გადასახადმა შეიძლება შეამციროს უთანასწორობა. გადასახადი რაც უფრო პროგრესირებადია, მით უფრო სწრაფად მცირდება უთანასწორობა“ [ბარათაშვილი, აბრალავა, 2016: 35]. პროფესორმა დ. კბილაძემ რომელმაც სპეციალურად გამოიკვლია როგორც მოგების, ქონების და საშემოსავლო გადასახადების „სიმძიმე“ სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანებისთვის, გააკეთა ასეთი დასკვნა: „არ შეიძლება სხვადასხვა შემოსავლის მქონე პირები იბეგრებოდნენ თანაბარი საპროცენტო განაკვეთით. დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლა მრავალმხრივ სასარგებლოა საქართველოსთვის“ [კბილაძე, 2014: 108]. პროფესორი რ. კაკულიას აზრით, „საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგადასახადო სისტემა მაშინ ფუნქციონირებს ოპტიმალურად, როდესაც მისი პრინციპები აგებულია სამართლიანობაზე, თანასწორობაზე, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, სიმარტივესა და განსაზღვრულობაზე“ [კაკულია, 2003: 399]. მსგავსი აზრები აქვთ გამოთქმული ცნობილ ქართველ მეცნიერებს ვლ. პაპავას, გ. ცაავას, რ. ასათიანს, ი. მესხიას, ო. ნიკოლაიშვილს, ე. ჯულაყიძეს, ს. სვანიძეს, ზ. ღუდუშაურს და სხვებს.

საგადასახადო სისტემაზე ეს შეხედულებები აქვთ არა მხოლოდ ქართველ მეცნიერებს, არამედ, უცხოელებსაც. მაგალითად, მეცნიერი ლ. იაკობსონი საგადასახადო სისტემის პრინციპების ჩამოთვლას გადასახადების თანასწორობით იწყებს [Якобсон, 1996: 129], მეცნიერი დ. ჩერნიკი - სამართლიანობით [Черник, 1997: 34-35], მეცნიერი ჯ. სტიგლიცი საგადასახადო სისტემის ხუთ პრინციპს შორის მეხუთე პრინციპად სამართლიანობას ასახელებს [Стиглиц, 1998: 369] და ა. შ. მეტიც, თვით ადამ სმიტი, რომელმაც საბაზრო ეკონომიკის რეგულირება ბაზრის „უჩინარ ხელს“ მიანდო, საგადასახადო პრიციპების თავის ჩამონათვალში სამართლიანობას და ტოლდიდ დასაბეგრ ობიექტებზე თანაბარი გადასახადების დაწესებას, სათანადო ადგილი დაუთმო.

ასე რომ, ჩვენ რაიმე ახალი არ აღმოგვიჩენია. საქართველოს საგადასახადო სისტემაში თანასწორობის ანუ სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებაზე ყურადღების გამახვილებით, ჩვენ მხოლოდ შევახსენებთ საქართველოს მთავრობას, კერძოდ, მის კანონშემომქმედ სტრუქტურებს, რომ თანასწორობის და სამართლიანობის საკითხი ყველა ეპოქაში მნიშვნელოვანი იყო. გადასახადის გადამხდელი ყოველთვის პარალელს ავლებს სხვაზე და, როცა უსამართლობას შენიშნავს, იგი უნდობლობას უცხადებს ქვეყნის მთავრობას. სწორედ ეს მდგომარეობაა დღეს საქართველოში. ამასთან, საქართველოს სწრაფვა ევროპისკენ და ევროპულ ფასეულობებთან ჰარმონიზაცია სხვა დანარჩენთან ერთად ევროპასთან საგადასახადო სისტემის თავსებადობასაც გვავალებს. ასეთ დროს, მთელ ევროპაში პროგრესული ანუ თანაბარპროპორციული საგადასახადო სისტემაა დამკვიდრებული, საქართველოში კი პროპორციული, ანუ უთანასწორობაზე დაფუძნებული.

ორი აზრი არ არის იმაში, რომ საქართველო ცდილობს შევიდეს ევროკავშირში, ამის მისაღწევად მან მათი მრავალი მოთხოვნა უნდა შეასრულოს. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა არის გადასახადების ჰარმონიზაცია. მართალია, ევროპის ერთიან აქტში არ არის „საგადასახადო ჰარმონიზაცია“ განმარტებული, მაგრამ, მისი ზოგადი შინაარსი ნიშნავს არა გადასახადის განაკვეთების უნიფიკაციას, არამედ, დაბეგვრის ერთნაირი წესით განხორციელებას. პროგრესული დაბეგვრაც და პროპორციული დაბეგვრაც დაბეგვრის წესებია და რადგან ევროპაში პროგრესული დაბეგვრა გამოიყენება, ასევე, უნდა მოხდეს საქართველოშიც.

მართალია საქართველო ჯერ-ჯერობით არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ რადგან იგი ამისთვის ემზადება, სხვა მრავალ ღონისძიების გატარებასთან ერთად, დაბეგვრის რეჟიმის ჰარმონიზაციაც უნდა მოახდინოს, ანუ ქვეყანა უნდა გადავიდეს დაბეგვრის პროგრესულ სისტემაზე.

თუ საქართველოს მთავრობამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, იგი ცხადია, გავრცელდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონზეც. ეს იქნება ერთი კარგი ნაბიჯი მთლიანად საქართველოს და მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების გზაზე.

ამის გარდა, ვფიქრობთ, საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში, რომელთა რიცხვს სამცხე-ჯავახეთიც მიეკუთვნება, ბიზნეს-ინკუბატორების ბაზაზე გახსნილ

საწარმოებისთვის, რომლებსაც ღარიბები გახსნიან, საჭირო იქნება შემუშავდეს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი.

მოსახლეობაში ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად ზოგიერთმა ქვეყნებმა მდიდრებზე ე. წ. „ფუფუნების გადასახადიც“ კი შემოიღეს. ასეთი გადასახადის შემოღება საქართველოსთვის (მ. შ. სამცხე-ჯავახეთისთვის) ნაადრევია, რადგან ქართველი მდიდრები ჯერ-ჯერობით ფუფუნებით არ ცხოვრობენ. ჩვენ ვაყენებთ მხოლოდ იმ წინადადებას, რომ საქართველოში შემოღებული იყოს საშემოსავლო გადასახადის, მოგების და ქონების გადასახადების პროგრესული ფორმები, ხოლო ღარიბების მიერ გახსნილ საწარმოები შეღავათით დაიბეგრონ. ამის გარდა, ჩვენი წინადადებაა რომ, ქვეყანაში და მათ შორის სამცხე-ჯავახეთში ამუშავდეს საშემოსავლო გადასახადის შემდეგი დიფერენცირებული შკალა (იხ. ცხრილი 36). ეს შკალა, რა თქმა უნდა, ამუშავდება სამცხე-ჯავახეთშიც, მაგრამ, რადგან სამცხე-ჯავახეთი დეპრესირებული რეგიონია, რომელიც კიდევ უფრო ღარიბია, ვიდრე საშუალოდ საქართველო მის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა საგანგაშოდ მაღალია, ჩვენ საჭიროდ ვთვლით რეგიონის მოსახლეობა დაიყოს 10 სტატუსად და თითოეულ სტატუსს დაუწესდეს საგადასახადო კოეფიციენტი, რომელზე შემოსავლის გაყოფითაც ადამიანს (ოჯახს) დაუდგინდება საშემოსავლო გადასახადის სიდიდე.

ცხრილი 38

პროგრესული საშემოსავლო გადასახადის რეკომენდებული შკალა

თვიური შემოსავალი, ლარი	საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი (%)	გადასახადის თანხა, ლარი
500 ლარამდე	დაუბეგრავი შემოსავალი	-
500-1000 ლარამდე	10%	50
1001-1500 ლარამდე	1000-მდე 10%, 1000-ზე ზევით 12%	160
1501-2000 ლარამდე	1500 ლარამდე 12%, 1500-ზე ზევით 14%	250
2001-3000 ლარამდე	2000 ლარამდე 14%, 2000-ზე ზევით 16%	440
3001-5000 ლარამდე	3000 ლარამდე 16%, 3000-ზე ზევით 18%	840
5001-7000 ლარამდე	5000 ლარამდე 18%, 5000-ზე ზევით 20%	1300
7001-10 000 ლარამდე	7000 ლარამდე 20%, 75000-ზე ზევით 25%	2150
10 0001-15 000 ლარამდე	10 000 ლარამდე 25%, 10 000-ზე ზევით 30%	4000
15 000 ლარი და მეტი	15 000 ლარამდე 30%, 15 000-ზე ზევით 40%	4500 და მეტი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საკუთარი დაკვირვების შედეგად

ჩვენი თვალთახედვით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის ეს სტატუსები და საგადასახადო კოეფიციენტები შემდეგი სახის უნდა იყოს (ცხრილი 38).

ცხრილი 39

გადასახადის გადამხდელთა რეკომენდებული სტატუსები და საგადასახადო კოეფიციენტებისამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში

სტატუსის #	სტატუსის დასახელება	საგადასახადაო კოეფიციენტი
1	მარტოხელა პირი და დაქორწინებული წყვილი, რომელთაც არ ჰყავთ კმაყოფაზე არავინ	1,0
2	მარტოხელა პირი და დაქორწინებული წყვილი, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ ერთი პირი	2.0
3	მარტოხელა პირი და დაქორწინებული წყვილი, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ ორი პირი	3.0
4	მარტოხელა პირი და დაქორწინებული წყვილი, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ სამი ან ოთხი პირი	4.0
5	მარტოხელა პირი და დაქორწინებული წყვილი, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ ხუთი და მეტი პირი	5.0

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საკუთარი დაკვირვების შედეგად

აღნიშნულ ცხრილში მოცემული კოეფციენტების გამოყენება შემდეგნაირად მოხდება:

მაგალითად, თუ გადასახადის გადამხდელი პირველი სტატუსის მქონეა, და მისი შემოსავალი არის 900 ლარი, კოეფიციენტი 1,0 ნიშნავს, იმას, რომ მან მისი 10%, ანუ 90 ლარი უნდა გადაიხადოს (900/1*100)*10=90 ლარი.

თუ გადასახადის გადამხდელი მეორე სტატუსის მქონეა, აქვს იგივე 900 ლარი ხელფასი, მაშინ, მან უნდა გადაიხადოს არა 90 ლარი, არამედ, (900/2*100)*10=45 ლარი.

თუ გადასახადის გადამხდელი მესამე სტატუსის მქონეა, და შემოსავალი აქვს იგივე 900 ლარი, მაშინ, მას მოუწევს საშემოსავლო გადასახადად გადაიხადოს (900/3*100)*10=30 ლარი.

ამ წესით გამოითვლება ყველა დანარჩენი სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელების საშემოსავლო გადასახადები.

ჩვენი აზრით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ასეთი შკალის შემოღება სამართლიანიც იქნება, მოსახლეობისთვის მისაღებიც და რაც მთავარია მისი და-ნერგვით რეგიონში შემცირდება შემოსავლების უთანაბრო განაწილება.

რაც შეეხება მოგების გადასახადს, რომელიც ამჟამად 15%-ია საქართველოში, საჭიროა მისი ადგილიც პროგრესული მოგების გადასახდმა დაიკავოს. დღეის მდგო-მარეობით 30 000 ლარის წლიური ბრუნვის მქონე საწარმოები განთავისუფლებული არიან გადასახადისგან, ხოლო 100 000 ლარი ბრუნვის სტატუსმინიჭებული მცირე

საწარმოები იხდიან 1%-ს. ჩვენი აზრით, ეს 1%-იანი დაბეგვრა უნდა გავრცელდეს ყველა 100 000 ლარის ბრუნვის მქონე მცირე საწარმოზე, იმისგან განურჩევლად, აქვს თუ არა მას მცირე მეწარმის სტატუსი (მთავრობის დადგენილებით, მცირე საწარმოს სტატუსი მხოლოდ საქმიანობის რამდენიმე პროფილზეა გავრცელებული).

მოგების გადასახადის განაკვეთი რანჟირებული უნდა იქნეს საშუალო და მსხვილ საწარმოთა შორისაც. სასურველია, საშუალო სიდიდის საწარმოებს დაუდგინდეთ მოგების 10%, მსხვილ საწარმოებს - 20%, ზემსხვილ საწარმოებს - 30%.

რაც შეეხება ქონების გადასახადს, იგი ადგილობრივი გადასახადია, და, ჩვენი აზრით, მის სიდიდეს ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლება, ჩვენს შემთხვევაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები უნდა ადგენდნენ.

დასკვნა

სადისერტაციო თემის - **„მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანაბრობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და მისი შემცირების გზები“** - დამუშავებით ჩამოვაყალიბეთ შემდეგი შემაჯამებელი დასკვნები:

1. მეცნიერებს თითქმის ერთნაირი აზრი აქვთ მოსახლეობაში შემოსავლების უთანასწორო განაწილების მიზეზებში. ამ მიზეზების როლში ისინი ასახელებენ განსხვავებულ უნარებს და შესაძლებლობებს, ქონების ფლობას, პროფესიულ გემოვნებას, განსხვავებულგანათლებას, იღბალს, კავშირებს და ა. შ.

2. ურთიერთსაწინააღმდეგოა მათი მოსაზრებები უთანასწორობის დადებით და უარყოფით მხარეებზე. უთანასწორობის მომხრეები (ე. ლაზეარი, ს. როზენი და სხვები) ასაბუთებენ, რომ მისი გარკვეული დონე არ არის პრობლემა, რადგან ის არის მოტივაცია ადამიანებისთვის უკეთესი შედეგის მისაღწევად. თანასწორი განაწილების მომხრეების (ჯ. სტიგლიცი და სხვები) აზრით უთანასწორობა „არ ქმნის სწორ მოტივაციას. ასეთმა ადამიანებმა შეიძლება დაკარგონ რწმენა“. ასე რომ უთანასწორობა-თანასწორობის პრობლემა დღეს საკამათო საკითხია.

3. შემოსავლების უთანასწორო განაწილება იწვევს მოსახლეობის სიღარიბეს. მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. სიღარიბე კი არის განათლებაში და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში უთანაბრობის საფუძველი. ღარიბ მოსახლეობას

არც ხარისხიან განათლებაზე მიუწვდება ხელი და არც ხარისხიან სამედიცინო მომსახურების მიღებაზე.

4. შემოსავლების უთანასწორო განაწილებას ერთერთი მიზეზთაგანია უმუშევრების სოციალური დაცვის სისიტემის ღონისძიებების არ არსებობა. საქართველოში არაა უმუშევრობის დაზღვევის სისტემა, რომელიც სამუშაოდან დათხოვნილ პირს გარკვეული დროით უზრუნველყოფს დახმარებით.

5. შემოსავლების უთანასწორო განაწილებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დახმარების მოქმედი პროგრამის განხორციელება, რომლის გაანგარიშების დროსაც ბალური შეფასების პირობებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა აქტივების ფლობას, არამედ ოჯახში შრომისუუნაროთა რაოდენობას.

ჩვენი აზრით უთანასწორობის დარეგულირებაში ცალსახად სოციალური დახმარებებით არ უნდა მოხდეს მათი „განებივრება“, უკეთესია მოხდეს მათი მცირე და ინკლუზიურ ბიზნესში ჩართვა.

6. უთანასწორობა მსოფლიო პრობლემაა. სავალუტო ფონდის გამოკლვევით გლობალური უთანასწორობა მსოფლიოში 0,55-დან 0,70-მდე ფარგლებში მერყეობს. გლობალურად ყველაზე მეტად გაზრდილია საშუალო კლასის და უმდიდრესი ადამიანების ზედა 1%-ის შემოსავალი, თუმცა, მთლიანად საშუალო კლასის შემოსავლები შემცირებულია.

7. სავალუტო ფონდმა ასევე დაადგინა უკუპროპორციული დამოკიდებულება მდიდართა კლასის ზედა 20%-ის შემოსავლების წილსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუ ამ კლასის შემოსავლების წილი იზრდება 1%-ით, მაშინ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებელი ფაქტობრივად 0,80%-ით კლებულობს, ღარიბთა კლასის ქვედა 20%-ის შემოსავლების მსგავსი ზრდა (ე. ი. 1%-ით წილის ზრდა) კი განაპირობებს 0,38-ით უფრო მაღალ მთლიან შიდა პროდუქტს.

ჩვენი აზრით, სავალუტო ფონდის კვლევით გაკეთებული ეს დასკვნა საქართველოს და მისი რეგიონების ადგილობრივმა მმართველობებმა ეკონომიკური ზრდის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინონ.

8. საქართველო ღარიბი ქვეყანაა. 2019 წლის მონაცემებით მედიანური მოხმარების (288,2 ლარი) 60%-ის ქვევით ცხოვრობს მოსახლეობის 20,1% (ანუ 748400 კაცი), 40%-ის ქვევით 7,4% (ანუ 275540). პირველი თვეში ხარჯავს 173 ლარს (ანუ დღეში 5,6 ლარს), მეორე თვეში 108,1 ლარს (ანუ დღეში 3,8 ლარს). ორივე ეს ფენა სიღარიბის ზღურბლის (2 დოლარი დღეში) ქვევითაა.

9. შემოსავლებში მოსახლეობის უთანასწორობა (ანუ ჯინის კოეფიციენტი) საქართველოში 2019 წელს შეადგენდა: მთლიანი შემოსავლების მიხედვით - 0,39-ს, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით - 0,37-ს მთლიანი ხარჯების მიხედვით 0,43-ს. სამივე ეს მაჩვენებელი 2010 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია, თუმცა, არასაკმარისად, რადგან მაინც ახლოსაა ჯინის კოეფიციენტის კრიტიკულ ზღვართან (0,41-0,46).

10. მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობის საშუალო კოეფიციენტი ჩვენი გაანგარიშებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არის 0,49, სულადობრივი თვიური შემოსავალი 285,4 ლარი (2018 წელი) ანუ 32,9 ლარით ნაკლები საქართველოს საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 397,1 ლარით მცირეა მეწარმეობაში დასაქმებულის საშუალოთვიური ხელფასიც.

11. რეგიონის მთელი მოსახლეობიდან (155,6 ათასი) 2019 წელს მხოლოდ 14006 ანუ 9%-ია დასაქმებული მეწარმოებაში (საქართველოში საშუალოდ 19%). ამის მიზეზი ის არის, რომ რეგიონში ნაკლებადაა განვითარებული ბიზნესი. ყოველ 1 კვ. კილომეტრზე სამეწარმეო სუბიექტთა რაოდენობა არის მხლოდ სამი ერთეული, საქართველოში კი - 9,8 ერთეული. ამას, თავის მხრივ, მოსახლეობაში ბიზნესის არცოდნა განაპირობებს.

12. გამოკვლევით დავადგინეთ, რომ შემოსავლებში ეკონომიკური უთანასწორობა უფრო ღრმა არის ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, მაგალითად, ახალციხის მოსახლეობაში ჯინის კოეფიციენტი 0,41-ს შეადგენს, ადიგენში იგი - 0,52-ია, ნინოწმინდაში - 0,56 და ა. შ.

13. გამოკვლევით ასევე დავადგინეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის მზაობა ემიგრაციაში წასასვლელად. გამოკითხულ რესპოდენტთა საშუალოდ 80%-მა განაცხადა, რომ უმუშევრობის და სიღარიბის გამო, ეხლავე მზად არის საზღვარგარეთ სამუშაოთ წასასვლელად. ეს განცხადება შემაშფოთებელია თუნდაც იმის გამო,

რომ თუ რეგიონში არ შეიქმნება მოსახლეობის დასაქმების სათანადო პირობები, ეს მხარე ნამდვილად დაიცლება მოსახლეობისგან.

რეგიონში არსებული ვითარების გამოსასწორებლად ჩვენ შევიმუშავეთ და ნაშრომში წარმოვადგინეთ **რამდენიმე რეკომენდაცია:**

1. რეგიონში საჭიროა განვითარდეს ინკლუზიური ბიზნესი. ეს არის ბიზნესი მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, ღარიბების მასიური ჩართულობით. ამ ღონისძიების გატარება მეთოდურადაც და ფინანსურადაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობამ თავის თავზე უნდა აიღონ. ამისათვის მათ უნდა გახსნან ბიზნეს-ინკუბატორები და იქ, ღარიბი ოჯახის ახალგაზრდა, უნარიან წევრებს ასწავლონ ბიზნესი. სწორედ განვითარებულ ქვეყნებში მცირე და ინკლუზიურ ბიზნესზე მოდის სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი წილი და იგი საშუალო ფენის ფორმირების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, მიღწეული იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის კლება.

მათთვის ამის ნიმუშად ნაშრომში შევიმუშავეთ და წარმოვადგინეთ ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ 10-მოსწავლე-კანდიდატზე ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების მოდელი (ხარჯების და შემოსავლების გამოანგარიშებით).

2. დავასაბუთეთ ქვეყანაში არსებული პროპორციული საგადასახადო სისტემის ნაცვლად, პროგრესული სისტემის შემოღება, რომელიც, რა თქმა უნდა, გავრცელდება სამცხე-ჯავახეთზეც. მოცემულ შემთხვევაშიც შევიმუშავეთ და წარმოვადგინეთ საშემოსავლო გადასახადის რანჟირებული შკალა, რომელიც იწყება 10%-ით და მთავრდება 40%-ით.

3. ამის გარდა, სპეციალურად სამცხე-ჯავახეთის როგორც დეპრესირებული რეგიონისთვის, შევიმუშავეთ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა (მარტოხელები, წყვილები) 5 სტატუსი და 5 საგადასახადო განაკვეთი. მისი გამოყენებით ნაკლებად დაიბეგრებიან ის ადამიანები, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ ერთი და მეტი ადამიანი.

4. დავაყენეთ მთლიანად საქართველოში და მათ შორის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ხელფასის მინიმალური განაკვეთის და დასაქმებულ ფიზიკურ პირთა დაუბეგრავი შემოსავლის მოცულობის დაკანონების წინადადება. ამ უკანასკნელის სიდიდეთ მივიჩნიეთ 500 ლარი.

ჩვენი ღრმა რწმენით, როგორც პროგრესული გადასახადის შემოღება, ისე ბიზნეს-ინკუბატორებში ღარიბ ახალგაზრდობისთვის ბიზნეს-განათლების გადაცემა, რომლის შედეგი იქნება მათ მიერ ბიზნესის დაწყება, გაუზარდის მათ შემოსავლებს, რაც საბოლოო ჯამში, გამოიწვევს რეგიონის მოსახლეობაში შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერთა აკადემიის შრომები, 11, თბ., 2013.
2. **ასათიანი რ.** მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები 11, თბ., 2013.
3. **ბაკაშვილი ნ.** საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაციის პრობლემები, თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“, შრომების კრებული, თბ., 2014.
4. **ბალარჯიშვილი ი.** ელიტების ქცევა და არაფორმალური ინსტიტუციონალიზაცია, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3, 2017.
5. **ბარათაშვილი ე., აბრალავა ა.** და სხვები. გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა. მონოგრაფია. თბ., 2016.
6. **გაბიძაშვილი ბ.** სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ., 2007.
7. **გაბიძაშვილი ბ.** სტატისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.
8. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 იანვარი, 2019.
9. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 17.07.2017.
10. **გვიშიანი ზ.** ეკონომიკის შესავალი, თბ., 2011.
11. ეკონომიკური თეორია, **გ. ადეიშვილის** და **რ. ასათიანის** რედაქციით, თბ., 1998.
12. **ვანიშვილი მ., ჭიკაძე ნ., ვანიშვილი ნ.** სოციალური ეკონომიკა, თბ., 2015.
13. **ვერულავა თ., გაბულდანი მ.,** გადაუდებელი დაავადებების ფინანსური ხელმისაწვდომობა საქართველოში, ჟ. „ბიზნესი და ეკონომიკა“, ტ. 8, #1, თბ., 2015.
14. **თოდუა ხ.** მოსახლეობის შემოსავლების დონის სტაბილიზაციის უცხოური გამოცდილება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ - მასალების კრებული, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2016.

15. **თუთბერიძე...,** 2016 2 - თუთბერიძე, გ.; ფიფია, ქ.; რაქვიაშვილი, გ.; კუნჭულია, პ. მოსახლეობის მიგრაციის გრავიტაციული მოდელების შესახებ. გლობალიზაცია და ბიზნესი, ტ. 1, გვ. 53-59, 2016.
16. **კაკულია რ.** საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიის და პრაქტიკის პრობ-ლემები, თბ., 2003.
17. **კახნიაშვილი ჯ.** მაკროეკონომიკა, თბ., 1996.
18. **კბილაძე თ.** დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლის მიზანშეწონილობა საქართველოში, თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო-პარქტიკული კონფერენცია - თანამედროვე ბიზნესში: სიახლეები, პრობლემები, შრომების კრებული, თბ., 2014.
19. **ლემონჯავა პ., აბრალავა ა.** ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009.
20. **მაკალათია ი.** საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა, დისერტაცია, 2014.
21. **მალაშხია გ.** სიმდიდრის სიკეთის პოტენციალი და საყოველთაო კეთილდღეობა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერთა აკადემია, შრომები 10, თბ., 2012.
22. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2019, გვ. 70.
23. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2013.
24. **ოთინაშვილი რ.** ეკონომიკური უსაფრთხოება, თბ., 2005.
25. **ოთინაშვილი რ.** საქართველოს ეკონომიკა, თბ, შპს „დანი“, 2010.
26. **ოთინაშვილი რ.,იაშვილი მ.** მცირე ბიზნესის მდგომარეობა ზოგიერთ განვითა-რებულ ქვეყნებში, ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, #1, 2017.
27. **პაპაშვილი გ.** ბიზნესის განვითარების ტენდენციების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში, დისერტაცია, თბ., 2018.
28. **პაპავა ვლ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, 2002.
29. **სართანია ვ.** განათლების რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, საქართ-ველოს ეკონომიკური მეცნიერთა აკადემია, შრომები 11, თბ., 2013.
30. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2019.
31. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო - 2020“, „საქართველოს მთავრობა“, თბ., 2013.

32. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2018.
33. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2019.
34. საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტი.
35. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბ., 2014.
36. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულები, თბ., 2011, 2013, 2015, 2016, 2017, 2018, 2019.
37. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი განვითარების სტრატეგია 2014-2021 წ.წ. თბ., 2013.
38. **სილაგაძე ა., მექვაბიშვილი ე., კახნიაშვილი ჯ.** მიკროეკონომიქსი, თბ., 2006.
39. **ღუდუშაური ზ.** და სხვები, საქართველოს რეგიონში ბიზნეს-ინკუბატორებს ქსელის ფორმირების და განვითარებისთვის, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, #3, 2004., გვ. 23.
40. **ცარციძე მ.** შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები - 10, „სიახლე“, თბ., 2012.
41. **ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ.** და სხვები, მიკროეკონომიკა, თბ., 2007.
42. **ხაბელაშვილი თ.,** საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივები, დისერტაცია, თბ., 2018.
43. **ჯოლია გ.** კრეატული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, მონოგრაფია, თბ., 2016.
44. Бизнес-инкубаторь в системе поддержки малого бизнеса, М., 2011.
45. Доклад о развитии человека, М., 2009.
46. **Кемпел Р. Макконели, Стенли Брю,** Экономикс, М., 1992.
47. **Кумбс Ф.,** 1970, Кризис образования в современном мире: ситемный анализ, пер. с англ., М., «Прогрес».
48. **Меквабишвили Э.** «Блеск и нищета авторитарного механизма: Опыт Грузии. Общественные науки: электронный научн. журн., №3(33), 2017.
49. Мир В 2050 году, 2012, под ред. Д. Франклина и Д. Эндрюса, М., ЭКСМО, გვ. 153.
50. **Стиглиц Дж.** /кономика государственного сектора, М., 1998.
51. **Тодаро П.** Экономическое развитие, М., ЮНИТИ, 1997.

52. **Черник Д.** Налоги рыночной экономики, М., 1997.
53. Экономическая статистика, под ред. **Ю. Иванова,** М., «ИНФРА-М», 1999.
54. **Эдвин Дж. Долан, Дейвид Линдсей.** Рынок: микроэкономическая модель, Санкт-Петербург, 1992.
55. **Якобсон Д.** Экономика обшественного сектора, М., 1996.
56. Налоговые системы зарубежных стран, М., 2007.
57. **Abgus Deaton.** „COVID-19“ and Global Income Inequality. Working Paper 28392. http://www.ober.org/popers/w28392/National Bureau of Economic Research, Cambridge, Ma 02138, February 2021.
58. **Actmoglu, Jonson and Robinson** (2001), The Cplpnial Origins of Comparative Development: An Empirical Investigation, American Economic review, 9(5): 1369-1401.
59. **Amartea sen.** A world of Extremes: Ten Theses on Globalization. Los-Angeles times, July 17, 2001.
60. **Clark, Conchita d'Ambrosio, Anthony Lepineur.** The Fall Income Inequality during „COVID-19“ in five Europen countries. 2021. Mart.
61. **Alvaredo F., Atkinson B., Piketty T., Saez E.,** 2013. "The Top 1-perscent in International and Historikal Perspective". NBER Working Paper 19075, National Bureau of Economic Besearch, Gambridge, Massachusetts.
62. **Atkinson A., Piketty T., and Saez E.,** 2011. Top Incomes in the Lang Run of History". Journal of Economic Literature 49(1):3-31.
63. **Autor D.,** 2014. "Skills, Education, and the Rise of Earnings Inequality Amang the'Other 99 Percent". Science 344:843-51.
64. **Bernanke B.** 2011. "Global Imbalabnses: Links to Economic and Financial Stability, Speect of the Banque de France Financial Stability Review Launch Event, Paris, France, February 18.
65. **Barro R.** 2000. Inequality and Gramth in a Papel of Countries. Journal of Economic Grouth. 5(4): 5-32.
66. **Brightman C.,** 2014. "The Profits Bubble". Research Affiliates, Newport Beach, California.
67. Costello_Climent A. and Donenech R, 2014, "Capital and Income Inequality Some Facts Some".

68. **Calor O., Moav O.,** 2004. Physical to Human Capital Accumulation: Inequality and the process of Development". Review of Economice studies 74(4): 1001-26.
69. **Corak M.,** 2013. "Income Inequality, Equality of Opportunity and Intergenerational Mobility". Journal of Economic Perspectives. 27(3): 79-102.
70. **Duclos J., Esteban J., and Ray D.,** 2004. Polarization: Concepts, Estimation", Econometrika 72(6):737-72.
71. Epa Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Nuji Suphap-hiphot, Frantisek Ricka, Euridik; Tsounta, Causes and Consequences of Income Inequality: A Global Penpective, International Monetary Fund, June, 2015. http://www.inf.org/external/pubs/ft/sdn/2015/sdn1513.pdf
72. EU commission (2011). Report re the consultation on the EU Green Paper |Eu development policy in support of inclusive growth and sustainable development – Increasing the impact of EU development policy.
73. **Fuetes Nieva R., and Calasco N.** 2014. "Working for the Few-Political Capture and Economic Inequality".
74. **Hairong W.,** 2014. "The Wealthy Get Wealtier: Increasing Wealth Disparity in China Calls for Government Action". Beijing Review 42.
75. **Hall, Robert Charles** Jones, 1999, "Why Do Some Countries Produce So Much Mome Output Per Worker than Others? Quarterly Journal of Productivity Growth" FIB Papers 16:1.
76. **Joan Spero** and Laure D'Andrea Tayson, New World, New Deal, Foraign Affairs (March-April), 2000.
77. **Krugman P.** 2014. "Why We Taik about the one Percent". New-York Times, Januapy, 17.
78. **Lazear E., Rosen S.,** 1981, "Rank_Prder Toirnaments as Optimum Labor Contracts". Journal of Political Economy-89(5): 841-864.
79. **Lichbach M.,** 1989. "An Evaluation of Does Economic Inequality Breed Political Conflict? Studies" World Politics 41(4): 431-70.
80. **Langovas P.** (2013). Do Busuness Incubators and Technoparks affects regional development? http://www.ub.edu/searchnpoject/wp-contet/uploads/2013/ol/wp-4.s.pdf

81. **Murray C., Lopez A., and Alvarado M.,** 2013. "The State of US Heanlth, 1990-2000: Burden of Diseases, Injuries, and Risk Factors". The journal of the American Medical Association 310(6):591-606.
82. **Milanovic B.** 2013. "Global Income Inequality by the Numbersi in History and Now. Global Policy 4(2): 198-208.
83. **Ostry J., Verg A.,** and **Tsangouides C.** 2014. "Rodistribution, Inequality and Growth, IMF Staff Discussion Note 14/02, International Monetary Fand, Washington.
84. **Piketti T.,** 2014. Capital in the Twety-furst century. Cambridge, Massachusetts, Harvard university Press.
85. (OECD) Organisation for Economic Co-operation and development 2011. Divided We Stand:Why Inequality Keeps Rising. Paris: OECD Publishing.
86. Palavinel, UNOP, T. (2011), Consultation on Conceptualizating Inclusive Growth: Retrieved from http://www.undp.org/content/dam/india/docs/consultation_on_conceptualizating_inclusive_growth.pdf.
87. PRC – 2014.
88. **Roine J. J. and Waldenstrom D.,** 2009. The Kong-Rum Determinants of Inequality: What Can We Learn from Top Income Data? Journal of Public Economics 93(7/8): 974-88.
89. **Rutman R.,** 2000. Bowling Alone. The Callapse and Revival of American Community New-York. Simon & Schuster.
90. **Rawls J.,** 1971, A Theory of Justice. Cambridge, Massachusetts: Harvard university Press.
91. www.geostat.ge
92. newspaper.isu.ge.08.05.2020.
93. www.iverioni.com.ge.05.05.2020.
94. **Stiglitz J.,** 2012. The Price of Intequality: How Todays divided sociality Endongers Our Future. New-York: www.Norton.
95. **Solt Database,** World Bank? UNU-WIDER WORLD Income Inequality Database, and IMF staff calculations.
96. World emploumens social outlook, 2010, p. 40.

97. **Zhang W., Vakulabharanam V.,** 2010. Wealth Inequalite, China and Indian". Working Paper, The New School, New-York.
98. http://data.worldbank.org/indicator/, მსოფლიო ბანკი, 2016.
99. http://data.worldbank.org/indicator/, მსოფლიო ბანკი, 2016.
100. http://www.bridge./org.ge.ka
101. www.bata.worldbank.org
102. http://pbo.parlament.ge
103. http://geoeconomics.ge/
104. https://www.economist.com/business

ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან
შერჩეულ რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები (%%-ში)

	სულ გამოკითხულთა შედეგები											
	ახალციხე - 100 კაცი		ადიგენი - 60 კაცი		ასპინძა - 50 კაცი		ბორჯომი - 90 კაცი		ახალქალაქი - 90 კაცი		ნინოწმინდა - 50 კაცი	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1. სწავლობთ თუ მუშაობთ?												
ა) ვსწავლობ	18	18	12	20	8	16	12	13	14	15	10	20
ბ) ვმუშაობ	26	26	9	15	7	14	21	24	20	23	6	12
გ) არ ვმუშაობ	46	46	35	58	23	46	32	35	39	43	22	44
დ) პენსიონერი ვარ	10	10	4	7	12	24	25	28	17	19	12	24
2. რა გაქვთ დამთავრებული?												
ა) საშუალო სკოლა	13	13	30	5,0	22	44	35	39	54	60	20	40
ბ) კოლეჯი (ტექნიკუმი)	2	2	-	-	2	4	17	19	9	10	6	12
გ) უმაღლესი სასწავლებელი	85	85	30	50	26	52	38	42	24	30	24	48
3. თქვენი პროფესიით მუშაობთ თუ არა?												
ა) კი	9	33	9	100	-	-	10	47	9	43	4	64
ბ) არა	17	67	-	-	7	100	11	43	11	47	2	36
4. საბჭოთა პერიოდში უკეთ ცხოვრობდით თუ ამჟამად?												
ა) საბჭოთა პერიოდში	81	81	58	97	50	100	40	44	5	5	47	96
ბ) ამჟამად	-	-	2	3	-	-	50	56	85	95	1	1
გ) მაშინაც ღარიბი ვიყავი	19	19	-	-	-	-	-	-	-	-	2	3
5. თუ თქვენ ღარიბი ხართ გაღიზიანებთ სხვისი სიმდიდრე?												
ა) კი	21	21	-	-	2	5	-	-	6	7	3	5
ბ) არა	68	68	57	95	46	90	90	100	65	72	41	83
გ) არც თუ ძალიან	11	11	3	5	2	5	-	-	19	21	6	12
6. რამდენია თქვენი შემოსავალი თვეში?												
ა) 300 ლარამდე	57	57	47	80	41	82	17	20	18	20	39	78

ბ) 500 ლარამდე	20	20	4	6	2	5	20	22	35	38	6	12
გ) 1000 ლარამდე	15	15	4	6	3	6	30	33	22	25	3	6
დ)1000 ლარზე მეტი	8	8	5	8	4	6	23	27	15	17	2	4
7. რამდენია თქვენს კმაყოფაზე ოჯახში?												
ა) მარტოხელა ვარ	5	5	-	-	-	-	2	2	4	4	3	6
ბ) ერთი	20	20	10	17	8	15	10	11	5	6	1	2
გ) ორი	9	9	8	13	5	10	17	19	18	20	10	20
დ) სამი და მეტი	66	66	42	70	38	75	61	68	63	70	36	72
8. რა აზრის ბრძანდებით არსებულ შემოსავლების უთანასწორობაზე?												
ა) უარყოფითი	87	87	60	100	37	80	58	65	90	100	41	83
ბ) ნაწილობრივ უარყოფითი	13	13	-	-	13	20	30	33	-	-	8	15
გ) დადებითი	-	-	-	-	-	-	2	2	-	-	1	2
9. მოგწონთ რომ ღარიბი მოსახლეობა ემიგრაციაში მიდის?												
ა) კი	43	43	30	50	10	20	18	20	-	-	9	17
ბ) არა	57	57	30	50	40	80	72	80	120	100	41	83
10. როგორ ფიქრობთ, სიღარიბის შესამცირებლად სახელმ-წიფო ძალისხმევაა საჭირო, თუ პირადად თქვენი?												
ა) სახელმწიფოსი	82	82	36	60	42	84	30	33	56	62	30	60
ბ) ჩემი	2	2	4	7	6	12	18	21	22	25	6	11
გ) ორივესი ერთად	16	16	20	33	2	4	42	46	12	13	14	29
11. თქვენს თავს თვლით:												
ა) ღარიბად	55	55	54	90	38	76	40	45	53	58	37	75
ბ) ღატაკად	-	-	1	1	2	-	-	-	-	-	5	10
გ) საშუალოდ	26	26	5	9	5	10	22	24	17	18	8	15
დ) შეძლებულად	12	12	-	-	5	10	20	22	11	12	-	-
ე) მდიდრად	7	7	-	-	-	-	8	9	9	10	-	-
12. სხვა შემოსავალიც გაქვთ?												
ა) კი	11	11	42	70	32	65	27	30	40	45	18	37
ბ) არა	89	89	18	30	18	35	63	70	50	55	32	63

13. თქვენ რომ მდიდარი იყოთ, გადაუნაწილებდით თქვენს შემოსავალს ღარიბებს?												
ა) არა	95	95	24	40	30	60	18	20	27	30	25	50
ბ) კი	-	-	9	15	-	-	9	10	18	20	4	7
გ) ნაწილობრივ	5	5	27	45	20	40	63	70	45	50	21	43
14. აკეთებთ თუ არა დანაზოგს ბანკში?												
ა) არა	55	55	58	97	47	95	49	54	50	55	44	94
ბ) ძალიან მცირეს	35	35	-	-	1	2	27	30	27	30	6	6
გ) კი (ქონების შესაძენად)	10	10	2	3	2	3	14	16	13	15	-	-
15. პირველადი მოხმარების საქონლის შესაძენად გყოფნით შემოსავალი?												
ა) არმყოფნის	67	67	42	70	40	80	36	40	40	45	38	75
ბ) მყოფნის	20	20	9	15	7	15	45	45	31	35	12	25
გ) შემიძლია სხვა საქონლის შეძენაც	13	13	9	15	3	5	14	15	18	20	-	-
16. გყოფნით შემოსავალი მიიღოთ კარგი განათლება?												
ა) არა	83	83	54	90	44	88	70	78	67	74	48	95
ბ) კი, მხოლოდ საქართველოში	10	10	6	10	6	12	18	20	18	20	2	5
გ) საკმარისია საზღვარგარეთ სწავლისთვისაც	6	6	-	-	-	-	2	2	5	5	-	-
17. გყოფნით შემოსავალი უმაღლესი დონის მედიკოსებთან სამკურნალოდ?												
ა) არა	78	78	54	90	38	77	67	75	70	77	43	85
ბ) მყოფნის	16	16	6	10	12	23	18	20	15	17	7	15
გ) ჭარბად მყოფნის თუნდაც საზღვარგარეთ	6	6	-	-	-	-	5	5	5	5	-	-
18. რამდენი გაქვთ სხვა შემოსავალი წელიწადში?												
ა) 5000 - 10000 ლარს	81	81	-	-	-	-	90	100	18	20	-	-
ბ) 10000 - 20000 ლარს	12	12	-	-	-	-	-	-	67	75	-	-
გ) 20000 ლარზე მეტს	6	6	-	-	-	-	-	-	5	5	-	-
19. გაქვთ თუ არა ბიზენსი ან თუ აპირებთ მის დაწყებას?												
ა) არ მაქვს და არც ვაპირებ	61	61	48	80	43	87	47	52	24	21	43	85
ბ) მაქვს	36	36	11	18	5	10	38	42	69	77	7	15

გ) მაქვს დიდი ბიზნესი	3	3	1	2	2	3	5	6	2	2	-	-
20. შვებულების დროს სად ისვენებთ?												
ა) სახლში	77	77	60	100	48	95	70	78	65	72	40	80
ბ) სოფელში	17	17	-	-	2	5	11	20	19	21	10	20
გ) საზღვარგარეთ (თურქეთი, ესპანეთი დასხვ.)	5	5	-	-	-	-	9	2	6	7	-	-

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საკუთარი გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დანართი 2

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მოსახლეობის მიგრაციული განწყობის კითხვა-პასუხები (%%-ში)[1]

#	**კითხვები:**	**გამოკითხულთა პასუხები**					
		ახალციხე	**ადიგენი**	**ასპინძა**	**ბორჯომი**	**ახალქალაქი**	**ნინოწმინდა**
1	**დაასახელეთ თქვენი ეროვნება**						
	ქართველი	69	98	100	97	11	7
	სომეხი	20	2	-	-	87	93
	ოსი	-	-	-	2	-	-
	რუსი	7	-	-	-	2	-
	სხვა დანარჩენი	4	-	-	1	-	-
2	**დაასახელეთ თქვენი ასაკი**						
	18-დან - 45 წლამდე	25	62	53	55	60	47
	46-დან - 60 წლამდე	35	11	14	20	7	25
	61-დან - 75 წლამდე	20	20	27	23	30	25
	75-ის ზევით	20	3	6	2	3	3
3	**როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?**						
	ქორწინებაში არ მყოფი	21	3	2	3	4	3
	დაოჯახებული	60	95	94	97	96	95
	განქორწინებული	19	2	4	-	-	2

[1] *გაანგარიშებულია ჩვენს მიერ.*

4	**ნამყოფი ხართ თუ არა ემიგრაციაში?**						
	კი	18	8	-	5	3	4
	არა	82	92	100	95	97	96
5	**აპირებთ თუ არა ემიგრაციაში წასვლას?**						
	კი	77	90	100	32	12	10
	ჯერ-ჯერობით არა	15	-	-	65	35	40
	საერთოდ არა	8	10	-	3	53	50
6	**რომელ ქვეყანაში გსურთ გამგზავრება?**						
	აშშ-ში	63	100	50	17	3	2
	ავსტრალიაში	6	-	-	-	-	-
	რუსეთში	25	-	-	30	85	98
	ევროკავშირის ქვეყნებში	6	-	50	53	-	-
	სხვა დანარჩენ ქვეყნებში	-	-	-	-	12	-
7	**რატომ მაინცდამაინც ამ ქვეყანაში გსურთ გამგზავრება?**						
	იქ არიან ჩემი ნათესავები	54	50	-	30	100	100
	იაფი ჯდება წასვლა	16	-	-	-	-	-
	ადვილია სამუშაოს შოვნა	20	-	-	70	-	-
	მაღალია შრომის ანაზღაურება	10	50	100	-	-	-
8	**როგორ მოახერხებთ წასვლის ორგანიზებას?**						
	ლეგალურად	-	-	-	-	2	5
	არალეგალურად	100	100	100	100	98	95
9	**რა წყაროთი შეძლებთ ხარჯების დაფინანსებას?**						
	სახლის გაყიდვით (დაგირავებით)	18	100	93	90	-	6
	უცხოეთიდან ნათესავების გზავნილებით	82	-	7	10	97	89
	დანაზოგებით	-	-	-	-	3	5
10	**რა არის მიზეზი ემირგაციაში წასვლის თქვენი მზადყოფნისა?**						
	განათლების მიღება	7	2	-	8	-	-
	სიღარიბე, უმუშევრობა	35	98	100	92	-	-
	იქ ცხოვრობენ ჩემი ოჯახის წევრები	54	-	-	-	100	100

11	**იცით თუ არა რომელიმე უცხო ენა?**						
	არა	60	100	100	95	75	80
	კი	40	-	-	5	25	20
12	**თუ უცხო ენა არ იცით, როგორ აპირებთ უცხოეთში დასაქმებას (სწავლებას)?**						
	ვისწავლი და ისე წავალ	14	-	-	18	-	-
	რომ ჩავალ, იქ ვისწავლი მინიმალურ დონეზე მაინც	86	100	100	82	100	100
13	**თუ წასვლას გეგმავთ, რა მოიმოქმედეთ უკვე?**						
	ენას ვსწავლობ	10	-	-	7	20	22
	წასვლისთვის ფულს ვაგროვებ	90	100	100	93	80	78
14	**რა საქმეზე შეძლებთ უცხოეთში მუშაობას?**						
	ოჯახში დამხმარედ, ბავშვის და მოხუცის მომვლელად	62	70	60	70	-	13
	მძღოლად	15	5	15	22	-	12
	ხელოსნად	18	25	10	8	82	38
	დავსაქმდები საშუამავლო საქმეში	5	-	15	-	18	37
15	**თქვენთვის სულ ერთია რა საქმეზე დასაქმდებით?**						
	კი, მთავარია ვიმუშავო	94	100	100	100	90	95
	არა, მხოლოდ პროფესიის მიხედვით	6	-	-	-	10	5
16	**რა სიდიდის ანაზღაურებაზე იქნებით თანახმა უცხოეთში მუშაობისას?**						
	არანაკლებ 500 ევრო	50	98	95	100	10	-
	არანაკლებ 500 აშშ	36	-	5	-	-	-
	800 ევრო და მეტი	14	2	-	-	90	100
17	**ვინ დაგეხმარებათ უცხოეთში სამუშაოზე მოწყობაში?**						
	იქ მყოფი მეგობრები და ნათესავები	37	-	80	80	100	100
	დამოუკიდებლად მოვძებნი განცხადებებით	63	100	20	20	-	-
18	**თუ პროფესიით ვერ დასაქმდით, სხვა რა საქმეზე იმუშავებთ?**						
	ყველანაირ საქმეზე ვიმუშავებ	94	100	100	100	10	15
	პროფესიული საქმის გარდა არ ვიმუშავებ და უკან დავბრუნდები	6	-	-	-	90	85

19	**თუ ოფიციალურად ვერ მოახერხებთ უცხოეთში წასვლას, არალეგალურ წასვლაზე დათანხმდებით?**						
	კი	93	100	100	50	-	-
	არა	7	-	-	50	100	100
20	**გთავაზობთ ვინმე საზღვარ-გარეთ დასაქმებას?**						
	იქ მყოფი ნათესავები, მეგობრები	90	-	100	100	100	100
	იქაური სათვისტომო	10	100	-	-	-	-
21	**რამდენს ითხოვენ შუამავლები საზღვარგარეთ გაყვანასა და დასაქმებაში?**						
	აშშ-ში 20-25 ათას დოლარს	43	90	80	90	100	100
	სხვა ქვეყნებში 5 ათას დოლარს	34	10	20	10	-	-
	ევროკავშირში 10 ათას ევროს	20	-	-	-	-	-
22	**გინდათ წასვლა, მაგრამ მაინც აქ ხართ - სამშობლოში, გვითხარით, რა გიშლით ხელს?**						
	არ მაქვს ფული	92	90	95	85	90	90
	ჯერ არ ვიცი უცხო ენა	6	7	5	10	10	10
	მშობლები ავადმყოფობენ	2	3	-	5	-	-
23	**თუ მოგეცათ შესაძლებლობა და წახვედით მთელ ოჯახს (ახლა ან შემდეგ) წაიყვანთ?**						
	სიტუაცია მიჩვენებს	20	30	80	60	50	50
	აუცილებლად	80	70	20	40	50	50
24	**თუ წახვედით- -საზღარგარეთ, როგორ გეგმავთ, დაბრუნდებით სამშობლოში?**						
	სიტუაცია მიცვენებს	20	70	85	100	60	70
	არა, იქ შევქმნი ახალ ოჯახს	80	30	15	-	40	30
25	**შრომის რა სიდიდის ანაზრაურება უნდა გქონდეთ საქართველოში, რომ აღარ იფიქროთ უცხოეთში წასვლა?**						
	2-3 ათასი ლარი თვეში	90	70	85	95	100	100
	მაღალი ხელფასიც ვერ გამაჩერებს, რადგან წესრიგი არ არის ქვეყანაში	10	30	15	5	-	-